

მარინე სუბუა

**კომერციული ბანკების
საქმიანობის ფინანსური
ანალიზი**



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2006

დამხმარე სახელმძღვანელოში ლოგიკური თანმიმდევრობითაა განხილული კომერციული ბანკების საქმიანობის ფინანსური ანალიზის საკითხები საბაზრო ეკონომიკის პირობებში; წიგნში სისტემურადაა განხილული – შემოსავლების, ხარჯების, მოგება-რენტაბელობის მაჩვენებლებისა და ფინანსური მდგომარეობის კომპლექსური ანალიზის მეთოდის საკითხები.

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ეკონომიკის სპეციალობის სტუდენტების, მაგისტრანტების და ყველა იმ პირებისათვის, ვინც ბანკების საქმიანობის ფინანსური ანალიზის საკითხების შესწავლათაა დაინტერესებული.

რედაქტორი: **ელეონორ ცირაშვა**
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

რეცენზენტები: **ფრიდონ ბურდული**
თსუ აღრიცხვის, ანალიზისა და
აუდიტის კათედრის გამგე, დოცენტი

გორგი ცაავა
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

© მ. ხუბუა, 2006

გამომცემლობა „**უნივერსალ**“, 2006

თბილისი, 0128, ი. შავსავაძის გამზ. 1, ☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 99940-61-23-2

შინაარსი

წინასიტყვაობა.....	3
თავი I. ფინანსური ანალიზის თეორიული საფუძვლები.....	6
§ 1. კომერციული ბანკების მართვის პროცესში ფინანსური ანალიზის არსი და როლი.....	6
§ 2. ფინანსური ანალიზის ჩატარების ორგანიზაციის საკითხები.....	22
§ 3. ფინანსური ანალიზის პროცესში საინფორმაციო ბაზის გამოყენება.....	28
§ 4. კომერციულ ბანკებში ფინანსური შედეგების მაჩვენებლების სისტემები.....	35
თავი II. კომერციულ ბანკებში ფინანსური შედეგებისა და რენტაბელობის ანალიზი.....	43
§ 1. შემოსავლების ანალიზი.....	43
§ 2. ხარჯების ანალიზი.....	53
§ 3. მოგების ანალიზი.....	68
§ 4. რენტაბელობის ანალიზი.....	87
თავი III. კომერციულ ბანკებში ფინანსური მდგომარეობის ანალიზი.....	107
§ 1. ფინანსური მდგომარეობის ძირითადი მაჩვენებლების სისტემები.....	107
§ 2. ფინანსური მაჩვენებლების ანალიზის მეთოდოლოგია.....	122
ლიტერატურა.....	141

წინასიტყვაობა

საბანკო სისტემა საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ ურთულეს სფეროს წარმოადგენს, რომელსაც განვითარების სპეციფიკური კანონზომიერებები ახასიათებს. ბანკების საქმიანობის მეშვეობით სახელმწიფოში ფულის დიდი ნაწილი გროვდება საბრუნებლად, ხდება კაპიტალის წყაროების ჩამოყალიბება კელავწარმოების გასაფართოებლად ამ პროცესის ყველა მონაწილის – სახელმწიფოს, სამეურნეო სუბიექტებისა და მოსახლეობის დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების გადანაწილების შესაძლებლობათა განხორციელებით.

საქართველოს საბანკო სისტემის კრიზისმა სახელმწიფო პოლიტიკაში, საბანკო კანონმდებლობასა და თვით ბანკების საქმიანობაში უამრავი პრობლემა გამოავლინა. რაც შეეხება ბანკის საკუთარ პრობლემებს: საბანკო კაპიტალის დაბალ დონეს, დაუბრუნებელი კრედიტების მნიშვნელოვან სიდიდეს, სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტისაგან რიგი ბანკების დამოკიდებულებასთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა აქვს მმართველობის ეფექტურობის პრობლემებს. მმართველობაში დაშვებული შეცდომების გამო ბანკების უმეტესმა ნაწილმა ზიანი განიცადა.

კომერციული ბანკების საქმიანობის მიზნის მიღწევა შესაძლებელი ხდება ძირითადად მართვის ხარისხის შეცვლის შედეგად და, რადგანაც ფინანსური საქმიანობა ბანკის სპეციალიზაციას წარმოადგენს, ამაღლდა ფინანსური ანალიზის როლი და ფინანსურ ანგარიშგებაზე ანალიზის მოთხოვნილება გაიზარდა.

საქართველოში ფინანსური ანალიზის მეთოდოლოგია საბაზრო ურთიერთობათა პირობებში, კერძოდ, საბანკო საქმიანობაში, ჯერჯერობით ნაკლებად არის შესწავლილი და,

როგორც ანალიზის მეთოდური ინსტრუმენტარის შემუშავების, ასევე საქმიანობისა და სწავლების პრაქტიკაში დანერგვის მიმართულებით ღიდ მეცნიერულ ძალისხმევას საჭიროებს.

სპეციალისტების მიერ საბანკო მენეჯმენტის სრულყოფასთან ერთად იხვეწება ფინანსური ანალიზის მეთოდოლოგია, თუმცა დღემდის ქართულ ენაზე არ გამოცემულა კომპლექსური გამოკვლევა ამ სფეროში. წინამდებარე შრომის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი სწორედ ამ ნაკლოვანების აღმოფხვრის მცდელობაა.

ნაშრომს, ცხადია, არა აქვს პრეტენზია, რომ მასში წარმოდგენილი ყველა საკითხი განხილულია ამომწურავად და სრულყოფილად. შესაბამისად, ყოველგვარ საქმიან შენიშვნებს ღიდი მადლიერების გრძნობით მივიღებთ.

თავი I ფინანსური ანალიზის თეორიული საფუძვლები

§ 1 კომერციული ბანკების მართვის პროცესში ფინანსური ანალიზის არსი და როლი

ეკონომიკური ანალიზის თეორიაში ფინანსური ანალიზი განიხილება, როგორც მმართველობითი და ფინანსური აღრიცხვის მონაცემთა (მაჩვენებელთა) ანალიზი. ამასთან, მმართველობითი აღრიცხვის ქვეშ იგულისხმება არა მარტო ბუღალტრული აღრიცხვა, არამედ დაგეგმვა, სტატისტიკა, სამეურნეო საქმიანობის ანალიზი, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს ფინანსურ ანალიზს.

შინაფინანსური ანალიზის შინაარსი შემდეგია: ბიზნეს-გეგმის დასაბუთებისა და რეალიზაციის, მარკეტინგული სისტემის, სამეურნეო საქმიანობის ეფექტურობის, მოგების აბსოლუტური მაჩვენებლების, რენტაბელობის (შეფარდებითი მაჩვენებლების), ლიკვიდურობის, გადამხდელუნარიანობის; საკუთარი კაპიტალის გამოყენების; ნასესხები სახსრების გამოყენების ანალიზი.

გარეფინანსური ანალიზის ამოცანაა კაპიტალის ავანსირების ეფექტურობის (ინვესტიციური ანალიზი) და ემიტენტების რეიტინგული შეფასების ანალიზი.

ფინანსური ანალიზი პრაქტიკულად წარმოადგენს მმართველობის ელემენტს, მის შემადგენელ ნაწილს. ამასთან ნებისმიერი ობიექტის ფინანსების მართვაში იგულისხმება „მისი საქმიანობის საწარმოო და ფინანსური მიმართულების შეფასება მის ირგვლივ გარემოს კონტექსტში, სახსრების წყაროების ძიება და მობილიზება ამ საქმიანობის უზრუნველსაყოფად და ფინანსური გაანგარიშებები ყველა კონტრაგენტებთან, რომელთაც გააჩნიათ ინტერესი მოცემული ობი-

ექტის მიმართ (სახელმწიფო, მესაკუთრეები, ინვესტორები, კრედიტორები და სხვა)“.¹

ფინანსური ანალიზი, მიუხედავად იმისა, რომელი მეცნიერების მიმართულების საფუძველზე არის შემუშავებული, მოითხოვს საფუძვლიან მომზადებას-ბუღალტრული აღრიცხვის, ეკონომიკური ანალიზის, სტატისტიკის, ფინანსების მართვის, სამართლის, საგადასახადო სფეროში. ამასთან, აუცილებელია, გავითვალისწინოთ, რომ სამეურნეო საქმიანობის ანალიზის სპეციალისტებს გააჩნიათ ეკონომიკური პრობლემების შესწავლის კომპლექსური, სისტემური მიდგომა, ბუღალტრული აღრიცხვის ღრმა ცოდნა, შეუძლიათ ფინანსური ანგარიშების შინაარსის ინტერპრეტირება. ფინანსური მენეჯმენტის სპეციალისტებს, თავის მხრივ, გააჩნიათ საჭირო წარმოდგენა კომპანიების ფინანსური მართვის პრინციპებისა და მეთოდების შესახებ, ფინანსური ანალიზის ჩატარების თანამედროვე ინსტრუმენტები.

დასავლეთის ქვეყნებში ფინანსური ანალიზის ქვეშ გულისხმობენ ფინანსური ბაზრების, ინსტრუმენტების, ბირჟების, ცალკეული საინვესტიციო ინსტიტუტების, ფირმების ან მათი ერთობლივი ფინანსური საქმიანობის შესწავლასა და შეფასებას.

რაც შეეხება ფირმებისა და კომერციული სტრუქტურების ფინანსურ ანალიზს, იგი ხორციელდება სხვადასხვაგვარი რაკურსით. მაგალითად, ერთ-ერთი ცნობილი ამერიკელი მეცნიერი ფინანსური მენეჯმენტის სფეროში ერიკ ხელფერტი (მისმა სახელმძღვანელომ, სახელწოდებით „ფინანსური ანალიზის ტექნიკა“, აშშ-ში რვა გამოცემას გაუძლო), ფინანსური საქმიანობის ანალიზს განიხილავს, როგორც ბიზნესის სისტემას, ანუ ის ბიზნესს იკვლევს, როგორც ფინანსუ-

¹ Ковалев В.В. Управление финансами. Учебное пособие. М. ФБК-ПРЕСС, 1998 г. стр. 16.

რი რესურსების მოძრაობის სისტემას, გამოწვეულს სამმართველო გადაწყვეტილებებით სამ ურთიერთდაკავშირებულ სფეროში: ინვესტიცია ბიზნესში, საწარმოო საქმიანობა და ბიზნესის დაფინანსება (დაკრედიტება). ამასთან, ფინანსური ანალიზი ზორციელდება მესაკუთრების, მენეჯერების და კრედიტორების შესაბამისი ინტერესების პოზიციიდან.

ფინანსური ანალიზი დასავლეთში, როგორც მეცნიერული ცოდნის სფერო, ჩამოყალიბდა მხოლოდ XX-საუკუნის მეორე ნახევარში. ამ სფეროში ცნობილი გახდნენ გ. მარკოვიცის, უ. შარპის, მ. მილერის ნაშრომები. მოგვიანებით ფინანსური ანალიზის საკითხები წარმატებით გამოიკვლიეს: ჯ. მოსინმა, ს. როსმა, მ. სქოულზმა, ე. ფამოიმ, ფ. მოდილიანმა, ტ. კოუპლენდმა და სხვა მეცნიერებმა.

თანამედროვე კომერციულ ბანკში ფინანსური ანალიზი წარმოადგენს ფინანსური მმართველობის არა უბრალო ელემენტს, არამედ მის საფუძველს, რამდენადაც ბანკებში ცნობილია, რომ დიდია ფინანსური საქმიანობის მოცულობა. მისი მართვა ანალიზის გარეშე წარმოუდგენელია, ეს იქნება ტრადიციული საკრედიტო ოპერაცია, გადახდევინების ოპერაციის ჩატარება, ანგარიშსწორება და ფულის შენახვა, თუ საქმიანობის შედარებით ახალი სახეობა (მაგ, დაზღვევა, ლიზინგი, სატრასტო, ბროკერული მომსახურება, სხვა ოპერაციები). ამასთან, თუ სხვადასხვაგვარი საკანონმდებლო შეზღუდვები, რომლებიც საბანკო საქმეს ააცილებენ საგანგებო რისკებს, დამანგრეველ კონკურენციას, ზვავისებურ გაკოტრებას, წარმოადგენენ საბანკო საქმიანობის რეგულირების გარე ფაქტორებს, მაშინ მართვის ისეთი ფუნქციების დახმარებით, როგორიცაა ანალიზი, აუდიტი და კონტროლი, ზორციელდება მისი გარკვეული შინაგანი თვითრეგულირება.

კომერციული ბანკების საქმიანობის მმართველობაში ფინანსური ანალიზის როლი, მმართველობის საიმედოების და

ხარისხის ამაღლება, წარმოადგენს არა მხოლოდ პასუხსა-
გებ, არამედ საბოლოო ჯამში ცალკეულ ბანკის, ასევე
მთლიანად ქვეყნის საბანკო სისტემის სიცოცხლისუნარი-
ანობის განმსაზღვრელს. ფინანსური ანალიზის შინაარსი,
მისი როლი და მნიშვნელობა კომერციული ბანკის მართვაში
სქემატურად შეიძლება გამოვსახოთ შემდეგი სახით (იხ.
სქემა 1.1.).

მენეჯმენტში ანალიზი გამოიყენება მხოლოდ ისეთი
მმართველობის ფუნქციის განხორციელების დროს, როგორი-
ცაა მაგალითად დაგეგმვა, ორგანიზაცია, რეგულირება, კო-
ორდინაცია, მოტივაცია, სტიმულირება, ჰუმანიზაცია. კონ-
ტროლი მათ განხორციელებამდე პროცესში და მითითებული
ფუნქციების რეალიზაციის შემდეგ; ფუნქციონალურ სფერო-
ებში – მაგალითად მარკეტინგში. მაგრამ მართვის ძირითად
ფუნქციებში ანალიზი არ შედის (ცნება „ფუნქცია“ ცოდნის
ყველა სფეროში, მოღვაწეობის ყველა რგოლში გამოიყენება
და ითარგმნება ლათინურიდან როგორც ვალდებულება, საქ-
მიანობის სფერო, დანიშნულება, როლი).¹


ზოგიერთი ავტორი, კერძოდ ო. ლავრუშინი, თვლის,
რომ საბანკო მენეჯმენტის შინაარსს შეადგენს: „დაგეგმვა,
ანალიზი, რეგულირება, კონტროლი“.² რაც, პრინციპში, წი-
ნააღმდეგობას არ იწვევს. სხვა ავტორები თუმცა მოიხსენი-
ებენ ანალიზს, როგორც მენეჯმენტის ფუნქციას, „რომელთა
მიმართ უნდა გამოყენებულ იქნეს მეცნიერული მიდგომები

¹ Менеджмент (Современный российский менеджмент). Учебник / Под.
ред. Ф.М.Русинова и М.А. Разду – М. ФБК-ПРЕСС, 1998 г. стр.234.

² Основы банковского менеджмента. Учебное пособие. Под. общ. ред.
О.И.Лаврушина-М. ИНФРА-М. 1996 г. стр. 5.

ფინანსურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გარემოს ანალიზი

საბანკო ბიზნესის მდგომარეობის ანალიზი



სქემა 1.1. კომერციული ბანკის მართვის ფინანსური ანალიზის რეალიზაციის ძირითადი ელემენტები და მნიშვნელოვანი მიმართულებები

და მეთოდები“¹, მათ მიაჩნიათ, რომ მენეჯმენტის ბოლო სტადია და ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციათა კონტროლია. **კონტროლი აერთიანებს მმართველობის საქმიანობის სახეობებს**, რომლებიც დაკავშირებული არიან მართველობის ობიექტის ფუნქციონირების მდგომარეობისა და საქმიანობის ინფორმაციის ფორმირებასთან (აღრიცხვა); საქმიანობის პროცესებისა და შედეგების ინფორმაციის შესწავლასთან (ანალიზი).

სხვები კი თვლიან, რომ თვით მართვის ტექნოლოგია თავისი საქმიანობით და სამეურნეო პოტენციალით დაყვანილია „ფაქტორების შეფასებასა და ანალიზამდე“, რომლებიც ამალღებენ ან აქვეითებენ საწარმოს პოტენციალის კონკურენტუნარიანობას, ამა თუ იმ დასახული მიზნის მისაღწევად. შესაბამისი სტრატეგიისა და ტაქტიკის არჩევა და რეალიზაცია. ე. ი. ანალიზი აქ მხოლოდ ინსტრუმენტს წარმოადგენს სამეურნეო ერთეულის საქმიანობის ფაქტორების შესწავლისა და შეფასებისათვის.

ზემოთ მოყვანილი ავტორების მოსაზრებებიდან ჩანს, რომ ანალიზის ადგილის და როლის შეფასება ფრიად წინააღმდეგობრივია. ანალიზს არაპირდაპირად იხსენიებენ როგორც მმართველობითი საქმიანობის სახეობას, მაგრამ ჩამოთვლაში იგი არ არის ნახსენები. ანალიზს მიაკუთვნებენ მართვის ფუნქციებს, ხოლო ძირითადი ფუნქციების შემადგენლობაში არ ახსენებენ და შეჰყავთ „კონტროლის“ ფუნქციაში.

პროფ. ე. ცირამუა აცხადებს, რომ „მოვლენის შეფასების აუცილებელი პირობაა მათი ანალიზი. მეურნეობრივი საქმიანობის ანალიზის გარეშე ეკონომიკა ქაოსურ ვითარებად მოგვევლინებოდა. ამდენად, ადამიანები ყოველთვის, მიუხედა-

¹ Ковалев В.В. Управление финансами. Учебное пособие.-М. ФБК-ПРЕСС, 1998 г. стр. 156,168,278

ვად მათი განვითარებისა (დონისა), ზუსტ ანალიზს უკეთებენ საკუთარ საქმიანობას და შეფასებას აძლევენ შედეგს“... ანვითარებს რა ამ აზრს, მიღის დასკვნამდე, რომ „საწარმო-სამეურნეო საქმიანობის მართვის საქმეში პრაქტიკულად იყენებს ეკონომიკურ ანალიზს. ამდენად, ეკონომიკური ანალიზი წარმოების სამეურნეო პროცესებზე კონტროლის საშუალებაა“¹

ჩვენი აზრით, ფინანსური ანალიზი, შეისწავლის და ახასიათებს რა ბანკის საქმიანობის ეკონომიკურ ეფექტურობას, წარმოადგენს მის ერთ-ერთ დამოუკიდებელ ფუნქციას, ანუ ბანკის საქმიანობის ეკონომიკური ეფექტურობის შეფასების სისტემა უფლებას იძლევა ანალიზის, როგორც მართვის ფუნქციის რეალიზაციისა, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს ბანკის ფინანსური შედეგებისა და ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი.

თანამედროვე მენეჯმენტის თეორიაში არსებობს შეხედულება, რომ „სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში, რომელიც სპეციალიზებულია ფუნქციონალურ საქმიანობაზე, ისეთი როგორცაა ბანკი, მარკეტინგული ცენტრი და სხვა. მენეჯმენტის შედეგიანობა განისაზღვრება თვით ამ სისტემის საბოლოო შედეგებით“² აქედან გამომდინარეობს, რომ კომერციულ ბანკში ფინანსური ანალიზი შეისწავლის და შეაფასებს არა მარტო თვით ბანკის საქმიანობის ეფექტურობას, არამედ მისი მართვის ეკონომიკურ ეფექტურობას, ანუ მენეჯმენტის სისტემის ზარისხს.

ბანკებში, სადაც ფინანსების მართვა მნიშვნელოვანია, ხოლო მისი სხვა სახეობების, მაგალითად, საორგანიზაციო-

¹ ე. ცირაბუა, სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი, თბ. 1999წ. გვ.11, 21

² Ковалев В.В Управление финансами. Учебное пособие. М. ФБК-ПРЕСС, 1998 г. стр. 470

ტექნოლოგიური, სამეურნეო ოპერაციების მართვას, არ უკავია მთლიანად მართვაში მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი. ასეთი შეფასება შეიძლება განხორციელდეს, ერთი მხრივ, ბანკის ფინანსური შედეგებისა და ბანკის ფინანსური მდგომარეობის სისტემური ანალიზის საფუძველზე. მეორე მხრივ, მართვის სისტემის ეფექტურობა შეიძლება შეფასდეს ე.წ. ფინანსური ანალიზის რაოდენობრივი მეთოდით, ისეთების, როგორცაა: აქტივების პორტფელის შემოსავლიანობის ნორმის განსაზღვრა საშუალოშეწონილი დროის მიხედვით; „უფრო საერთო მაჩვენებლების შედარების მეთოდი“ (ფირმის შემოსავლებისა და ფინანსური აქტივების პორტფელის მართვის მეთოდების გამოყენებას შორის დამოკიდებულების დადგენა); შემოსავლების კორექტირების მეთოდი, რომლებსაც გამოიყენებენ მენეჯერები, მათი მიღების შესაბამისად; რისკი, „ნორმალური“ ანუ „ეტალონური პორტფელის“ მეთოდი; ანალიზის არაპარამეტრული მეთოდები; მმართველების სტიმულირების მეთოდი და ა. შ.

ფინანსური ანალიზი ეყრდნობა როგორც ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების მონაცემებს, ასევე სხვა ეკონომიკურ და ფინანსურ ინფორმაციას (მონაცემებს), ამასთან, გარდა საკუთარი საქმიანობის ანალიზისა, ბანკებში ფინანსური ანალიზის შემადგენელ ნაწილად ითვლება კლიენტების, პარტნიორების, მევალეების, ფინანსური ანგარიშგების ანალიზი; როგორც სესხის გაცემის, მათი დაბრუნების შემდგომი კონტროლისა და ერთობლივი საქმიანობის პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტი.

ანალიზის ფუნქცია, როგორც ფინანსური პროგნოზირების და მოდულირების ინსტრუმენტი, რეალიზირდება ბანკის ბიზნეს-გეგმის ძირითადი განაყოფების შესწავლისა და შეფასების პროცესში. ამასთან, შეუსწავლელი რჩება ფინანსური ანალიზის როლი ფინანსური პროგნოზირებისა და დაგეგ-

მეის უფრო მნიშვნელოვანი ძირითადი ეტაპების განხორციელებაში. ისეთების, როგორცაა ფინანსური საპროგნოზო საბუთების შედგენა (საპროგნოზო ანგარიშგება მოგებისა და ზარალის შესახებ; საპროგნოზო ბალანსი), ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზირება; დეკადების, თვეებისა და კვარტალის მიხედვით ლიკვიდურობის დაგეგმვა.

ნაკლებადაა შემუშავებული ფინანსური ანალიზის ამოცანებიც, რომლებიც წარმოადგენენ ბანკების საინოვაციო საქმიანობის შესწავლისა და შეფასების ინსტრუმენტს. მიუხედავად იმისა, რომ ცნების „ინოვაციური საქმიანობა“ ბანკებსა და წარმოებებში გამოყენება ზუსტად არ შეესატყვისება ერთმანეთს, საბოლოო ჯამში ინოვაციის მიზანს მაინც ორივე საქმიანობის ეფექტურობის ზრდა წარმოადგენს.

საბაზრო ურთიერთობების პირობებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ბანკის კაპიტალის ღირებულების განსაზღვრას, მისი შეფასების მეთოდს ფინანსური ანალიზი წარმოადგენს. ამ საკმარად ძნელი ამოცანის გადაწყვეტა შესაძლებელია ძირითადად ორი ხერხით: ე. წ. ბუღალტრული და ეკონომიკური ხერხით. კაპიტალის ღირებულების განსაზღვრის ბუღალტრული მოდელი ფართოდ გამოიყენება საქმიან სამყაროში, რადგან გასაგებია და პრაქტიკაში ადვილად გამოსაყენებელი. იგი არის საბანკო ფინანსური ანალიზის გარე და შინა ობიექტი.

ეკონომიკური მოდელი, რომლის თანახმადაც ფირმის ფასი საპროცენტო განაკვეთად დისკონტირებული ნაღდი ფულის მიმდინარე ნაკადის მომავალი ღირებულებით განისაზღვრება, გამოხატავს ამ ნაკადის რისკიანობას. მეტწილად შინაფინანსური ანალიზის ობიექტია, რამდენადაც ფულადი სახსრების ნაკადის რეალური შეფასება შეიძლება მხოლოდ ინფორმაციის შინაგანი წყაროების საფუძველზე.

ბანკის საკუთარი კაპიტალის საბაზრო და საბალანსო შეფასებას შორის სხვაობა მდგომარეობს ე. წ. დაფარულ კაპიტალში. ფინანსური ანალიზის ამოცანაში შედის ორივე ხერხით გაანგარიშებული კაპიტალის სიდიდის, აგრეთვე ბანკის დაფარული კაპიტალის მოცულობის შეფასება და მისი ძირითადი წყაროების გამოვლენა, რომლებიც შეიძლება იყოს: ბალანსში არასწორი ასახვა საკრედიტო და საპროცენტო რისკისა, ბალანსგარეშე სახეობების საქმიანობით და სახელმწიფო გარანტიებთან დაკავშირებული ბუნდოვანი მოთხოვნებისა და ფასეულობების იგნორირება, რომელიც საერთოდ მიღებული საბუღალტრო წესებით არ არის დაფიქსირებული, აგრეთვე კაპიტალის სხვა წყაროები.

ფინანსური მართვის ცალკეული სახეობების განხორციელებისას (აქტივები, პასივები, ლიკვიდურობა, რისკი, კაპიტალი), ფინანსური ანალიზი წამოადგენს ფრთხილ მითითებული მართვის სახეობის რეალიზაციის ინსტრუმენტს და მისი შემდგომი შეფასების მეთოდს.

აქტივების მართვის მსვლელობაში ისმება მათი მაქსიმალური მომგებიანობის მისაღწევი ამოცანა ლიკვიდურობისა და რისკიანობის დასაშვები დონის დაცვით. ამ ამოცანის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ფინანსური აქტივების მითითებული მიმართულებების სისტემური ანალიზისა და აქტივების შესაბამისი სტრუქტურების მიზანდასახული მოქმედების საფუძველზე.

პასივების მართვა დაკავშირებულია შემდეგი საკითხების დასმასა და გადაწყვეტასთან: შემოსავლის არმოშობანი სახსრების ანალიზი, აუცილებელი საკრედიტო რესურსების ძირითადი მიმართულებების შესწავლა, კლიენტების წინაშე აღებული ვალდებულებების შესასრულებლად აქტიური ოპერაციების განსაზღვრებად „იაფი“ რესურსების მოზიდვის შესაძლო საშუალებების ანალიზი.

ბანკის კაპიტალის მართვის დროს პირველყოვლისა უნდა ჩავატაროთ მისი სტრუქტურის და საკმარისობის ანალიზი, რომლის ხარისხი და ღონე ერთდროულად ახასიათებს ბანკის კაპიტალის მართვის ეფექტურობასაც.

რისკის მართვის ძირითადი მეთოდი ანალიზია. მისი დახმარებით გამოიკვლევა და ფასდება რისკის გამოჩენის პირობები, მოსალოდნელი ზარალის მასშტაბები, რისკის თავიდან აცილების საშუალებები, მისი ანაზღაურების წყაროები.


ბანკის აქტივების მართვის ბევრი სახეობა, კერძოდ კრედიტების მართვა, ინვესტიციები, კომერციული ოპერაციები და ა.შ. შეესაბამება ბანკის საქმიანობის სახეობებს. ამიტომ მისი ფინანსური მაჩვენებლები აქტივების მოცემული სახეობების მართვის ხარისხის ინდიკატორს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსური ანალიზი შეისწავლის ფინანსურ ურთიერთობებს, გამოხატულს ფინანსურ კატეგორიებსა და ფინანსურ მაჩვენებლებში. ამასთან, მისი როლი კომერციული ბანკის მართვაში იმაში მდგომარეობს, რომ იგი წარმოადგენს: მმართველობის დამოუკიდებელ ფუნქციას; ფინანსური მმართველობის ინსტრუმენტს და მისი შეფასების მეთოდს.

ფინანსური ანალიზის არსი ბევრ რამეში განისაზღვრება მისი ობიექტებით, რომლებიც კომერციულ ბანკში თავის ერთობლიობაში ასახავს საკრედიტო დაწესებულების მთლიანი ფინანსური საქმიანობის შინაარსს.

ფინანსური ანალიზის ობიექტებია ბანკის ფინანსური შედეგების მაჩვენებლები, ბანკის შედეგიანობისა და ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებლები; ფინანსური მმართველობის სისტემის ეფექტიანობის მაჩვენებლები; საბანკო მომსახურების ეფექტურობა; ოპერაციების ტექნოლოგიები, ფინანსური უსაფრთხოების სისტემები და სხვა. ანალიზის გაღრმავების მიხედვით მისი ობიექტები მოცემულია სქემის სახით (1.2).

სქემა 1.2. ბანკის ფინანსური ანალიზის ძირითადი ობიექტების შემადგენლობა.



ბანკის მიერ მიღწეული ფინანსური შედეგების სიდიდე წარმოადგენს გარე და შინა ფაქტორების მთელი კომპლექსის ანარეკლს, რომელიც მასზე ზემოქმედებას ახდენს. რომელთა შორისაა: ბანკის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, მისი მომსახურების ზონაში საკმარისი კლიენტურის ბაზის არსებობა, კონკურენციის დონე, ფინანსური ბაზრის განვითარება, რეგიონის სოციალურ-პოლიტიკური სიტუაცია, სახელმწიფო მხარდაჭერის და სხვა ფაქტორების არსებობა. ასევე საკუთარი კაპიტალის სიდიდე, აქტივების მოზიდვისა და სახსრების განთავსების მოცულობა, რომლებსაც მოაქვს და არ მოაქვს შემოსავალი, ბანკთაშორის დანახარჯების, ზარალის და მოგების დონე, პროგრესული ტექნოლოგიის

გამოყენების მასშტაბები. შინა კონტროლის ორგანიზაცია, აუდიტის ღონე და სხვა ფაქტორები, რომლებიც დამოკიდებულია თვით ბანკების საქმიანობასთან, მათი მართვის ხარისხთან, ბანკის ხელმძღვანელობისა და პერსონალის ყველა პოზიტიური და ნეგატიური მოქმედება გამოიხატება განზოგადებული სახით ბანკის საქმიანობის საბოლოო შედეგში-მოვებაში.

ითვლება, რომ ბანკის ფუნქციონირების საიმედოობის, სიმყარის ანალიზი და კონტროლი ზედამხედველობის და რეგულირების განმახორციელებელი ორგანოს ამოცანაა. თვით ბანკებმა კი, რომელთა საქმიანობის ძირითად მიზანს მისი მიმდინარე და მომავალი შემოსავლიანობის გაზრდა წარმოადგენს, საკმარისია, დაიცვან მარეგულირებელი ორგანოების მოთხოვნები და სწორად მართონ თავიანთი აქტივები, პასივები, საკუთარი სახსრები, რისკები. ამასთან, ბანკის შინა კონტროლის ფუნქცია, რომლის ამოცანაა „შესაძლო დამხარჯავენის გამოვლენა... და უპატიოსნო საქციელისა და სახსრების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებისათვის გარემოს შექმნა“¹ არაფრით არ უკავშირდება ბანკის საერთო ფინანსურ მდგომარეობას, რომლის სტაბილურობასაც ამ მიმართულებით მხარდაჭერა სჭირდება.

დასავლეთის ბევრი მკვლევარი არაიშვიათად მიაკუთვნებს კომერციულ ბანკებს მათი მეურნეობის საშუალების მიხედვით იმ საწარმოათა რიცხვს, რომლებიც აწარმოებენ ფინანსურ პროდუქტებსა და მომსახურებას, და ამიტომ დაახლოებით მათთან მიმართებაში ზშირად იყენებენ ისეთ ცნებებს, როგორიცაა „საბანკო პროდუქტი“ (წარმოების პროდუქციის ანალოგიურად), რესურსები, ტექნოლოგიები, ძირითადი საშუალებები. სავსებით ლოგიკური იქნებოდა, ჩვენი

¹ Карлин Т.Р. Анализ финансовых отчетов (на основе ПФФЗ). Учебник – М. ИНФРА-М. 1998 г. стр.191

აზრით, ფინანსური მდგომარეობის, როგორც წარმოების მნიშვნელოვანი მაჩვენებლის, კომერციული ბანკის საქმიანობასთან მიკუთვნება, მით უმეტეს, რომ იგი იმანენტურად მას ახასიათებს.

საკრედიტო დაწესებულებებისათვის შემუშავებული ანალიზის მეთოდის ძირითადად განკუთვნილია სხვა ბანკების საქმიანობის შესაფასებლად და შეიცავს ამოცანების ვიწრო წრეს, დამყარებულია მხოლოდ ოფიციალური ანგარიშგების ფორმასა და ლეგალურად მიღებული ინფორმაციის ბაზაზე. მასში გამოსახულია კონკრეტული თარიღისათვის ბანკის საქმიანობა. ხოლო ამ მდგომარეობის მიხედვების გამოკვლევას დამატებითი და ზოგჯერ კონფიდენციალური ინფორმაცია სჭირდება, რომელსაც არ ფლობენ თვით ანალიტიკოსები. ამიტომ ამ მეთოდის მონაცემებს არ შეუძლია უზრუნველყონ ანალიზის კომპლექსურობა საჭირო სისრულით.

საკრედიტო დაწესებულებების საქმიანობის შეფასება შესაძლებელია საბანკო რეიტინგის მეშვეობით. რეიტინგი ძლიერი საშუალებაა საკრედიტო დაწესებულებების საქმიანობის შესახებ საზოგადოებრივი შეხედულებების ჩამოყალიბებისა, რომელიც შესაძინებ ზეგავლენას ახდენს მათი ფინანსური მდგომარეობის დონეზე. თუმცა რეიტინგი—ანალიზი არ არის, მით უმეტეს კომპლექსური, არამედ იგი მხოლოდ ექსპერტული საშუალებაა ამა თუ იმ ბანკის დადგენილი მაჩვენებლების მიხედვით სხვა საკრედიტო დაწესებულებებს შორის ადგილის განსაზღვრისა. თუ რეიტინგს განვიხილავთ როგორც ანალიზისადმი მიდგომას, პირველ ყოვლისა, უნდა გამოვიყენოთ ანალიზში მათი განმაზოგადოებელი პრინციპი, სხვა მხრივ, ბანკის საქმიანობის ობიექტურად შეფასებისათვის რეიტინგი უფრო კომპლექსური უნდა იყოს.

საქართველოში კომერციული ბანკების შეფასების ძირითადი კრიტერიუმი არის CAMEL-ის რეიტინგი, რომელსაც პერიოდულად ამზადებს საქართველოს ეროვნული ბანკი.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ბანკების ფინანსური მდგომარეობის შეფასება ხდება „კაპიტალის და კაპიტალის სტანდარტების შეფასების საერთაშორისო კონვენციის“ შესაბამისად, რომელიც მიიღეს 1998 წელს ქ. ბაზელში ცენტრალური ბანკების და საბანკო მეთვალყურეობის ორგანოებმა საერთაშორისო თათბირზე.

პროფესორ ა. შერემეტის მიერ შემუშავებული საწარმოს სამეურნეო საქმიანობის კომპლექსური ანალიზი, უდავოა, დღესაც არანაკლებ აქტუალურია კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის ანალიზისათვის.

მაგალითად, გ. ს. პანოვა სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ბანკის ფინანსური მდგომარეობა ეს კომპლექსური ცნებაა, რომელიც ფინანსური რესურსების არსებობის, განთავსებისა და გამოყენების მაჩვენებლების სისტემით ხასიათდება“.¹

ვ. ე. ჩერკასოვი² ბანკის კაპიტალის მართვისას ფინანსური ანალიზის ამოცანებს იხილავს მისი აქტივებითა და ვალდებულებებით, აგრეთვე ძირითადი ოპერაციებით, ანუ მმართველობის სხვადასხვა მიზნების ანალიზისათვის იყენებს. მაგრამ ცნება „ფინანსური მდგომარეობა“ მის მიერ არ გამოიყენება, ხოლო განმაზოგადებელი ანალიზის განხორციელება ხდება მხოლოდ ბანკის შემოსავლიანობის მაჩვენებლების საფუძველზე.

¹ Панова Г.С. Анализ финансового состояния коммерческого банка. М. Финансы и Статистика 1996 г. стр.9

² Черкасов В.Е. Финансовый анализ в коммерческом банке. М. ИНФРА-М, 1995 г.

ლ. გ. ბატრაკოვამ¹ რამდენადმე გააფართოვა ბანკის ანალიზის ამოცანები, მაგრამ ის არ ითვალისწინებს, რომ საკუთარი და მოზიდული სახსრების, კომერციული ბანკების აქტივების ოპერაციების, საგადასახადო ვალდებულებების შესრულების და ეკონომიკური ნორმატივების შესრულების ანალიზი, ასევე საბანკო რისკების დონის შეფასება, წარმოადგენს ბანკის ფინანსური მდგომარეობის ელემენტებს, რომელთა შესწავლა უნდა მოხდეს კომპლექსურად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომერციული ბანკების საქმიანობის შესწავლისადმი კომპლექსური მიდგომა საშუალებას გვაძლევს, შევაფასოთ ბანკის მთელი ურთიერთდაკავშირებული მიზნების ერთობლიობის რეალიზაციის ეფექტურობა და ბანკის კონკურენტუნარიანობის საკმარისობის დონის მხარდაჭერის ამოცანების გადაჭრის განვითარების არსებული პერსპექტივები; შემოსავლების მაქსიმალიზაცია; ხარჯების მინიმალიზაცია; მისი საქმიანობის რენტაბელობის ამაღლება; კაპიტალისა და აქტივების ზრდის მისაღები ტემპების უზრუნველყოფა; ბანკის საქმიანობის მართვის თანამედროვე ტექნოლოგიის ათვისება; მისი საბაზრო „ფასის“ მაქსიმალურობა; ფინანსური დანაკარგებისა და გაკოტრების თავიდან აცილება. ბანკის ყოველდღიური საქმიანობის მნიშვნელოვანი მიზნების მთელი კომპლექსის რეალიზაციის ხარისხი ბევრ რამეში განისაზღვრება მისი ფინანსური მდგომარეობით ღროის ყოველ კონკრეტულ მომენტში. მეორე მხრივ, თვით ბანკის ფინანსური შედეგები და ფინანსური მდგომარეობა პირდაპირ არის დამოკიდებული მისი მიმდინარე საქმიანობის მართვის ეფექტიანობასთან. ე.ი. კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობა წარმოადგენს მისი საქმიანობის განმაზოგადებელ, კომპლექსურ დახასიათე-

¹ Батракова Л.Г. Экономический анализ деятельности коммерческого банка: Учебник для вузов. М. издательская корпорация "Логос" 1998 г.

ბას. ამ მდგომარეობის პარამეტრები მუდმივ სიდიდეს არ წარმოადგენს, არამედ გამუდმებით იცვლება. მისი ერთი ნაწილი აფასებს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას მოკლევადიანი პერსპექტივის პოზიციიდან, მეორე-საშუალო და გრძელვადიანი განვითარების პოზიციიდან. მაშასადამე, ბანკის ფინანსური მდგომარეობა განისაზღვრება მისი აქტივებისა და პასივების მართვის ეფექტურობის საერთო ღონით (როგორც საბალანსო, ისე ბალანსგარეშე), მისი მართვის კოორდინირებულობით და გამოისახება ამ მდგომარეობის დამახასიათებელ ძირითად მაჩვენებლებში.

§ 2. ფინანსური ანალიზის ჩატარების ორგანიზაციის საკითხები

კომერციულ ბანკებში ფინანსური ანალიზის ძირითადი ამოცანების რეალიზაცია შეუძლებელია მისი ორგანიზაციის შესაბამისი ღონის, ანალიზის მიზნების ფორმირების, ანალიტიკური ამოცანების დასახვის, მათი პრაქტიკული ამოხსნის საშუალებების განსაზღვრის გარეშე.

ფინანსური ანალიზის სხვადასხვა სახეები მოითხოვს მისი ჩატარების ორგანიზაციას. ასე მაგ: პერსპექტიული ანალიზის ორგანიზაცია განსხვავდება მიმდინარე და ოპერატიული საგან, კომპლექსურისა-თემატურისაგან და ა. შ. ამავე დროს, ყველა სახის ორგანიზაცია, როგორც წესი, უნდა შეიცავდეს რიგ სტანდარტულ პროცედურას (ეტაპს), სახელდობრ:

- ანალიზის ობიექტისა და სუბიექტის განსაზღვრას;
- ანალიზის ჩატარების ორგანიზაციული ფორმების შერჩევას;

- ანალიზის ცალკეულ სუბიექტებს შორის ვალდებულებების განაწილებას;
- ანალიტიკური სამუშაოების მეთოდურ და ინფორმაციულ უზრუნველყოფას;
- სამეურნეო ერთეულების საქმიანობის მონაცემების ანალიტიკურ დამუშავებას;
- ანალიზის შედეგების გაფორმებასა და შესწავლას;
- ანალიზის შედეგების მიხედვით წინადადებების რეალიზაციას.

ანალიტიკური საქმიანობის ორგანიზაციაზე ბანკში უამრავი ფაქტორი მოქმედებს, რომელთა შორისაც უფრო არსებითია: ბანკის მიერ შერჩეული საქმიანობის სტრატეგია, კაპიტალისა და აქტივების მოცულობა, პერსონალის რიცხვი, დაწესებულებაში კომპიუტერული ქსელის არსებობა, პერსონალის კვალიფიკაციის დონე, განსაკუთრებით მენეჯერებისა და ა. შ.

საკრედიტო ორგანიზაციებში ანალიტიკური ფუნქციების რეალიზაცია უნდა ხდებოდეს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის მეშვეობით (ძირითადი სტრუქტურული ერთეულის სტატუსით, დეპარტამენტის, სამმართველოს და სხვა. ან ძირითადი სტრუქტურული ერთეულების შემადგენლობაში) ხშირად ბანკებში ანალიტიკური სამუშაოს ორგანიზაცია ხდება შერეული პრინციპით, ანუ იქმნება სპეციალური სტრუქტურები ანალიზის ჩასატარებლად და რიგ სტრუქტურულ ქვედანაყოფში გამოიყოფა განყოფილება და სპეციალისტთა ჯგუფი, რომელთა ვალდებულებაა ანალიტიკური ფუნქციების შესრულება, ამასთან, ანალიტიკური სამუშაოს სპეციალიზირებული შესრულების მაღალი დონე ანუ სპეციალური ანალიტიკური ქვედანაყოფის შექმნა, უდავოა, მნიშვნელოვნად ააძაღლებს ანალიზის დონეს.

იმ შემთხვევაში, როდესაც ანალიზის ჩასატარებლად არ არის გამოყოფილი ცალკე სტრუქტურული ქვედანაყოფი, ანალიტიკური საქმიანობის ორგანიზაციაში წამყვანი როლი უნდა მივაკუთვნოთ ეკონომიკურ დეპარტამენტს. მან უნდა განხორციელოს ბანკის ყველა ქვედანაყოფის ანალიტიკური სამუშაოების კოორდინაცია, აგრეთვე მათ მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგების განზოგადოება.

აქტივების მართვის ხარისხის ანალიზი უნდა განხორციელდეს უფრო კვალიფიციური სპეციალისტების ჯგუფის მიერ, ვინაიდან, აქტივების მართვისა და მისი რეალიზაციის მეთოდის შერჩევაზე მთლიანად დამოკიდებული საბანკო დაწესებულების მუშაობის სტაბილურობა. ანალიზის ჩატარების რეგულარობა უნდა განისაზღვროს იმ მოცულობებითა და ვადებით, რომლითაც გაცემულია კრედიტები.

ანაბრებისა და გასაცემი კრედიტების დონეში მოსალოდნელი მერყეობის მოცულობის გამოვლენა უფრო თვალსაჩინოდ შეიძლება განხორციელდეს გრაფიკული და ანალიტიკური ცხრილის დახმარებით.

პასივების, აქტივების და ლიკვიდურობის მართვის ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა ლიკვიდურობის მიმდინარე მაჩვენებლების რეგულარული შედარება და შეფასება ნორმატივებთან, რომელიც დადგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

ინვესტიციური და კომერციული კრედიტების დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ანალიტიკური საქმიანობა მიმართული უნდა იყოს საბანკო რისკების მაქსიმალურად შემცირებისაკენ. ანალიზის ძირითად ამოცანათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ: სესხების შეფასების კრიტერიუმების შერჩევა, რომლებიც შეადგენენ ბანკის საკრედიტო პორტფელს, ამ კრიტერიუმების საფუძველზე სესხების შეფასების სისტემის შემუშავება; საკრედიტო პორტფელის სტრუქტურის

შესწავლა კლასიფიცირებული სესხების ჯგუფების ჭრილში; ყოველი ჩამოთვლილი ჯგუფის საპროცენტო რისკის სიდიდის შეფასება, სესხების გამო მოსალოდნელი დანაკარგებისათვის რეზერვის საკმარისობის განსაზღვრა; საკრედიტო პორტფელის ხარისხის გაზრდის და საკმარისი რეზერვის შესაქმნელი ღონისძიებების შემუშავება.

დაკრედიტების პროცესის ყოველი ეტაპის ანალიზი უნდა მოხდეს: საკრედიტო ხელშეკრულებების მომზადებისა და დადების დროს, რადგან მასზეა დამოკიდებული დაკრედიტების მთელი შემდგომი პროცესი და შედეგები. კრედიტების დაუბრუნებლობის ალბათობის მაქსიმალური შემცირებისათვის საჭიროა, რომ საკრედიტო განყოფილების ხელმძღვანელობამ ანალიზის ჩამტარებული მუშაკები უზრუნველყოს ნათლად ჩამოყალიბებული მოთხოვნებით შესესხებლის ფინანსური მდგომარეობის განსაზღვრისა და რისკის ხარისხის შეფასებისათვის.

მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკონომიკური ანალიზი ფასიანი ქაღალდების დეპარტამენტის მუშაობაში, ამასთან, ფასიანი ქაღალდების ოპერაციის ანალიზის ჩატარების ისეთი პერიოდულობა უნდა დაწესდეს, რომელიც ფინანსურ ბაზარზე მიმდინარე ცვლილებებზე ოპერატიულად რეაგირების შესაძლებლობას მოგვცემს.

ამიტომ ანალიტიკური სამუშაოს ორგანიზაცია უნდა ითვალისწინებდეს შემდეგი ძირითადი საკითხების დასმასა და შესწავლას: ფასიანი ქაღალდების სტრუქტურა და სახეები, რომლითაც მუშაობს ბანკი; როგორია ბანკის მდგომარეობა, როგორც ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილესი; როგორ ფასიან ქაღალდებს უშვებს და ყიდულობს; როგორია ბანკის საკრედიტო პორტფელში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების წილი და მათთან მუშაობის ტექნიკა; როგორია ფინანსური რისკის მოცულობა და მათი ფასიანი ქაღალდების მომავალი

ღირებულების პროგნოზირების გამოყენებული მეთოდები. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების სამუშაოთი დაკავებულ ქვედანაყოფში ანალიზის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტების ხარისხის შესწავლა, შემოსავლიანობის (აუქციონიდან შემოსავლიანობა, შემოსავლიანობა ანაზღაურებისაგან, დისკონტის სიდიდე), ლიკვიდურობის და რისკის პოზიციიდან.

ინფორმაციის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ანალიზი წარმოადგენს ახალი საბანკო ტექნოლოგიის დანერგვის სამუშაოს მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს. ავტომატიზაციის საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღება შეუძლებელია ბაზარზე მრავალი არსებული პროგრამების, პროდუქტებისა და ტექნიკის ღრმა და ყოველმხრივი შესწავლის გარეშე, მათი შეძენის დანახარჯებისა და მათი გამოყენებისაგან გათვალისწინებული შემოსავლის, სხვა—უპირატესობებისა და ნაკლოვანებების შეპირისპირების გარეშე.

ფინანსური ანგარიშგების და ეკონომიკური ანალიზის შემუშავების ავტომატიზაციის განყოფილებაში ბანკის ფინანსური ანგარიშგების სახეებისა და ფორმების, საგადასახადო ინსპექციაში წარდგენის ვადების, მასში შემავალი და მისი მაფორმირებელი საინფორმაციო ნაკადების გამოვლენის გათვალისწინებით, ეი პროგრამისტებისა და ანალიტიკოსების მიერ უნდა ყალიბდებოდეს ბანკის ფინანსური ანგარიშგების შედგენის ამოცანები, რომელიც ხელს უნდა უწყობდეს ბანკში ისეთი ავტომატიზირებული სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც ძირითადი იქნებოდა ბანკის არა მარტო მიმდინარე მდგომარეობის ანალიზის ჩატარებისათვის, არამედ პროგნოზირების, მთელი სამმართველო სისტემის საყრდენი. თანაც, თვით ანალიტიკური სამუშაოს და ანალიზის შედეგების გაფორმების მოხერხებულობისათვის, ამ სისტემაში უნდა შედიოდეს აუცილებლობის შესაბამისად ყოველგვარი

გრაფიკების, ცხრილების, დიაგრამების, ლოკუმენტებისა და რეგისტრების უნიფიცირებული ფორმები.

საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშსწორების დეპარტამენტი უნდა ახორციელებდეს კომერციული ბანკის ფინანსური საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის რეგულარულად ჩატარებას თავისი ფუნქციონალური ვალდებულებების გამო. გარდა ამისა, ის ამზადებს საინფორმაციო ბაზას სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებში ანალიზის ჩასატარებლად. საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებიდან ბანკის ხარჯების, შემოსავლების და მოგების თანხის გამოვლენის საფუძველზე ხდება ბანკის ბალანსის ოპტიმალური მართვა.

უსაფრთხოების მართვის სპეციალისტებმა, რომლებიც აწარმოებენ ბანკის ქვედანაყოფის საქმიანობის ეფექტურობის ანალიზს, უნდა მიაქციონ ყურადღება ბანკისა და მის გარშემო ოპერატიულ მდგომარეობას, დროულად გამოავლინონ და მოახდინონ შინაგანი და გარე საფრთხის ლიკვიდაცია. თავდაცვის სახეების და ფორმის შერჩევის ანალიზი, დღევანდელი არსებული ტექნიკური საშუალებების ღირებულებისა და საიმედობის თვალსაზრისით, უნდა ემყარებოდეს შესაძლო საფრთხისა და რისკის, აგრეთვე საშუალებების პრიორიტეტულობის პრინციპებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ბანკის პერსონალის და კლიენტების სიცოცხლის დაცვას, მათი გამოყენების ლეგალურობასა და კანონზომიერებას.

ბანკის საინფორმაციო უსაფრთხოების პრობლემების შესწავლისას ანალიზს უნდა ექვემდებარებოდეს მათში გამოყენებული დამუშავებული ავტომატიზირებული ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მეთოდები და ტექნოლოგიები, ბანკთაშორისი ელექტრონული გადარიცხვები და საბუთები, საკრედიტო ბარათების, ელექტრონული ჩეკების სისტემები.

დაკრედიტების რისკის შეფასების საკითხებს, გარანტიებისა და თავდებობის გაცემას, პარტნიორებისა და კლიენტე-

ბის საიმედოობას და კრედიტუნარიანობის შესახებ წყაროების ძიებისა და ანალიზის საკითხებს დამოუკიდებელი მნიშვნელობა გააჩნია.

საერთაშორისო ანგარიშსწორების ღრმა ფინანსური ანალიზის გარეშე არ შეიძლება გადაიჭრას სავალუტო ოპერაციების საბანკო მომსახურების სფეროს განვითარების და სრულყოფის პრობლემები. სავალუტო მომსახურების ახალი სახეების ძიება და დანერგვა, უცხოურ ბანკებთან თანამშრომლობის განვითარება, გაფართოება და სრულყოფა ბანკის კლიენტების საერთაშორისო ანგარიშსწორების განხორციელების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით მიმდინარეობს.

აუდიტის მართვის ანალიზის ობიექტს წარმოადგენს ფილიალები, სტრუქტურული და ფუნქციონალური ქვედანაყოფები, რომლებიც ემსახურებიან ბანკის სამეურნეო ქვედანაყოფებს. ამასთან, ანალიზის ორგანიზაცია დამოკიდებულია აუდიტორული შემოწმების მიზანსა და ამოცანებზე.

§ 3. ფინანსური ანალიზის პროცესში საინფორმაციო ბაზის გამოყენება

კომერციული ბანკები, თავიანთი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კონცენტრაციას უკეთებენ დიდი რაოდენობის სხვადასხვა საქმიანობის ინფორმაციას, რომლებიც ეხება როგორც თვით ბანკების ფუნქციონირებას, ისე მათ სამეურნეო და ფინანსურ სტრუქტურებს, სახელმწიფო ორგანოების ცალკეული რეგიონების ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებას, მთლიანად ეკონომიკური საქმიანობის სფეროს.

ფინანსური ანალიზი, როგორც პრაქტიკული მმართველობითი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი სახე, წინ უს-

წრებს ფინანსური საკითხების ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებას, შემდეგ კი აგროვებს და განაზოგადებს ინფორმაციას ბანკის საქმიანობისა და მისი მართვის შედეგების ეფექტურობის შესახებ. კომერციულ ბანკში საინფორმაციო ბაზას წარმოადგენს ინფორმაციის მთელი სისტემა, რომელიც გამოყენებულია მის ფინანსურ მმართველობაში.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე ხორციელდება კომერციული ბანკის საქმიანი და ფინანსური გარემოს ანალიზი. (იხ. სქემა. 1.3.).

კომერციული ბანკების მმართველობაში პოლიტიკური ხასიათის ინფორმაცია არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ეკონომიკური. ამასთან, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოებისაგან მიღებული ინფორმაციის წყაროებს წარმოადგენენ: კანონები, წესდებები, დადგენილებები, განკარგულებები, გადაწყვეტილებები, სხვა ნორმატიული და საკანონმდებლო აქტები.

საკმაოდ მნიშვნელოვანია საგარეო ეკონომიკური კომპლექსის და საქართველოს კომერციული ბანკების ერთმანეთზე გავლენა. ამასთან, ბანკები უნდა ფლობდნენ ინფორმაციას საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის; ცენტრალური სავალუტო ფონდების ჩამოყალიბების და გამოყენების წესების, ექსპორტისა და იმპორტის ოპერაციების მოცულობის, შინა სავალუტო ვალის სიდიდის და სხვა საკითხების შესახებ.

კომერციულ ბანკებში ფინანსური ანალიზის ჩატარების სქემა 1.3.

გარე ინფორმაციის წყაროები, რომლებიც გამოყენებულია კომერციული ბანკების
ფინანსურ ანალიზში

სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები

საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკები, საბანკო კავშირები და ასოციაციები

სხვა ფინანსური ინსტიტუტები

საქართველოს გარე ეკონომიკური კომპლექსი

უცხოური ინვესტორები და კრედიტორები

მსესხებლების ფინანსური ანგარიშგება და მათ შესახებ სხვა ცნობები

მეცნიერული პუბლიკაციები და სტატისტიკური მასალები ქვეყნისა და
სხვა სახელმწიფოს ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. საფონდო და
საველუტო ბაზარზე მსოფლიო საბანკო სისტემის მდგომარეობა,
რეიტინგი

საკრედიტო დაწესებულების ფინანსური მდგომარეობა პირდაპირ და უშუალოდაა დამოკიდებული მისი კლიენტებისა და განსაკუთრებით მსესხებლების ფინანსურ მდგომარეობაზე. ამიტომ ფინანსური ანგარიშგება და სხვა მონაცემები, რომლებიც ეხება ბანკების, კლიენტების კრედიტუნარიანობას, მიეკუთვნება ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროთა რიცხვს.

საინფორმაციო ანალიტიკური მასალების მნიშვნელოვან მოცულობას შეიცავს ამჟამად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული სხვადასხვა კრებულები, ამ გამოცემების ძირითადი დანიშნულებაა, კომერციულ ბანკებს გაუწიოს დახმარება ოპერატიულ ინფორმირებაში, ბაზარზე ფინანსური მდგომარეობის სიტუაციისა და მათ მიერ საკუთარი ფინანსური მდგომარეობის შეფასებაში. მაგალითად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული „მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი“ აქვეყნებს ინფორმაციებს საქართველოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი ასპექტების შესახებ, აგრეთვე კომერციული ბანკების საქმიანობის მნიშვნელოვან მაჩვენებლებს.

შინა ინფორმაციის წყაროები წარმოადგენენ ფინანსური ანალიზის საინფორმაციო ბაზის მთავარ შემადგენელ ნაწილს (იხ. სქემა. 1. 4).

კომერციული ბანკების საემისიო პროსპექტების მასალებიდან შეიძლება მივიღოთ მონაცემები მათი აქციონერების რაოდენობის, სამეთვალყურეო საბჭოს პერსონალური შემადგენლობის, ბანკის ფილიალების, განყოფილებების რაოდენობის, ბანკის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

ფინანსური ინფორმაცია, რომელიც საჭიროა ბანკებში ანალიზის ჩასატარებლად (დღეს ხელმისაწვდომია აგრეთვე გარე მომხმარებლისათვისაც) მოცემულია ბანკის ანგარიშგებაში. ამასთან, ფინანსური ანალიზის ძირითად საინფორმაციო წყაროს წარმოადგენს ანალიზური აღრიცხვის, საბუღალტრო და ფინანსური ანგარიშგების მონაცემები.

კომერციული ბანკების წლიური ანგარიშგების შემადგენლობაში შედის შემდეგი ფორმები: ბრუნვითი უწყისის სახით ბუღალტრული ბალანსი, ანგარიშგება მოგებისა და ზარალის შესახებ, მოგების და მოგებიდან შექმნილი ფონდე-

ბის გამოყენების შესახებ მონაცემები, ახსნა-განმარტებითი ბარათი.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში გამოიყენება ანგარიშგების შემდეგი ფორმები: ბალანსი, მოგებისა და ზარალის ანგარიშგება, ანგარიშგება დაფინანსების წყაროების მოძრაობის, სააქციო კაპიტალის ცვლილებების შესახებ, განმარტებები ფინანსური ანგარიშგების მიმართ, აუდიტორული დასკვნა, აგრეთვე კაპიტალის შუალედური სიდიდის ბალანსი (თუმცა ანგარიშგების ოფიციალურ დოკუმენტს არ წარმოადგენს, მაგრამ მათი დახმარებით განისაზღვრება ბანკის „შემოსავლების მკვდარი წერტილი“).

კომერციული ბანკის ბუღალტრული ბალანსი-ძირითადი დოკუმენტია, რომელიც გამოიყენება მისი ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად. დასავლეთის ბანკების მიერ ბალანსის აგების ძირითად პრინციპს წარმოადგენს აქტივების მუხლების დაჯგუფება მათი ლიკვიდურობის ხარისხის შემცირებით, ხოლო პასივების – მათი მოთხოვნის კლებით.

კომერციულ ბანკებში ფინანსური ანალიზის ჩასატარებელი შინა ინფორმაციის ძირითადი წყაროების ჩამოყალიბება მოცემულია სქემის სახით (იხ. სქემა 1.4).

პრაქტიკაში ბალანსის მუხლები ტრადიციულად ჯგუფდებოდა მისი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით, ამჟამად გამოყენებული ბუღალტრული ბალანსის ფორმაში მიმდინარეობს ორივე მითითებული პრინციპის გაერთიანება.

კომერციულ ბანკებში ფინანსური ანალიზის ჩატარების შინა ინფორმაციის წყაროები

დამფუძნებელი დოკუმენტები

შინაგანი ნორმატიული დოკუმენტები (სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებები, აღმასრულებელი ორგანოების ბრძანებები, განკარგულებები, ინსტრუქციები, დებულებები, სამმართველო გადაწყვეტილებების მიღების გარიგებებისა და ოპერაციების შესრულების სარეგომენდაციო წესები და პროცედურები

ბიზნეს-გეგმა

საემისიო პროსპექტები და ფასიანი ქაღალდების ემისიის შესახებ ანგარიშგება

ბანკის საქმიანობის შესახებ ანგარიშგება

საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემები

კომპიუტერულ სისტემაში არსებული საინფორმაციო ბაზა

შინა კონტროლისა და აუდიტის მასალები

მოწვეული აუდიტორების მიერ განხორციელებული შემოწმების მასალები

საქართველოს ეროვნული ბანკის საგადასახადო და სხვა ორგანოების მიერ შემოწმების მასალები

საკრედიტო და სხვა ხელშეკრულებები, გარიგებებისა და ოპერაციების რეალიზაციის დოკუმენტები

ბალანსში დარჩა რიგი ანგარიშები, ე. წ. მარეგულირებელი, კონტრაქტიური და კონტრპასიური ანგარიშები, მაგრამ ამჟამად ჯამი გამოიყვანება კონტრანგარიშების თანხის გამოკლებით. კერძოდ, ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ღირებულება განისაზღვრება მათი ცვეთის თანხის გამოკლებით, მოგების მოცულობა მცირდება მისი გამოყენების სიდიდით. საბოლოო შედეგი ფორმირდება პასივების ბრუნვისა და აქტივების ბრუნვისაგან.

მიმდინარე ანგარიშების დიდ მოცულობასთან ერთად, რომელიც უნდა გამოვიყენოთ ბანკებში ანალიზის ჩასატარებლად, ამ უკანასკნელს აქვს კიდევ სხვა უპირატესობანი ეკონომიკის სხვა დარგის სამეურნეო სუბიექტებთან შედარებით, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ბანკები, ტრადიციულად, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ, ყოველ საშუალო დღეს ამთავრებენ ბუღალტრული ბალანსის შედგენით, რომლის შესწავლას, შეფასებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ოპერატიული, ფინანსური ანალიზის ჩატარებაში.

ახალი ნორმატიული დოკუმენტების მიღებამ მიგვიყვანა ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკის არსებით ცვლილებამდე, შესაძლებელი გახდა მნიშვნელოვანწილად საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინება. ნორმატიული დოკუმენტები წარმოადგენენ, ერთი მხრივ, ფინანსური ანალიზის ინფორმაციის წყაროს, მეორე მხრივ-საბუღალტრო აღრიცხვის; ანალიზის და ორგანიზაციის სამართლებრივ და მეთოდოლოგიურ საფუძველს.

საქართველოს კომერციული ბანკების უმეტესი ნაწილის თანამედროვე ავტომატიზაციის საშუალებებით აღჭურვილობის მაღალმა დონემ ბოლო წლებში ხელი შეუწყო ბანკების საოპერაციო დღის სრულ ავტომატიზაციას. მაგრამ პროგრამული პროდუქტების მრავალსახეობის დროსაც დღეს არ არსებობს პროგრამები არა მარტო კომერციულ ბანკებში

კომპლექსური ანალიზის ჩასატარებლად, არამედ ცალკეული ანალიტიკური ამოცანებისათვის. ამის მთავარი მიზეზი მდგომარეობს კომერციული ბანკების მმართველობაში ფინანსური ანალიზის როლის შეუფასებლობით და როგორც შედეგი, ამ ამოცანების ავტომატიზირებული გადაწყვეტის მეთოდოლოგიური და მეთოდური უზრუნველყოფის არარსებობით.

§ 4. კომერციულ ბანკებში ფინანსური შედეგების მაჩვენებლების სისტემები

ბანკის მიერ მიღწეული ფინანსური შედეგების სიდიდე წარმოადგენს მასზე მოქმედი გარე და შინა ფაქტორების მთელი კომპლექსის ასახვას, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება: ბანკის გეოგრაფიული განლაგება, მისი მომსახურების ზონაში საკმარისი კლიენტურის ბაზის არსებობა, კონკურენციის დონე, ფინანსური ბაზრის განვითარების ხარისხი, სოციალურ-პოლიტიკური სიტუაცია რეგიონში, სახელმწიფო მხარდაჭერისა და სხვა ფაქტორების არსებობა. სხვა მხრივ, საკუთარი კაპიტალის სიდიდე, მოზიდული და განთავსებული სახსრების მოცულობა, შემოსავლების მომტანი და არმომტანი აქტივები, საერთო-საბანკო ხარჯების, ზარალის და დანაკარგების სიდიდე, პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენების მასშტაბები, ავტომატიზაციის თანამედროვე საშუალებები, შინა კონტროლისა და აუდიტის ორგანიზაცია და სხვა ფაქტორები, რომლებიც დამოკიდებულნი არიან თვით ბანკის საქმიანობაზე და მისი მართვის ხარისხზე. ბანკის ხელმძღვანელობის და პერსონალის ყველა პოზიტიური და ნეგატიური მოქმედება განზოგადებული სახით ვლინდება ბანკის ფინანსური საქმიანობის საბოლოო შედეგზე-მოგებაზე.

ფაქტორების მრავალგვარობა, რომლებიც გავლენას ახდენენ კომერციული ბანკის საქმიანობის შედეგებზე, განსაზღვრავს ამ შედეგების განხილვის აუცილებლობას, მისი გამოკვლევის პროცესში, როგორც მრავალფუნქციონალური და მრავალმიზნობრივი ეკონომიკური სისტემისა. ამიტომ მისი აღწერა უნდა მოხდეს ეკონომიკური მაჩვენებლების სისტემების საშუალებით.

კომერციული ბანკის ფინანსური შედეგების მაჩვენებლების ფორმირების ალგორითმი განისაზღვრება ბუღალტრული აღრიცხვის მიღებული სისტემით და ოფიციალური ფინანსური ანგარიშგების გამოყენებული ფორმით, რომლებსაც ადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი. თუმცა საბანკო სისტემის ფორმირების პროცესი ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, მიმდინარეობს ფინანსური ანგარიშგების ფორმებში ცვლილებები, იხვეწება მათი შინაარსი. ეს განპირობებულია საქართველოს ბანკების მსოფლიო საბანკო კავშირში ეკონომიკური ინტეგრაციის დაჩქარების მოთხოვნისა, დასავლურ სტანდარტებთან თანდათანობით მიახლოების აუცილებლობით.

ფინანსური ანგარიშგების ძირითად სახეს წარმოადგენს ბუღალტრული ბალანსი და ანგარიშგება მოგება-ზარალის შესახებ.

1999 წლის 5 თებერვლის საქართველოს კანონის—„ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“— მოთხოვნათა თანახმად, საქართველოს საბანკო დაწესებულებებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ანგარიშთა გეგმა და მისი გამოყენების ინსტრუქცია დამტკიცებულია საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის მიერ. მასში გათვალისწინებულია სინთეზური აღრიცხვის ანგარიშები, რომლებშიც ხორციელდება ბანკის ფინანსური საქმიანობის

ფორმირების შესაბამისი მაჩვენებლების თანმიმდევრული განსაზღვრა. ანგარიშების აღსანიშნავად გამოყენებულია ოთხნიშნა ციფრული კოდი და აქვს იერარქიული სტრუქტურა. პირველი ორი თანრიგი განსაზღვრავს კლასს, მესამე თანრიგით განისაზღვრება ჯგუფი, ხოლო მეოთხე თანრიგით — ჯგუფის შიგნით ცალკეული ანგარიშები. ამასთან, კლასის ორნიშნა თანრიგის პირველი ციფრით აღინიშნება 1-2 აქტივები, 3-4 ვალდებულებები, 5-კაპიტალი, 6-7 შემოსავლები, 8-9 ხარჯები და 0-ბალანსგარეშე ანგარიშები.

ფინანსური შედეგის ფორმირების პროცესი იწყება იქიდან, რომ 6-7 კლასის ანგარიშების—კრედიტზე გროვდება ყველა შემოსავლების ჯამი, რომელიც მიღებულია საანგარიშგებო წელს, ხოლო 8-9 კლასის ანგარიშების—დებეტზე ხარჯები.

საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებისას ფინანსური შედეგის განსაზღვრისათვის ხდება შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშების დახურვა. საკრედიტო ორგანიზაციების მიერ მიღებული დადგენილების საფუძველზე ფინანსური შედეგის განსაზღვრა (მოგება ან ზარალი) მიმდინარეობს ყოველთვე, კვარტალში ერთხელ ან წლის ბოლოს.

მოგება ან ზარალი განისაზღვრება მოგების ანგარიშის—დებეტში ხარჯების ამსახველი ანგარიშებიდან ნაშთების გადატანით და ანგარიშის—კრედიტში შემოსავლების ამსახველი ანგარიშების ნაშთების მიკუთვნებით.

შემოსავლებისა და ხარჯების თანხის მიკუთვნება მორეორიგის ანგარიშებზე წარმოებს შემოსავლების და ხარჯების ანალიზური ანგარიშების სპეციალური სქემის მიხედვით.

ზარალი, როგორც ფინანსური საქმიანობის შედეგი, იფარება ბანკის დამფუძნებლების (აქციონერები) კრებაზე განსაზღვრული წყაროების ხარჯზე.

მოგების დაგროვების პროცესი მიმდინარეობს მისი გამოყენებისაგან განცალკევებულად და წინა პერიოდის მოგება არ ჩაირიცხება საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში (ე. ი. აღრე მიღებული შედეგები, განცალკევებულია მიმდინარე საქმიანობის მაჩვენებლებისაგან). მოგება გროვდება ანგარიშზე „საანგარიშგებო წლის მოგება“, ხოლო ანგარიშიდან „წინა წლების გაუნაწილებელი მოგება“ იხარჯება. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, საანგარიშგებო წელს გამოყენებული მოგება არ ახდენს ზემოქმედებას საანგარიშგებო მოგების სიდიდესა და მომდევნო წლის მოგებაზე.

ზემოთ აღნიშნული აღრიცხვის მონაცემების საფუძველზე ფორმირდება ბანკის საქმიანობის ფინანსური შედეგი არა მხოლოდ ბუღალტრულ ბალანსში, არამედ მოგებისა და ხარალის პერიოდულ ანგარიშგებაში.

პერიოდული ანგარიშგების უდავო უპირატესობას წარმოადგენს ბანკის შემოსავლების და ხარჯების ზუსტი სისტემატიზაცია და სტრუქტურისა.

შემოსავლებისა და ხარჯების მუხლების დაჯგუფება ერთგვაროვანი ნიშნების მიხედვით საშუალებას იძლევა გამოვიყვანოთ ბანკის მიერ შესრულებული ცალკეული სახის ოპერაციებიდან შუალედური შედეგები. ყველა შემოსავლები და ხარჯები მასში გამოიყოფა ქვეჯგუფებად, რომელშიც აისახება ერთგვაროვანი ოპერაციებიდან მიღებული ფინანსური შედეგები, ეს კი აძლევს ანგარიშგების ფორმას საკმაოდ ანალიტიკურ სახეს.

ბანკის ბუღალტრული ბალანსი, თავისი არსით, წარმოადგენს პირველი რიგის ანგარიშების მიხედვით ბრუნვათა უწყისს. საბალანსო ანგარიშგების შედეგენის საფუძველს წარმოადგენს ანგარიშგების მუხლების დაჯგუფება ეკონომიკური შემაჯგენლობით: აქტივები, ვალდებულებები და საკუთარი საშუალებები. ამ შემთხვევაში, აქტივები ჯგუფდება

მათი ლიკვიდურობის შემცირების ხარისხით, ხოლო პასივები-მათი მოთხოვნის (დაფარვის) მოცულობით, რაც შეესაბამება დასავლეთის ქვეყნების ბანკებში მიღებული ანგარიშგების შედეგების პრინციპებს.

ანგარიშგების ფორმა წარმოადგენს ბანკის ფინანსური შედეგების მაჩვენებლების ფორმირების ეკონომიკურ მოდელს. ის აგებულია მიღებული შემოსავლების, რომლებიც კლასიფიცირებულია მათი წარმოქმნის წყაროების მიხედვით, მათი შესაბამისი ხარჯების ჯგუფებთან თანაფარდობის პრინციპზე (პროცენტული, სხვა საოპერაციო, მიმდინარე შემოსავლები და ხარჯები). ანგარიშგების მოცემული ფორმის და ერთდროულად გაანგარიშების უპირატესობას წარმოადგენს ბანკის ფინანსური შედეგების ფორმირების წარმოების შესაძლებლობის არსებობა განსაზღვრული თანმიმდევრობით, ეტაპობრივად, შუალედური შედეგების საშუალებით (გათვალისწინებულია წმინდა პროცენტები, მიმდინარე საოპერაციო, წმინდა შემოსავლები, წმინდა მოგება), რაც გვაძლევს საშუალებას, დავაკვირდეთ მოგების ფორმირების ეტაპებს და მის საბოლოო სიდიდეს, აქტიურად ვმართოთ ბანკის შემოსავლების და ხარჯების ფორმირების პროცესები.

ფინანსური შედეგების ფორმირების დასავლურ მოდელში სესხების შესაძლო დანაკარგებზე რეზერვის გაანგარიშება წარმოებს, როგორც წმინდა საოპერაციო შემოსავლიდან, ასევე წმინდა პროცენტული შემოსავლიდან. მოგების საბოლოო მაჩვენებელზე ეს არ აისახება. მაგრამ თეორიული თვალსაზრისით, უფრო დასაბუთებულად ითვლება რეზერვის ფორმირება მოვანდინოთ უშუალოდ წმინდა პროცენტული შემოსავლების განსაზღვრის შემდეგ, რადგან რეზერვები თავისი ეკონომიკური შემადგენლობით განეკუთვნება შესაძლო პროცენტულ ხარჯებს. ფინანსური შედეგების მაჩვენებლების

ანალიზის დროს უნდა გავითვალისწინოთ ეს მოცემული გარემოება.

მოგება და ზარალის ანგარიშების საფუძველზე ანალიტიკური მოდელების გამოყენება შეიძლება გახდეს კომერციული ბანკის შემოსავლებისა და ხარჯების სტრატეგიული და ოპერატიული მართვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. მათი დახმარებით ბანკის მენეჯერებს შეუძლიათ, დროულად მოახდინონ ზემოქმედება ფინანსური შედეგების ფორმირებაზე, მათი პროცენტული და არაპროცენტული ოპერაციებიდან, იმ ოპერაციების არჩევის გზით, რომელთა შემოსავლის დონე მაღალია, აწარმოონ მუშაობა შემოსავლების წყაროების დივერსიფიკაციაზე, უზრუნველყონ პროცენტული განაკვეთის პერყეობის რისკის შემცირება.

ფინანსური შედეგების შინა მართვისთვის შეიძლება გამოვიყენოთ შემოსავლების და ხარჯების ფორმირების, შემდეგი მიმართულებებით პირობითი დაყოფა.

- შემოსავლები საოპერაციო საქმიანობიდან;
- შემოსავლები არაძირითადი საქმიანობიდან;
- ბანკის მიერ მიუღებელი სახსრები;
- ბანკის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯები;
- ხარჯები სარისკო ოპერაციების ჩატარებისათვის.

შემოსავლებისა და ხარჯების მოცემული კვალიფიკაციის საფუძველზე აგებულ მოდელს აქვს უფრო ლაკონური ფორმა. თუმცა, შემოსავლებისა და ხარჯების მუხლების ასეთი დეტალიზაცია, რა თქმა უნდა, არასაკმარისია რიგი ამოცანების გადაწყვეტისათვის.

კომერციულ ბანკებში ფინანსური შედეგების მაჩვენებლების ფორმირების პრობლემების გამოკვლევისას საჭიროა ჩავატაროთ აღნიშნულ საკითხებზე საქართველოს და დასავლეთის ბანკების პრაქტიკაში არსებული გადაჭრის გზების

შედარებითი ანალიზი, მიღებული შედეგები საფუძვლად უნდა დაედოს საქართველოს კომერციულ ბანკებში ფინანსური ანგარიშგების ფორმის სრულყოფას.

ამერიკული ბანკებისათვის ფინანსური შედეგების ფორმირების ყველაზე გავრცელებული თანმიმდევრობა შემდეგია: წმინდა პროცენტულ შემოსავლებს ემატება წმინდა არაპროცენტული შემოსავლები და მიიღება შემოსავლები გადასახადის გადახდამდე.

ჩვენი აზრით, უფრო ლოგიკურია არაპროცენტული ხარჯების გამოქვითვა წმინდა პროცენტული და საოპერაციო შემოსავლების ჯამიდან, რადგან არაპროცენტული ხარჯები მთლიანობაში ბანკის საერთო ხარჯებს წარმოადგენს. ასეთ მოდელში ფინანსური შედეგების ფორმირების პროცესი რეკომენდირებულია, დავყოთ ორ დამოუკიდებელ ეტაპად: წმინდა საოპერაციო შემოსავლების ფორმირების ეტაპი და არაოპერაციული შემოსავლებისა და ხარჯების ფორმირების ეტაპი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომერციული ბანკების ანგარიშგების მუხლების შემადგენლობა და თანმიმდევრობა რეგლამენტირდება ინსტრუქციით. წმინდა მოგების ფორმირების მოდელი შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

1. პროცენტული შემოსავალი;
2. პროცენტული ხარჯი;
3. პროცენტული მარჟა (სტრ. 1 – სტრ. 2);
4. საოპერაციო შემოსავლები;
5. მთლიანი საოპერაციო შემოსავალი (სტრ. 3 + სტრ. 4);
6. საოპერაციო ხარჯები;
7. წმინდა საოპერაციო შემოსავალი (ზარალი) (სტრ.5 – სტრ.6);
8. რეზერვების შექმნის ხარჯები სესხების მიხედვით შესაძლო ზარალის დასაფარავად;

9. ხარჯები უიმედო ვალების ჩამოწერაზე;
10. ზარალი (მოგება) არასტანდარტული საქმიანობიდან;
11. არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები (სტრ. 8+9±10);
12. წმინდა შემოსავალი (ზარალი) გადასახადის გადანდამდე (სტრ. 7±11);
13. საშემოსავლო გადასახადი;
14. წმინდა შემოსავალი (ზარალი).

მუხლების ასეთი დაჯგუფება საშუალებას იძლევა, განვსაზღვროთ, ბანკის შემოსავლები და ხარჯები რა ხარისხით არის დამოკიდებული მათ მიერ ჩატარებულ ძირითად ოპერაციებზე (პროცენტული და არაპროცენტული) და რა ხარისხით—სხვა ფაქტორებზე.

დასავლეთის ბანკებშიც ფინანსური შედეგების მაჩვენებლების ფორმირების წესები ზემოთ განხილულის ანალოგიურია. მისი მოდიფიკაციის მრავალმხრივობა არ ცვლის საერთო შედეგს, რომელიც ბანკის წმინდა მოგებას წარმოადგენს. ხოლო თვით წმინდა მოგების (ზარალის) ფორმირების მოდელები განსხვავდება ერთმანეთისაგან მხოლოდ გაანგარიშების თანმიმდევრობით, რომელიც ხორციელდება შემოსავლებისა და ხარჯების ერთგვაროვანი სახეების შეფარდების საფუძველზე.

საქართველოსა და საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში გამოყენებული ფინანსური შედეგების ფორმირების მეთოდების შედარებამ გვიჩვენა, საქართველოში კომერციული ბანკის ფინანსურ შედეგებზე ანგარიშგების სხვადასხვა ფორმის არსებობა, რომელიც განისაზღვრება რამდენიმე მეთოდოლოგიური მიდგომის გამოყენებით, განსხვავებულ ხარისხში აკმაყოფილებს შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებს, რაც განპირობებულია კომერციულ ბანკებში რეფორმების დაუმთავრებლობით, რომელიც ხორციელდება საქართველოში საბაზრო ურთიერთობების განვითარებისა და განმტკიცების პარალელურად.

თავი II. კომერციულ ბანკებში ფინანსური შედეგებისა და რენტაბელობის ანალიზი

§ 1. შემოსავლების ანალიზი

კომერციული ბანკების ფინანსური შედეგების ანალიზის პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მიღებული შემოსავლების მოცულობისა და ხარისხის შესწავლას, რამდენადაც ისინი, თავის მხრივ, საკრედიტო ორგანიზაციების მოგების ფორმირების მთავარ ფაქტორს წარმოადგენს. მეორე მხრივ, შემოსავლების შემცირება, როგორც წესი, თავისთავად წარმოადგენს ბანკის გარდაუვალი ფინანსური სიძნელეების ობიექტურ ინდიკატორს. ზემოთ აღნიშნული გარემოებები განაპირობებს ფინანსური შედეგების შესწავლაში მთლიანი შემოსავლების ანალიზის მნიშვნელობას.

ბანკის შემოსავლების ანალიზის საკითხების მთელი კომპლექსის ყოველმხრივი გაშუქებისათვის საჭიროა სპეციალური გამოკვლევის ჩატარება. ამჟამად ბანკებს გააჩნია საკმაო მოცულობის საინფორმაციო ბაზა ანალიზისათვის, რომლის ჩატარების საშუალებად შეგვიძლია გამოვიყენოთ მისი მეთოდების მთელი არსენალი, პირველ რიგში, ყურადღება უნდა გავამახვილოთ შემოსავლების ანალიზის საერთო მეთოდოლოგიურ შემუშავებაზე, მისი ამოცანების დეტალიზაციაზე, მთლიანი შემოსავლების სიდიდის ფორმირების ძირითადი ფაქტორების დადგენაზე.

ბანკის შემოსავლების ანალიზის პრიორიტეტულ ამოცანათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ: შემოსავლების მოცულობის სტრუქტურის განსაზღვრა და შეფასება, დინამიკის შესწავლა, შემოსავლების სიდიდეზე მოქმედი ფაქტორების დადგენა, შემოსავლების გაზრდის რეზერვების გამოვლენა.

შემოსავლების სტრუქტურის ანალიზის დროს შემოსავლები იყოფა პროცენტულად და არაპროცენტულად.

როგორც წესი, ბანკებისათვის უფრო მნიშვნელოვანს წარმოადგენს პროცენტული შემოსავლები. ბანკის მიერ მიღებული შემოსავლების სიდიდის შეფასება შეიძლება მოვახდინოთ ცხრილი 2.1-ის საშუალებით.

ბანკის პროცენტული შემოსავლების ანალიზი

ცხრილი 2.1

პროცენტული შემოსავლები	ხვედრი. წილი %	ზრდის (კლების) ტემპი %	პროცენტული შემოსავლების მიღებისას გამოყენებული აქტივების სახეები	ხვედრი. თი წილი %	ზრდის (კლების) ტემპი %
ბანკებში კრედიტების, დეპოზიტების სახით ანგარიშებზე განთავსებული სახრებიდან	18.2	115.3	სახსრები ბანკებში	12.9	125.5
კლიენტებისათვის გაცემული სესხებიდან	43.4	93.9	სასესხო დავალიანება რეზერვის გამოჭეთვის შემდეგ	54.6	136.7
კლიენტების მიერ ძირითადი საშუალებების იჯაროდან, მისი შემდგომი გამოსყიდვის უფლებით	12.6	104.7	იჯარა შემდგომი გამოსყიდვის უფლებით	8.6	128.1
ფასიანი ქაღალდებისაგან ფიქსირებული შემოსავალი	21.3	118.5	ფასიანი ქაღალდები გასაყიდი-ინვესტიციებისათვის, თამასუქები	20.1	74.2
სხვა წყაროებიდან	4.5	132.1	სხვა აქტივები	3.80	65.2
სულ:	100.0		სულ:	100.0	

ცხრილი 2.1-ის მონაცემები მოწმობს, რომ ყველაზე დიდი ხვედრითი წილი (43%) უკავია კლიენტებზე გაცემული სესხებიდან მიღებულ შემოსავლებს, რომლის სიდიდე განხილულ პერიოდში დაეცა 6%-ით. ამასთანავე, ბანკის მთლიან აქტივებში არსებული მაღალი (54%) სასესხო დავალიანება იმ შემოსავლებისაგან განსხვავებით, რომლებიც მიღებულია

მათი გამოყენების შედეგად, გაიზარდა 36.7%-ით, აღნიშნული ფაქტები მოწმობს ბანკის სასესხო ოპერაციებიდან შემოსავლიანობის შემცირებას.

ბანკის პროცენტული შემოსავლების ანალიზის პროცესში აუცილებელია დავადგინოთ პროცენტული შემოსავლების მომტანი აქტივების საერთო სიდიდისა და სტრუქტურული ცვლილებების ტემპები, მოვახდინოთ მათი შემოსავლების გამოყენების ზრდის (კლების) ტემპთან შედარება, გამოვავლინოთ ბანკის მიერ ჩატარებული აქტიური ოპერაციების პროცენტული განაკვეთების საერთო ღონის ცვლილებები, განვსაზღვროთ სასესხო პროცენტზე, სასესხო კაპიტალის ბაზარზე კრედიტების მოთხოვნის და წინადადებების თანაფარდობების, აგრეთვე გაცემული სესხის მოცულობის და პირობების ზეგავლენა, კერძოდ: მათი დაფარვის ვადა, მათთვის დამახასიათებელი რისკი, საკრედიტო უზრუნველყოფა და სხვა.

ანალიზის შემდეგ ეტაპზე უნდა შეფასდეს ოპერაციების სახეების მიხედვით საშუალო სახელშეკრულებო პროცენტების ფორმირების საფუძველიანობა, პროცენტული მარჟის სიდიდის საკმარისობის თვალსაზრისით. აგრეთვე, უნდა შეფასდეს პროცენტული განაკვეთების დიფერენციაციის შკალის მაჩვენებლებთან შესაბამისობა, მიეცეს შეფასება გაცემულ სესხებზე უზრუნველყოფადობის სიდიდეს, ხარისხს, ლიკვიდურობას, ხელმისაწვდომობას, გამოვლინდეს წინა პერიოდში გაცემული სესხების მიხედვით გადავადებული დავალიანებების სტრუქტურისა და მოცულობის დინამიკა, განხილულ იქნეს პროცენტული შემოსავლების სიდიდეზე დაუფარავი ვალების ჩამოწერის ზეგავლენა, განისაზღვროს და შეფასდეს მზარდი პროცენტების სიდიდის წილი მიღებული შემოსავლების საერთო მოცულობაში.

ნაზარდ პროცენტად ითვლება ბანკის პროცენტული ოპერაციების შემოსავლები და ხარჯები, რომელიც მიეკუთვნება საანგარიშგებო პერიოდს, მაგრამ ამ პერიოდის ბოლოსათვის ჯერ არ არის მიღებული ან გადახდილი. მათი მოცულობა შეიძლება განესაზღვროთ ფორმულით:

$$h = \frac{\text{კრედიტის საერთო თანხა (ანაბარი)} \times (\text{წლიური პროცენტული განაკვეთი} \times P)}{365 \text{ (366) (დღეთა რიცხვი)}}$$

სადაც h - ნაზარდი შემოსავლები (ხარჯები);
P - ზრდის პერიოდი დღეებში.

ნაზარდი პროცენტების სიდიდე არ არის რეალური შემოსავალი ან ხარჯი, არამედ შემოსავლის მიღების უფლება, ან სხვა პირის სასარგებლოდ სახსრების გადახდის ვალდებულება და ნიშნავს, რომ პროცენტული შემოსავლების ზრდა ნაზარდი პროცენტული შემოსავლების ხარჯზე არ შეიძლება შეფასდეს დადებითად. ამასთანავე, ნაზარდი პროცენტული შემოსავლების ანალიზის პროცესში უნდა დადგინდეს, ზომ არ ერიცხება პროცენტები კრედიტებს, რომელთა დაბრუნების ალბათობა მნიშვნელოვანწილად დაბალია, რასაც მიეყავართ პროცენტული შემოსავლების და მოგების, საბოლოოდ კი გადასახადისა და დივიდენდების ხელოვნური ზრდისაკენ.

შემოსავლების ანალიზის პროცესში სპეციფიკურია ვადაგადაცილებული კრედიტებისაგან მიღებული პროცენტები. მისი შესწავლისას, გაცემული კრედიტების პროცენტული განაკვეთის საფუძვლიანობის საკითხებთან ერთად, უნდა განვიხილოთ კრედიტების უზრუნველყოფის სხვა ტრადიციული ამოცანები, შევაფასოთ გაცემული სესხების რისკი ამა თუ იმ ჯგუფზე, ბანკის ანგარიშგებაში მისი ასახვის სისწო-

რე, საკრედიტო რისკით გამოწვეული დანაკარგების დასაფარავად შექმნილი რეზერვის საკმარისობა, მისი შესაბამისობა ფაქტიურად გაანგარიშებულ თანხასთან.

კომერციულ ბანკებში არაპროცენტულ შემოსავლებს უნდა მივაკუთვნოთ:

- საკომისიო შემოსავლები;
- შემოსავლები, რომლებიც მიღებულია უცხოური ვალუტის, სავალუტო ფასეულობების და საკურსო სხვაობების ოპერაციებიდან;
- შემოსავლები, რომლებიც მიღებულია ძვირფასი ლითონების, ფასიანი ქაღალდების და სხვა ქონების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან, ძვირფასი ლითონების, ფასიანი ქაღალდების და სხვა ქონების გადაფასებიდან;
- შემოსავლები ღივიდენდების სახით;
- სხვა მიმდინარე შემოსავლები.

არაპროცენტული შემოსავლების ანალიზის ჩატარების დროს აუცილებელია, განვსაზღვროთ მათი ხვედრითი წილი შემოსავლების საერთო მოცულობაში, გამოვავლინოთ ყველაზე უფრო შემოსავლიანი მომსახურების სახეობა, შევაფასოთ გაწეული მომსახურების თითოეული ჯგუფისათვის ბანკის მიერ საკომისიოების (ტარიფები) ფორმირებისას გამოყენებული მეთოდები, შევისწავლოთ გაწეული მომსახურების ფაქტიური თვითღირებულება, მეთოდური უზრუნველყოფის ხარისხი, რომელიც გათვალისწინებულია ცალკეული არასაკრედიტო მომსახურების თვითღირებულების განსაზღვრისათვის, გაირკვეს პერსონალისათვის არსებული მასტიმულირებელი სისტემის ეფექტიანობა, გაწეული მომსახურების ხარისხის და ღირებულების დონე.

კომერციული ბანკის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს კრედიტების გაცემისა და საინვესტიციო ოპერაციებიდან მიღებული პროცენტები.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საკრედიტო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლების ანალიზის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ბანკში არსებული საჭირო მეთოდური უზრუნველყოფანი და საკრედიტო საბუთები, რომელთა სისრულე და ხარისხი ყოველმხრივ უნდა იქნეს განხილული.

სხვა სახის შემოსავლები მიღებული ფასიანი ქაღალდების ოპერაციებიდან, რომლებიც თავისთავად წარმოადგენენ დისკონტურ შემოსავლებს, აქციებში დაბანდებული დივიდენდები, ფასიანი ქაღალდების ოპერაციებიდან საკომისიოები, ფასიანი ქაღალდების გადაფასებიდან მიღებული შემოსავლები, ბანკის ფასიანი ქაღალდების ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლების უმნიშვნელო ნაწილს შეადგენენ. ამასთანავე, ბანკის მიერ მიღებული საპაიო და სააქციო შემოსავლები უნდა განვიხილოთ არა მარტო, როგორც გარეგან პირობებზე დამოკიდებული, არამედ შევაფასოთ ბანკის ხელმძღვანელობის მიერ მიღებული სიფრთხილისა და შორსმჭვრეტელობის პოზიციიდან.

იმ შემთხვევაში, როდესაც დივიდენდების, პროცენტების და წილობრივი მონაწილეობის შედეგად მიღებულ შემოსავლებს მაღალი ხვედრითი წილი უკავიათ ბანკის საერთო შემოსავლების ჯამში, არ არის საჭირო მათი მნიშვნელობის გადამეტებით შეფასება, რამდენადაც ისინი, როგორც წესი, არ არიან სტაბილურნი.

კლიენტებისა და ბანკებისათვის გაწეული მომსახურებისათვის მიღებული საკომისიო შემოსავლები ასევე შემოსავლები, რომლებიც მიეკუთვნება „ბანკის სხვა შემოსავლებს“, პირდაპირ დამოკიდებულია კლიენტების მომსახურებასთან დაკავშირებულ დანახარჯებზე. საკომისიოს სიდიდეზე, რო-

მელსაც იღებენ სხვა ბანკები ანალოგიური მომსახურებისათვის, საბანკო ოპერაციების ავტომატიზაციის ხარისხსა და სხვა ფაქტორებზე.

შემოსავლების ვერტიკალური ანალიზის ჩატარების შედეგად უნდა დადგინდეს ყველა განსახილველი პერიოდისათვის ბანკის შემოსავლების მიღების უზრუნველყოფელი ძირითადი ფაქტორები, ხოლო ჰორიზონტალური ანალიზის შედეგად დგინდება მათი დინამიკა, თანაც ეს ანალიზი უნდა განხორციელდეს შემოსავლების მაჩვენებლებზე ინფლაციის პროცესების ზეგავლენის გათვალისწინებით.

ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდში შემოსავლების ცვლილებაზე ინფლაციის გავლენა შეიძლება განისაზღვროს ინფლაციის წლიური ინდექსის გამოყენებით.

ბანკის საქმიანობის ძირითადი მიმართულების მიხედვით შემოსავლების ანალიზის ჩატარების შემდეგ საჭიროა ყველა გამსხვილებული მუხლების უფრო დეტალური განხილვა (იხილეთ ცხრილი 2.2).

შემოსავლების სტრუქტურის დინამიკის შესწავლისას განისაზღვრება შემოსავლების ყოველი გამსხვილებული მუხლის ფაქტიური სიდიდის ბიზნეს-გეგმის მიხედვით დადგენილი სიდიდისაგან გადახრაზე მოქმედი ფაქტორების ზეგავლენა.

კომერციულ ბანკებში შემოსავლების გამსხვილებული მუხლების ანალიზი

ცხრილი 2.2

შემოსავლის გამსხვილებული დასახელება	შემოსავლები ლარებში		შემოსავლები ევ-ლენტში		სულ
	ათასი ლარი	ჯამი %-ში	ათასი ლარი	ჯამი %-ში	ათასი ლარი
1) გაყვანილი კრედიტებისაგან მიღებული პროცენტები	44790	48.87	-	-	44790
1. გაყვანილი კრედიტებისაგან მიღებული პროცენტები (ხწრაფი)	32077	35.0	-	-	760
2. დაგვიანებით გადახდილი კრედიტებიდან მიღებული პროცენტები	760	0.8	-	-	
3. ვალადაცემული პროცენტების მიღება	11861	12.94	-	-	11861
4. ხსენა დაბანდებული ანგარიშებიდან მიღებული პროცენტები	40	0.04	-	-	40
5. ბანკში გახსნილი ანგარიშებიდან მიღებული პროცენტები	52	0.06	-	-	52
6. დეპოზიტებიდან და ხსენა დაბანდებული სახსრებიდან მიღებული პროცენტები	-	-	-	-	-
2) ფასიანი ქაღალდების ოქრაციებიდან მიღებული შემოსავლები	18638	20.33	-	-	18638
1. საჯარო ემისიებში დაბანდებიდან პროცენტული შემოსავლები	1787	1.94	-	-	1787
2. თამბუქებიდან პროცენტული შემოსავალი	3	-	-	-	3
3. თამბუქებიდან დისკონტური შემოსავალი	1413	1.55	-	-	1413
4. ფასიანი ქაღალდების გაყვანილი მიღებული შემოსავლები	982	1.07	-	-	982
5. აქციებიდან დაბანდებიდან მიღებული დივიდენდები	3	-	-	-	3
6. ხსენა შემოსავლები მიღებული ფასიანი ქაღალდების ოქრაციებიდან.	14450	15.77	-	-	14450
3) უცხოური ემისიების და ხსენა საეკონომიკური ფასიანი ქაღალდების ოქრაციებიდან მიღებული შემოსავლები	-	-	11902	100.00	11902
1. უცხოური ემისიების ოქრაციებიდან მიღებული შემოსავლები	-	-	11902	100.00	11902
2. საეკონომიკური ანგარიშების გადაყვანილი მიღებული შემოსავლები	-	-	-	-	-
4) აქციების გარდა დივიდენდები	-	-	-	-	-
1. დივიდენდები სამურეწეო საქმიანობაში მონაწილეობისათვის	-	-	-	-	-
2. დივიდენდები საწესდებო კაპიტალში მონაწილეობისათვის	-	-	-	-	-
5) ბანკის ორგანიზაციებიდან მიღებული შემოსავლები	-	-	-	-	-
6) ჯარიმები, საურაგები, პირვასამტეხლოები	-	-	-	-	-
7) ხსენა შემოსავლები	28216	30.80	-	-	28216
1. ფონდების და რეზერვების ანგარიშებიდან თანხების აღდგენა	13459	14.69	-	-	13459
2. მიღებული საკომისიოები	13	0.02	-	-	13
3. ხსენა მიღებული შემოსავლები	15744	16.09	-	-	14744
სულ შემოსავლები	91644	100.00	11902	100.00	103546

მაგალითად შემოსავლების ანალიზის დროს, რომელიც მიღებულია გაცემული კრედიტებისაგან პროცენტების სახით, საჭიროა შემოსავლების ყოველი ქვეჯგუფის შეფარდება ბანკის გამოყენებული აქტივების შესაბამის სიდიდესთან. (იხ. ცხრილი 2.3)

ბანკის შემოსავლების მისაღებად გამოყენებული აქტივების სიდიდესთან შეფარდების ანალიზის ცხრილი

ცხრილი 2.3

№	ბანკის შემოსავლების შეფარდება შესაბამის აქტივებთან	1	2	3
1	<u>გაცემული კრედიტებიდან მიღებული პროცენტები</u> ბანკის მიერ გაცემული კრედიტების სურათო ჯამი	0.29	0.31	0.52
2	<u>თავის დროზე გადაუხდელი კრედიტებისაგან მიღებული პროცენტები</u> თავის დროზე გადაუხდეელი კრედიტების თანხა	0.06	0.02	0.03
3	<u>ვალა გადაცილებული პროცენტების მიღება</u> ვალა გადაცილებული კრედიტების სიდიდე	0.86	0.75	0.96
4	<u>სხვა დასაწესებელი მიღებული პროცენტი</u> სხვა დასაწესებელი სახსრების სიდიდე, რომელზეც გათვალისწინებულია პროცენტი	0.01	0.01	0.01
5	<u>ბანკში გახსნილი ანგარიშებიდან მიღებული პროცენტები</u> გახსნილ ანგარიშებზე თანხების ჯამი	0.06	0.07	0.03
6	<u>დებოზიტებიდან და სხვა დასაწესებელი მიღებული პროცენტები</u> ხელშეკრულებით გათვალისწინებული დებოზიტებისა და სხვა დასაწესებელი სახსრების ჯამი	-	-	-

ბანკის მიერ მიღებული გადავადებული პროცენტების სიდიდის შემცირების მიზეზი შეიძლება იყოს არა მარტო პრობლემური კრედიტების მოცულობის შემცირება, არამედ კლიენტების მიერ საერთოდ გადაუხდელი სესხების მოცულობის ზრდა. მიღებული პროცენტების სიდიდის შედარებისას გადავადებული კრედიტების სიდიდესთან, საჭიროა დად-

გინდეს ბანკის აღნიშნული შემოსავლების სიდიდის ცვლილებების ნამდვილი მიზეზები. თუ იზრდება პირველი შეფარდების მაჩვენებელი, ე. ი. ადგილი აქვს გადავადებული სესხების სიდიდის შემცირებას, რაც, ბუნებრივია, უნდა შეფასდეს დადებითად. მეორე მაჩვენებლის ზრდის დროს ხდება გადაუხდელი სესხების მოცულობის ზრდა.

შედარებით სტაბილურია კრედიტებისაგან მიღებული პროცენტული შემოსავალი და საბანკო მომსახურებიდან უპროცენტო შემოსავალი. არასტანდარტულს მიეკუთვნება ფასიანი ქაღალდების არასტანდარტული (არატრადიციული) ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები. სახელმწიფოს მიერ სავალუტო კურსის, კერძოდ, აშშ დოლარის ლართან რეგულირების მიუხედავად, უცხოური ვალუტიდან მიღებული შემოსავლები შეიძლება არასტაბილურს მივაკუთვნოთ.

შემოსავლების ანალიზის გაღრმავება შეიძლება მსხვილი მსესხებლების მიხედვით, კლიენტების მიკუთვნებით ეკონომიკის გარკვეული დარგისათვის ძირითადი გარიგებების და ოპერაციების სახეობის ჭრილში. კომერციული ბანკების შემოსავლების შესწავლის განხილული საშუალებები შესაძლებლობას იძლევა, შევაფასოთ მათი სიდიდე სხვადასხვა პოზიციებიდან, მაგრამ უდავოა, რომ ისინი არ შეიძლება ამომწურავნი იყვნენ.

საჭიროა კიდევ ერთხელ გაესვას ხაზი იმას, რომ დღეს ბანკებს შემოსავლების ანალიზის პრაქტიკული ჩატარებისათვის გააჩნიათ უმდიდრესი საინფორმაციო ბაზა და ტექნიკური საშუალებები.

§ 2. ხარჯების ანალიზი

ბანკის მთლიანი ხარჯების ანალიზის ჩატარებისას საჭიროა მათი დაყოფა პროცენტულ და არაპროცენტულ ხარჯებად. პროცენტული ხარჯები, როგორც წესი, შეადგენს ხარჯების უმეტეს ნაწილს. ის თავის შემადგენლობაში შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია ბანკის სახსრების დეპოზიტებში, კლიენტების თანხების სესხებსა და დეპოზიტებში ჩადებასთან, ფასიანი სასესხო ქაღალდების გამოშვებასთან, იჯარის გადახდასა და სხვა ანალოგიურ დანახარჯებთან.

პროცენტული ხარჯების ანალიზისას უნდა შეფასდეს მისი ხვედრითი წილი ბანკის საერთო ხარჯებში, განისაზღვროს მის სიდიდეზე კლიენტების ანგარიშებზე ნაშთების სიდიდის ცვლილებების გავლენა, რომლებიც განკუთვნილია მოზიდული თანხების გადასახდელად და მათი საშუალო პროცენტული განაკვეთის დონე (როგორც მთლიანი რესურსების ბაზის, ასევე მისი ცალკეული სახეების მიხედვით), გამოვაელინოთ პასივების მიხედვით პროცენტული განაკვეთის დინამიკის შესაბამისობა ბანკის საერთო საპროცენტო პოლიტიკასთან.

ბანკის არაპროცენტულ (საოპერაციო) ხარჯებს მიეკუთვნება: საკომისიო ხარჯები, შრომის ანაზღაურების, საექსპლუატაციო, უცხოური ვალუტის და სხვა სავალუტო ფასეულობების ოპერაციების, საკურსო სხვაობების, ძვირფასი ლითონების, ფასიანი ქაღალდების და ქონების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების, ძვირფასი ლითონების გადაფასებიდან მიღებული უარყოფითი შედეგების და სხვა მიმდინარე ოპერაციების ხარჯები. ბანკის საოპერაციო ხარჯები უფრო ადვილად ექვემდებარება კონტროლსა და ანალიზს, რადგან მათი დიდი ნაწილი, კერძოდ, შრომის ანაზღაურების, საექსპლუა-

ტაციო ხარჯები შედარებით მუდმივია და ადვილად პროგნოზირებადი სიდიდეებია.

ბანკის მთლიანი ხარჯების ანალიზი უნდა ჩატარდეს მათი შესაბამისი კლასიფიკაციის შესწავლის მიმართულებით, რომელიც ანგარიშგების მოგება და ზარალის ფორმის შედგენის საფუძველს წარმოადგენს (იხ. ცხრილი 2.6)

მოზიდულ სახსრებზე პროცენტები, რომლებიც გადახდილ იქნა იურიდიული პირებიდან მოზიდულ სახსრებსა და ფიზიკური პირების დეპოზიტურ სახსრებზე, აუცილებელია, გაანალიზდეს როგორც ბანკის პროცენტული ხარჯები ერთგვაროვანი ოპერაციების ჯგუფის და ანალიზური აღრიცხვის მუხლების ჭრილში.

ფასიანი ქაღალდების ოპერაციების ხარჯები დაკავშირებულია, ძირითადად ბანკის მიერ საკუთარი ობლიგაციების გამოშვებასთან, დეპოზიტური და საშემნახველო სერთიფიკატების, თამასუქების, ფასიანი ქაღალდების გაყიდვასთან. ჩამოთვლილი ფასიანი ქაღალდების ოპერაციებიდან ბანკისათვის უფრო მომგებიანია თამასუქების ოპერაციები, რადგან ამ ოპერაციების საპროცენტო განაკვეთი ბანკთაშორისი კრედიტების პროცენტებზე უფრო დაბალია და ხარჯების შემცირების და რესურსების შეძენის მიზნით ბანკებს შეუძლიათ ისარგებლონ პასივებით-არამარტო დეპოზიტებით, არამედ მათი საკუთარი თამასუქების ემისიით. ამ ოპერაციის პროცესში უნდა განისაზღვროს, რა როლს თამაშობს სათამასუქო ინსტრუმენტები ბანკის რესურსების ფორმირებაში და როგორია მათი ხარჯების წილი.

დანახარჯებში, ტრადიციულად, მაღალი ხვედრითი წილი უკავია ხარჯებს, რომლებიც განკუთვნილია ბანკის მმართველობითი აპარატის შესანახად. თავისი სიდიდის მიხედვით, როგორც წესი, ისინი მეორე ადგილზე იმყოფებიან იმ ხარჯების შემდეგ, რომლებიც დაკავშირებულია რესურსების შე-

ძენასთან. მითითებული ხარჯების ანალიზი უნდა დაიყოს, პირველ რიგში, ბანკის მიერ გაწეული მომსახურების თვითღირებულებაში მიკუთვნებული და მოგებიდან წარმოებულ ხარჯებად. ყოველი მათგანის ხვედრითი წილი პერსონალის შრომის ანაზღაურების საერთო ხარჯში გვიჩვენებს ბანკის ხარჯებში ამ ანაზღაურების წყაროების წილს.

მმართველობითი ხარჯების შესწავლისას აუცილებელია, გაირკვეს შრომის ანაზღაურების არსებული სისტემა რა ხარისხით უწყობს ხელს ბანკის საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაციას მთლიანად, რა როლს ასრულებს ბანკის მიზნების მიღწევაში, რამდენად უზრუნველყოფს იგი მუშაკების მატერიალური დაინტერესებისა და ბანკის სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტას.

ბანკის მიერ გადახდილი ჯარიმების, საურავების დარიცხვის საფუძვლიანობისა და სისწორის შეფასებისას უნდა განისაზღვროს, ბანკის საქმიანობაში უფრო ხშირად რა სახის დარღვევებია გამოვლენილი. ასეთები შეიძლება იქნეს: ბანკისა და კლიენტების ანგარიშებზე არადროული, არასწორი ოპერაციების განხორციელება, საკრედიტო დეპოზიტურ ხელშეკრულებებში, საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ფონდებთან ანგარიშსწორებისას დაშვებული დარღვევები, აუცილებელი რეზერვირების წესის შეუსრულებლობა.

ბანკის ბარჯების ანალიზი მათი მუხლების ნომენკლატურის მიხედვით

ცხრილი 2.4

	ბარჯები ღირებულება		საბანკო ბარჯები		საბანკო ბარჯები ჯამი % ში	სხვა ბარჯები
	ათ. ლა- რები	ჯამი % ში	ათ. ლარებში	ჯამი % ში		
დანაბარჯების მუხლების დასახელება						
კლიენტების მიხედვით გადახდილი პროცენტები						
1. მიღებულ პროცენტზე გადახდილი პროცენტები	8763	8.64				8763
2. გადახდილ პროცენტზე გადახდილი პროცენტები	8707	8.58				8707
3. გადახდილ პროცენტზე გადახდილი პროცენტები	41	0.04				41
3. გადახდილ პროცენტების გადახდა	15	0.02				15
ოფიციალური პროცენტის მიხედვით საბანკო გადახდილი პროცენტები	17016	16.78				17016
1. ბანკის კლიენტების მიერ განხილულ ანგარიშებზე გადახდილი პროცენტები	1657	1.63				1657
2. ფინანსურ ინსტიტუტებზე გადახდილი პროცენტები	15236	15.03				15236
3. სხვა მიხედვით საბანკო გადახდილი პროცენტები	123	0.12				123
ფიზიკური პირების დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები	17135	16.89				17135
ფსონი ქაღალდების ოპერაციების დაკავშირებული ბარჯები	16067	165.84				16067
1. ფსონი ქაღალდების გამოგებასთან დაკავშირებული ბარჯები	4671	4.61				4671
2. ფსონი ქაღალდების დაკავშირებული სხვა ბარჯები	11396	112.3				11396
სუბიექტი პირების და სხვა სახეობის ფსონების ოპერაციების დაკავშირებული ბარჯები	1853	1.83				1853
1. სუბიექტი პირების ოპერაციების დაკავშირებული ბარჯები	1853	1.83				1853
2. სუბიექტი პირების ანგარიშების გადართობის დაკავშირებული ბარჯები		-				-
ამარტის მუხლის ბარჯები	6132	6.05				6132
1. ამარტის მუხლის ბარჯები	6132	6.05				6132
2. სუბიექტი პირების ოპერაციების დაკავშირებული ბარჯები		-				-
ბანკის სარეზერვაციო ბარჯები		-				-
გადახდილი ჯარიმები, სურავები	277	0.27				277
სხვა გადასახადები	34190	33.70				34190
1. გადახდილი ფინანსური და რეზერვები	21263	20.96				21263
2. გადახდილი სტრუქტურული	15	0.01				15
3. სხვა სარეზერვაციო ბარჯები	7327	7.22				7327
4. სხვა ამორტიზაციული ბარჯები	5585	5.51				5585
სულ ბარჯები	101433	100.00				101433

რამდენადაც სესხებზე დანაკარგების რეზერვის ფორმირება ბანკის ხარჯებს მიეკუთვნება, ამ უკანასკნელის ანალიზის დროს უნდა გაირკვეს ბანკის სასესხო დავალიანების რა თანხაა მიკუთვნებული არასაიმედო და არარეალურ სესხებზე, საანგარიშგებო პერიოდში რა თანხაა ჩამოწერილი და შეტანილი რეზერვის უქონლობის გამო „სხვა დანახარჯების ანგარიშზე“, რომელი-თვით რეზერვის სახსრებიდან. ასეთი ანალიზის ჩატარება საშუალებას მოგვცემს, უფრო ობიექტურად შევაფასოთ საანგარიშგებო პერიოდში ფორმირებული მოგების სიდიდე.

ანალიზისას მნიშვნელოვანია შესწავლილ იქნეს მიზეზები ბანკის მიერ სასესხო დავალიანების მიზეზვით დამატებით დარიცხული რეზერვისა, ან ფაქტიურად შექმნილი რეზერვის თანხის შემცირებისა. ასეთ მიზეზებად შეიძლება იყოს: საკრედიტო პორტფელის ხარისხი და მისი სიდიდის შეცვლა.

ბანკის ძირითად ხარჯებს შეადგენს მისი რესურსების ბაზის ფორმირებისათვის გაწეული დანახარჯები, რომლებიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია პასივების მოზიდვის მოცულობაზე, სტრუქტურასა და საშუალო ფასზე.

ბანკის პასივების დაყოფა საკუთარ და მოზიდულ სახსრებად საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ პროპორცია მისი ფასიანი და უფასო რესურსების, დავადგინოთ სახსრების მოზიდვასთან დაკავშირებული ხარჯების შედგენილობა და მოცულობა.

საკუთარი სახსრების შემადგენლობაში მყოფი ფონდები, რეზერვები და მოგება წარმოადგენს ბანკისათვის უფასოს იმ თვალსაზრისით, რომ მათ ანგარიშზე სახსრები ადრე იქნა გადარიცხული და საანგარიშო პერიოდში ბანკს არავითარი დანახარჯები აღარ ექნება.

რესურსების მოზიდვის დანახარჯების სიდიდე, ძირითადად დამოკიდებულია მათი მოზიდვის სახეებსა და ვადაზე, საბანკო მენეჯმენტის ღონეზე, საბაზრო კონიუქტურის მდგომარეობაზე. ამიტომ ანალიზის ჩატარებისას უნდა შეფასდეს რესურსების მოზიდვის ფორმისა და მეთოდის ზეგავლენა ბანკის მიერ განხორციელებული ხარჯების სიდიდეზე.

უფრო იაფი და უფასო სახსრების შეფასება უნდა მოხდეს საბანკო ლიკვიდურობის მოთხოვნების გათვალისწინებით, რამდენადაც მითითებული რესურსები, როგორც წესი, არიან ნაკლებლიკვიდურნი, ამავე დროს, სასწრაფო ვალდებულებების წილის ზრდას მოჰყვება ბანკის ხარჯების ზრდა, ამიტომ მნიშვნელოვანია, მუდმივად ფართოვდებოდეს ბანკის მოსაზიდი რესურსების გამოყენების მოცულობა, მის მიერ დაბანდებული სახსრების საერთო მოცულობასთან შედარებით.

რესურსების მოზიდვის საშუალო ფასი წარმოადგენს მისი ღირებულების მთავარ შემადგენელს, რომელიც, თავის მხრივ, გამოიყენება ბანკის ერთობლივი პროდუქციის და ცალკეული ოპერაციების თვითღირებულების განსასაზღვრავად.

ვიციტ რა ბანკის მიერ განხორციელებული ხარჯების სიდიდე, შეგვიძლია, განვსაზღვროთ საანგარიშგებო პერიოდში მოზიდული რესურსების საშუალო ნომინალური ფასი (K_n) (როგორც მთლიანობაში, ისე მათი ცალკეული სახეობების მიხედვით—მოთხოვნამდე შენატანებით, სასწრაფო დეპოზიტები, დეპოზიტური სერთიფიკატები):

$$K_n = \frac{P}{H} \cdot \frac{Q}{t} 100 \%$$

სადაც P-საფასურია საანალიზო პერიოდში ნებისმიერი სახის მოზიდული სახსრების სარგებლობისა (გადახდილი %-ში);

H-შესაბამისი სიდიდეა ამავე პერიოდში გამოყენებული ნასესხები სახსრებისა (რესურსების საშუალო ნაშთია);

Q-წლის საანგარიშო დღეების რაოდენობა;

t-ვადა დღეებში, რომლის განმავლობაშიც H სახსრების თანხის გამოყენებისათვის გადახდილი იყო P-ოდეობის საფასური.

ყოველი სახის მოზიდული სახსრის საშუალო განაკვეთის მაჩვენებლის ცვლილებების დინამიკის ანალიზის დროს, შეიძლება დავადგინოთ ბანკის რესურსების გაძვირების და გაიაფების საერთო ტენდენცია. გამოვავლინოთ რესურსების უფრო ძვირი წყაროები, ცალკეული სახის რესურსების დანახარჯების გადახრა მისი საშუალო ღირებულებიდან.

კომერციული ბანკების მიერ ნასესხები სახსრების რეალური ღირებულება განისაზღვრება არა მარტო გადახდილი პროცენტების განაკვეთით, არამედ მთელი რიგი ფაქტორებით, რომლებიც არ არის ხშირად დაკავშირებული რესურსების შექმნასთან. სახელდობრ: ანგარიშსწორების; რეზერვების, დებიტორული დავალიანებების, სახსრების გადატანის ხარისხი, საპროცენტო ხარჯების საბანკო პროდუქტების თვითღირებულებაზე მიკუთვნებისა და ბანკის მოგების დაბეგვრის მოქმედი წესი, მოსალოდნელი ინფლაცია. აღნიშნულ ფაქტორებს ბანკის რესურსების ღირებულების მნიშვნელოვანი გაძვირებისაკენ მივყავართ.

ბანკის მიერ მოზიდული რესურსების (Kr) რეალური საშუალო ფასი შეიძლება განისაზღვროს როგორც:

$$Kr = Kt \cdot F/L$$

სადაც F- განსახილველ პერიოდში ბანკის მიერ მოზიდული ფულადი სახსრების საერთო თანხაა;

L- მოცემულ პერიოდში გამოყენებული ფულადი სახსრების სიდიდე (აქტივების სიდიდე).

მაგალითად, ფულადი სახსრების მოზიდვასთან დაკავშირებით საპროცენტო ხარჯები შეადგენს 20 ერთეულს, ოპერაციის ჩასატარებლად გამოყენებულია 110 ერთეული. სახსრების მოსაზიდი საერთო თანხის 120 ერთეულიდან ბანკის მიერ მოზიდული სახსრების ნომინალური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს $20:110:100=18\%$ -ს. აქტიური ოპერაციებისათვის სახსრების მოსაზიდი რეალური განაკვეთი ტოლი იქნება $18\% \cdot 120:110=19.6\%$ -ისა.

ბანკის რესურსების რეალური საშუალო ღირებულება
მიზანშეწონილია განვსაზღვროთ საშუალო შეწონილი ფორმულით, ყოველი სახის რესურსების და მისი ხვედრითი წილიდან მათ საერთო მოცულობაში რეალური ფასიდან გამომდინარე, ბანკის საკუთარი რესურსების ჩათვლით.

$$K = P_{\text{გ}} \cdot q + P_{\text{ა.ა.კ.}} \cdot q + P_{\text{ა.ა.}} \cdot q + P_{\text{ს.ღ.}} \cdot q,$$

სადაც, $P_{\text{გ}}$ - ეროვნული ბანკის რესურსების საშუალო ფასია;

$P_{\text{ა.ა.კ.}}$ - ბანკთაშორისო კრედიტების რეალური საშუალო ფასი;

$P_{\text{ა.ა.}}$ - მოთხოვნამდე შენატანის რეალური საშუალო პროცენტი;

$P_{\text{ს.ღ.}}$ - სასწრაფო დეპოზიტების მიხედვით რეალური საშუალო პროცენტი;

q - კრედიტების სახეების შესაბამისი ხვედრითი წილი.

ამასთან, რესურსების საშუალო ფასი და, მაშასადამე, ბანკების ხარჯები იქნება იმდენად მაღალი, რამდენადაც საიმედო და მყარი იქნება პასივები. ე. ი. რამდენადაც მაღალია დეპოზიტების ვადა და თანხა.

კომერციული ბანკის ხარჯების ანალიზის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ბანკის ერთობლივი პროდუქტის წარმოების დანახარჯებისა და ცალკეული პროდუქტების, ოპერაციების თვითღირებულების ანალიზი.

ბანკებში სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების ანალოგიურად, თუმცა საკმაოდ პირობითად, არის ე. წ. საბანკო ოპერაციების თვითღირებულება, რომელიც, თავისთავად, წარმოადგენს საკრედიტო ორგანიზაციებში ფასწარმოქმნის მექანიზმის განუყოფელ ნაწილს. იგი შეიძლება გაანალიზდეს როგორც ბანკის გამსხვილებული ან მთელი ერთობლივი ოპერაციების მიხედვით, ან როგორც ცალკეული ვიწრო ოპერაციების ჯგუფების მიხედვით.

გამსხვილებული საოპერაციო-ღირებულება ანალიზის დროს საბანკო ოპერაციების თვითღირებულების ერთობლივი კოეფიციენტი K_vS გაიანგარიშება ფორმულის მიხედვით:

$$K_vS = \frac{R - Dd}{A - An} \quad 100\%, \quad \text{სადაც:}$$

R-ბანკის ერთობლივი ხარჯებია;

Dd-დამატებითი შემოსავლები, რომლებიც არ არის დაკავშირებულნი ბანკის ძირითად საქმიანობასთან. მაგრამ გამოიყენება ხარჯების ნაწილობრივ დასაფარავად;

A-განსახილველ პერიოდში ბანკის ბალანსის აქტივის საერთო თანხაა;

An-აქტივის მუხლების თანხა, რომელთაც შემოსავალი არ მოაქვთ.

მოცემული კოეფიციენტი წარმოადგენს მინიმალურს, მოგების არმომტანს, ერთობლივი საბანკო პროდუქტის ფასს და ბანკის მიერ რესურსების ეფექტური გამოყენების განმარტოვებულ ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებელს.

საბანკო პროდუქტის შინა ღირებულების ანალიზის დროს ვლინდება დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის საქმიანობასთან, ფასდება მათი ჩატარების საფუძვლიანობა, შეისწავლება ძირითადი ფაქტორების ცვლილების ზეგავლენა პროდუქტის ღირებულებაზე, მათ შორის: სახსრების მოზიდვის ღირებულება, აქტივების მოცულობა და სტრუქტურა, ბანკთაშორისი დანახარჯის სიდიდე.

დანახარჯების საერთოდ მიღებული განსაზღვრის მეთოდოლოგიის თანახმად, მათი აქტიური ოპერაციების განხორციელებასთან დაკავშირებული ბანკის ძირითადი ხარჯები იყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ ხარჯებად. პირდაპირი ხარჯები უშუალოდ მიეკუთვნება გარკვეული ოპერაციების ან ოპერაციების ჯგუფის განხორციელებას, მაშინ, როდესაც არაპირდაპირი ხარჯები საერთო-საბანკო ხასიათს ატარებენ და თავისი არსის მიხედვით ზედნაღებნი არიან. გამოვყოფთ რა ცალკეული ოპერაციების მიხედვით პირდაპირ და არაპირდაპირ დანახარჯებს, შეიძლება განვსაზღვროთ ცალკეული საბანკო ოპერაციების შინა ღირებულება.

ცალკეული ოპერაციების შინა ღირებულების საშუალო კოეფიციენტი მიზანშეწონილია განვსაზღვროთ შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$K_{vsi} = \frac{Ri + Ki - Di}{Ai - Az} \cdot 100 \%$$

სადაც, Ri-ბანკის მოცემული სახის ოპერაციების განხორციელებელი პირდაპირი ხარჯებია;

Ki-ბანკის არაპირდაპირი ხარჯებია, რომლებიც დაკავშირებულია მოცემულ ოპერაციების განხორციელებასთან;

Di-დამატებითი შემოსავლები, რომლებიც შეიძლება მიეკუთვნოთ განსახილველ ოპერაციებს;

Ai-მოცემული ჯგუფის ოპერაციების აქტივი;

AZ-მოცემული ოპერაციების სფეროში გამოუყენებელი აქტივები.

საბანკო ოპერაციების შინა ღირებულების ანალიზი გვაძლევს საშუალებას, გამოვაკლინოთ უფრო შემოსავლიანი სახეობები. რაც უფრო დაბალია ეს კოეფიციენტი, მით უფრო მაღალი ეკონომიკური ეფექტურობა გააჩნია მას თვითღირებულების თვალსაზრისით.

ბანკის ძირითადი ოპერაციების ან მისი ძირითადი სახეობების თვითღირებულების ანალიზი უნდა განხორციელდეს როგორც გასაცემი კრედიტის ფასის ჩამოყალიბების ეტაპზე, ასევე გარიგებების პროცესში ფაქტიურად განსაზოცილებელი ხარჯების, მათ შორის დაუგეგმავი, კრედიტის მომსახურების მსვლელობისას.

ბანკის სახსრების მოზიდვის აქტიური ოპერაციის ჩატარების განსაზღვრის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს მისი გაანგარიშება, როგორც აქტიური ოპერაციების საერთო მოცულობის წილი, გამრავლებული ბანკის მიერ ყველა მოზიდულ სახსრებზე.

ოპერაციის ჩასატარებელ პირდაპირ დანახარჯებს, გარდა რესურსების შესაძენი ხარჯებისა, მიეკუთვნება ოპერაციების ტექნიკური უზრუნველყოფაც. ამ ხარჯების ერთი ნაწილი განისაზღვრება უშუალო გაანგარიშებით, ხოლო მეორე-აქტიური ოპერაციების ფულადი მოცულობისა და ამ ოპერაციების გარკვეული პროცენტულების ჩასატარებელი ერთობლივ ხარჯებს შორის სტატისტიკური შეფარდების გზით. მაგალითად SWIFT-ის ხარჯები, საკომისიო ხარჯები და ა. შ.

ბანკის ცალკეული ოპერაციების თვითღირებულების მუხლობრივი ანალიზი საშუალებას გვაძლევს, ზუსტად მივაკუთვნოთ ხარჯების გარკვეული სახეები (განსაკუთრებით საერთო-საბანკო) კონკრეტულ ოპერაციას. (მაგალითად, საკრედიტო ოპერაციების თვითღირებულების მუხლობრივი

კალკულირების დროს, მასში არ შევა უცხოური ვალუტის ოპერაციების ლიცენზიის შესაძენი ხარჯები, უცხოური ვალუტის შესყიდვის (ან გაყიდვის) საკომისიო შეგროვებები, საინკასატორო ჩანთების და ტომრების, რემონტისა და რესტავრაციისათვის ხარჯები და სხვა, მაშინ ბანკის საერთო ხარჯების გამოყოფისას ბანკის ცალკეული ოპერაციების მიხედვით საქმიანობის უზრუნველსაყოფად, მითითებული ხარჯები ყველა ოპერაციას შორის პროპორციულად ნაწილდება, მათ შორის ისეთებს შორისაც, რომლებიც არ მიეკუთვნება არც პირდაპირს და არც არაპირდაპირს.

თავის მხრივ, ნებისმიერი ოპერაციის თვითღირებულების დანახარჯი განისაზღვრება თვით ოპერაციის დახასიათებით—მისი სახით, ვადებით, პროცენტების დარიცხვის ხერხით, სხვა პირობებით.

ბანკის ძირითადი დანახარჯების და საბანკო პროდუქტის თვითღირებულების ფორმირება და ანალიზი მოცემულია სქემა 2. 1-ზე.

საკრედიტო ოპერაციების შინა ღირებულების გაანგარიშება შეიძლება წარმოებულ იქნეს სხვა საშუალებითაც. მისი არსი იმაშია, რომ სახელშეკრულებო პროცენტი შედგება საკრედიტო რესურსების რეალური ფასისაგან, ასევე სპრედისაგან—სხვაობა საპროცენტო განაკვეთებს შორის, რომლითაც ბანკი იზიდავს სახსრებს და გასცემს მვეალებზე, რასაც ყოველი ბანკი დამოუკიდებლად განსაზღვრავს. ამასთან, ბანკის მომგებანი საქმიანობისათვის კრედიტის სახელშეკრულებო ფასი არ უნდა იყოს დაბალი რესურსების საშუალო ღირებულებაზე, ე. წ. საკმარის მარჯაზე (Md), რომელიც წარმოადგენს ოპერაციების აქტივების და შესაძლებლობას განაკვეთებში მინიმალურ დარღვევას, რაც ბანკს შესაძლებლობას აძლევს, დაფაროს ფუნქციონირებისათვის განკუთვნი-

ლი საერთო ხარჯები, რომლებსაც არ მოაქვს მოგება. მოცემული მაჩვენებელი განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$Md = \frac{R_o - R_p + R_a}{Ad} - Dp,$$

სადაც, R_o – საოპერაციო ხარჯებია;

R_p – პროცენტები გადახდილი;

R_a – სამმართველო აპარატის შენახვის ხარჯები;

Dp – სხვა ხარჯები;


Ad – შემოსავლის მომტანი აქტივების საშუალო ნაშთი.

სხვა შემოსავლებს მიეკუთვნება არასაკრედიტო ხასიათის ოპერაციებიდან შემოსავლები, აგრეთვე განვლილი პერიოდის პროცენტებისა და საკომისიოებისაგან მიღებული ჯარიმები, საურავები.

ამრიგად, ბანკის სახელშეკრულებო კრედიტების გაცემასთან დაკავშირებული ფასი, რომელიც ფარავს მხოლოდ ხარჯებს, არის საკრედიტო ოპერაციის მინიმალურად დასაშვები პროცენტი, რომელიც უზრუნველყოფს მის მომგებიანობას. მას ოპერაციის „წაუგებლობის წერტილს“, „შემოსავლიანობის მკვდარ წერტილს“, შინა ღირებულების კოეფიციენტს უწოდებენ.

ვიყენებთ რა ბანკის ოპერაციის შინა ღირებულების საშუალო კოეფიციენტის გაანგარიშების ფორმულას და ვიღებთ მხედველობაში ზემოთ აღნიშნულს, საკრედიტო ოპერაციების თვითღირებულების კოეფიციენტი შეიძლება განსაზღვრულ იქნეს საკმარისი მარჯის მაჩვენებლის მიხედვით შემდეგი სახით:

საკმარისი მარჯა




$Kvsi =$ _____

ქტეეუბეს ხარეხი ნაშო, რომლუხელუ მოეოოო შეხსეუღეუ (Al-Ae)

ბანკის ხარეუბე შეიძლეუბა დავყოთ სამ ძირითად ჯგუფად: 1. ბანკის მიერ გაწეული მომსახურეხის თვითღირეულებეხში შეტანილი; 2. მიკუთენეუბული საბანკო საქმიანობის ფინანსურ შეღეეგეხზე; 3. მხოლოდ მოგეხის ანგარიშზე განხორციელებული, რომლებიც რჩეუბა ბანკის განკარგულებეხში გადასახადის გადახდის შემდეგ. ბანკის ხარეუბეს ანალიზი მითითეუბული კლასიფიკაციის მიხედვით უნდა განხორციელდეს ბანკის მიერ გაწეული ხარეუბეს მიზანშეწონილობის და საფუძელიანობის მიხედვით.

ამრიგად, ამ პარაგრაფში განხილული ბანკის ერთობლივი ხარეუბეს ანალიზთან დაკავშირეუბული მიდგომა საშუალებეს გვაძლეუს, შევისწავლოთ ბანკის მიერ წარმოეუბული ხარეუბეს მთელი შემადგენლობე, შევადფასოთ მათ სიღიღეხე არა მარტო მთავარი ფაქტორეხის ზეგავლენე, არამედ მათიც, რომელთე გამოვლენე რთულიე დანახარეუბეს მხოლოდ ერთი ნიშნით დავგუფეხის საფუძველზე.

მითითეუბული ხარეუბეს ანალიზი საშუალებეს გვაძლეუს, მოვიძიოთ რეხერეხე ბანკის მოგეხის ასამაღლებლად და ეფექტურად გამოოსაყენებლად.



სქემა 2.1 ბანკის დანახარჯების ძირითადი სახეების ფორმირებისა და ცალკეული საბანკო პროდუქტის თვითღირებულების ახალიზის სქემა.

§ 3. მოგების ანალიზი

მოგების მიღება წარმოადგენს კომერციული ბანკის ფუნქციონირების ძირითად მიზანს, რამდენადაც მათ წინაშე არსებული რთული ამოცანების გადაწყვეტა, როგორცაა საკუთარი კაპიტალის სიდიდის გადიდება, სარეზერვო ფონდების შევსება, კაპიტალური დაბანდებების დაფინანსება, შექმნილი იმიჯის შენარჩუნება, ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის სხვა სასიცოცხლო მნიშვნელოვანი პირობები, ასევე გაცემული დივიდენდების მოცულობის გაზრდა, მოითხოვს ფულადი სახსრების მუდმივ მოძრაობას, რომლის ძირითად წყაროს მოგება წარმოადგენს.

კომერციულ ბანკებში მოგების ანალიზი უნდა ჩატარდეს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- საანგარიშგებო პერიოდში ბანკის მიერ მიღწეული მოგების სიდიდის შეფასება;
- მოგების დინამიკის ანალიზი;
- წმინდა მოგების ანალიზი;
- საბალანსო მოგების ანალიზი;
- ბანკის მიერ ძირითადი საქმიანობის სახეების მიხედვით შესრულებული ოპერაციების მომგებიანობა;
- ბანკის ქვედანაყოფების სტრუქტურის ჭრილში მოგების ანალიზი;
- ფინანსური დანაკარგების ანალიზი;
- დაკარგული სარგებლის ანალიზი;
- მოგების გამოყენების ანალიზი.

კომერციული ბანკის ანგარიშგებაში ფორმირდება მოგების ორი მაჩვენებელი-საბალანსო და წმინდა.

ბანკის ფინანსური შედეგების ანალიზი უნდა დაეწყოს მისი ხარისხობრივი და რაოდენობრივი ღონის შეფასებით, ფაქტიური მოგების მის გეგმიური და საბაზო სიდიდისაგან გადახრაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორების გამოვლენით, აღნიშნული გადახრის მიზეზების დადგენით, მოგების მაჩვენებლების ცვლილებების ტენდენციის განსაზღვრით. ბანკის სტრატეგიული განვითარების კონცეფციაში არსებული ფინანსური შედეგების პარამეტრებთან შეთანხმების ხარისხის გამოვლენით. ამასთან, მიღებული მოგება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეკაფასოთ ბანკის შემდგომი განვითარების და მისი საკუთარი კაპიტალის გადიდების შესაძლებლობის პოზიციიდან. გეგმის შესრულების ანალიზისა და მოგების დინამიკის შესწავლისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ცხრილი 2.5.

უნდა გამოვავლინოთ, როგორი ზეგავლენა მოახდინა მოგების ფორმირებაზე საბაზრო კონიუქტურის ცვლილებამ, ბანკის პოლიტიკის სტრატეგიულმა და ტაქტიკურმა კორექტირებამ, სტრუქტურულმა გარდაქმნებმა, ასევე განხილულ პერიოდში მარეგულირებელი ორგანოების მიერ ნორმატიული და მომწესრიგებელი დოკუმენტების მიღებამ.

მოგების ანალიზის ჩატარების საწყის ეტაპზე აუცილებელია, გამოვლენილ იქნეს წმინდა მოგების წილი ბანკის საბალანსო მოგების შემადგენლობაში და როგორ იცვლებოდა მისი მაჩვენებელი ბოლო წლების განმავლობაში. თუ ანალიზის ჩატარების პერიოდში გამოვლინდა წმინდა მოგების წილის შემცირება საბალანსო მოგების შემადგენლობაში, ეს მოწმობს, რომ ხარჯები, გაწეული მოგების ანგარიშზე, იზრდება უფრო სწრაფი ტემპით, ვიდრე ბანკის მთლიანი საბალანსო მოგება.

გეგმის შესრულების ანალიზი და ბანკის მოგების დინამიკის შეფასება

ცხრილი 2.5

№	მაჩვენებლები	ბიზნეს გეგმის მიხედვით	წინა წლის	საანგარიშგებო პერიოდის	გადახრა			
				ბიზნეს გეგმა		წინა წლის		
		ათასი ლარი	ათასი ლარი	ათასი ლარი	ათასი ლარი	%	ათასი ლარი	%
1	საბანკო მოგება	12000	9076	12043	+43	+0.4	+2967	+24.6
2	წმინდა მოგება	8000	5943	6262	-1798	-21.7	+319	+5.1
3	წმინდა მოგების ხვედრითი წილი საბანკო მოგებაში (ბტრ2: ხტრ1)×100	0.66	0.65	0.52				
4	ინფლაციის ღირე %-ში წინა წლიდან შედარებით		1.7	-				
5	საბანკო მოგება კორექტირებული ინფლაციის ღირეზე	12000	9076	7084	-4916	-40.9	-1992	-21.9
6	წმინდა მოგება კორექტირებული ინფლაციის ღირეზე	8000	5943	3684	-4316	-54.0	-2259	-38.0

გამომდინარე იქიდან, რომ საბანკო საქმიანობა წარმოადგენს საშუაშაველოს, მოგების მიღება მნიშვნელოვან წილად დამოკიდებულია იმაზე, თუ ვისგან შევისყიდით და ვის მიყიდით ფულად სახსრებს. ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია შევისწავლოთ ბანკის ძირითადი კლიენტურის შემადგენლობა, დავაჯგუფოთ ისინი დარგობრივი ნიშნის მიხედვით; შევაფასოთ კლიენტების საერთო რაოდენობაში მსხვილი კლიენტების წილი.

კომერციული ბანკის საქმიანობის ძირითადი განმაზოგადებელი მაჩვენებლების ზეგავლენის შეფარდება საანგარიშგებო პერიოდში მიღებული წმინდა მოგების სიდიდეზე, შესაძ-

ლებელია ვაწარმოოთ სააქციო კაპიტალის შემოსავლიანობის მაჩვენებლის გაანგარიშებით.

კომერციული ბანკების საქმიანობის ძირითადი განმაზოგადებელი მაჩვენებლების ზეგავლენის შეფარდება საანგარიშგებო პერიოდში მიღებული წმინდა მოგების სიდიდეზე, შესაძლებელია ვაწარმოოთ სააქციო კაპიტალის შემოსავლიანობის მაჩვენებლის გაანგარიშებით.

$$\text{სააქციო კაპიტალის შემოსავლიანობა} = \frac{\text{წმინდა მოგება გადასახდით დაბეგურის შემდეგ}}{\text{აქციონერული კაპიტალი}}$$

ან, სააქციო კაპიტალის შემოსავლიანობის მაჩვენებელს თუ დავყოფთ შემადგენლობის გათვალისწინებით:

$$\text{სააქციო კაპიტალის შემოსავლიანობა} = \frac{\text{მოგება გადასახდის გადახდის შემდეგ}}{\text{მოგება გადასახდის გადახდამდე}} \cdot \frac{\text{მოგება გადასახდის გადახდამდე}}{\text{საპირაქციო შემოსავლები}} \cdot \frac{\text{საპირაქციო შემოსავლები}}{\text{აქტივები}} \cdot \frac{\text{აქტივები}}{\text{აქციონერული კაპიტალი}}$$

აქედან გამომდინარე, წმინდა მოგების განსაზღვრისათვის ტოლობას ექნება შემდეგი სახე:

$$\text{წმინდა მოგება} = \frac{\text{აქციონერული კაპიტალი}}{\text{აქტივები}} \cdot \frac{\text{აქტივები}}{\text{საპირაქციო შემოსავლები}} \cdot \frac{\text{საპირაქციო შემოსავლები}}{\text{მოგება გადასახდის გადახდამდე}} \cdot \frac{\text{მოგება გადასახდის გადახდამდე}}{\text{აქციონერული კაპიტალი}}$$

H K L M N P

ზემოთ აღნიშნული ფაქტორების დამოკიდებულება მოგების ჩამოყალიბებაზე წარმოადგენს ფუნქციონალურს, რაც საშუალებას იძლევა, გამოვითვალოთ მათი ცალკეული ზეგავლენა მთლიანი მოგების მაჩვენებელზე, მაგალითად, ჯაჭვური ჩასმის მეთოდით. ამასთან, თითოეული ფაქტორი აუ-

ცილებელია განვიხილოთ როგორც ცვალებადი (საანგარიშგებო პერიოდის მაჩვენებელს გამოკლებული წინა პერიოდის მაჩვენებელი), იმ ვარაუდით, რომ ყველა დანარჩენი ფაქტორები რჩებიან მუდმივად. (საანგარიშგებო პერიოდის მაჩვენებლებად).

მოგებაზე სააქციო კაპიტალის სიდიდის ცვლილების ზეგავლენა შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად:

$$H_1 - H_0 = (K_1 - K_0) \cdot L_1 \cdot M_1 \cdot N_1 \cdot P_1$$

სადაც ინდექსი „1“ - აღნიშნავს საანგარიშგებო მაჩვენებელს და ინდექსი „0“ - წინა პერიოდის მაჩვენებელს.

მოგებაზე იმ ფაქტორების ზეგავლენა იქნება უარყოფითი, რომელთა ფაქტიური მნიშვნელობა საანგარიშგებო პერიოდში დაბალი აღმოჩნდება, ვიდრე წინა პერიოდში.

ფინანსური შედეგების ცვლილებაზე სააქციო კაპიტალის ზრდის ფაქტორის ზეგავლენა ფასდება დადებითად იმ შემთხვევაში, თუ ეს ზრდა მოხდა არა დამფუძნებელთა სახსრების ხარჯზე, არამედ ბანკის მიერ გამოძეგნული შემოსავლების ხარჯზე.

წინა პერიოდთან შედარებით საანგარიშგებო პერიოდში მოგების სიდიდის შემცირებისას, იმასთან დაკავშირებით, რომ შემცირდა ხარჯებზე კონტროლის ეფექტიანობა, უნდა გამოვლენილ იქნეს დანახარჯების სახეები, რომელთაც ყველაზე მეტი ხვედრითი წილი უკავია ხარჯებში, ასევე განისაზღვროს ყველაზე შემოსავლიანი ოპერაციები.

აქტივების მართვის ეფექტიანობის მაჩვენებლის პოზიტიური ზეგავლენა მოგების ცვლილების აბსოლუტურ მოცულობაზე შეიძლება მოხდეს შემდეგი ფაქტორების ხარჯზე:

- საოპერაციო შემოსავლების ზრდა;

- ერთდროულად საოპერაციო შემოსავლების ზრდა და აქტივების სიდიდის შემცირება;
- ერთდროულად ორივე მაჩვენებლის გაზრდა (შემცირება).

თუმცა დადებითად შეიძლება შეფასდეს მხოლოდ საოპერაციო შემოსავლების ზრდისა და, ერთდროულად, ორივე მაჩვენებლის ზრდის ფაქტორი. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია გამოვავლინოთ, თუ რომელი ფაქტორის ხარჯზე მოხდა საანგარიშგებო პერიოდში მიღებული მოგების სიდიდის ცვლილება.

რესურსების მართვის ეფექტიანობის მაჩვენებლის ცვლილების ზეგავლენა მოგებაზე დადებითად უნდა შეფასდეს ფრთხილად, რამდენადაც ძალიან ძალაღმნიშვნელობას მოცემული მაჩვენებლისა ბანკი რისკის ხარისხის ზრდასა და მის გაკოტრებამდე მიჰყავს.

განხორციელებული შეფასების შედეგების განზოგადება უნდა დამთავრდეს, ზემოთ განხილული მაჩვენებლების მონაცემების ცხრილის სახით გამოსახვით, საანგარიშგებო მოგების საბაზისოსაგან გადახრის ფაქტორების გამოვლენით.

ბანკის მოგების დინამიკის ანალიზი რიგი საანგარიშგებო პერიოდებისა (ტრენდული ანალიზი) საშუალებას იძლევა, განვსაზღვროთ მოგების საშუალო მნიშვნელობა, გამოვავლინოთ პერიოდები, რომელშიც მიღებულია მოგების მინიმალური და მაქსიმალური სიდიდე, დავაწესოთ ბანკის მოგების მაჩვენებლების ცვლილების და განვითარების ტენდენციები, ჩამოვავალიბოთ უფრო სრული წარმოდგენა ბანკის მიმდინარე საქმიანობის შედეგებზე, შევაფასოთ მისი რეალური მნიშვნელობა.

ვითვალისწინებთ რა იმას, რომ საქართველოს ბანკები ფუნქციონირებენ ერთნაირ ეკონომიკურ გარემოში, მათთვის

უჭველ ინტერესს უნდა წარმოადგენდეს ჯგუფებად ჩამოყალიბებული ბანკების მოგების დინამიკის მონაცემები წლების განმავლობაში.

ტრენდული ცხრილის შედგენის ბაზად შეიძლება გამოვიყენოთ განხილული პერიოდის კორექტირებული ანგარიშები მოგებისა და ზარალის შესახებ. ამასთან, აუცილებელია საანგარიშგებო მონაცემების დამუშავება ანალიზში გამოსაყენებლად, რომელიც გამოიხატება: სააღრიცხვო პრინციპების ცვლილებების შეთანხმებაში, სტაბილურის გამოყოფით შემთხვევითი, განუმეორებელი და არამყარი ფინანსური შედეგების კომპონენტებისაგან, შემოსავლებისა და ხარჯების ცალკეული ელემენტების მიკუთვნებით შესაბამის დროში.

კომერციული ბანკის მოგებისა და მისი დინამიკის ანალიზი წლების განმავლობაში მნიშვნელოვანია არა მარტო შესასწავლი მაჩვენებლის ერთობლივი სიდიდის შეფასების თვალსაზრისით, არამედ იმითაც, რომელი შემადგენლობის ხარჯზე მოხდა მოცემული ცვლილებები, ამ მიზნით აუცილებელია წმინდა მოგების სტრუქტურის დინამიკის გაანალიზება, რომელიც მიღებულია განხილულ პერიოდში მისი შემადგენლობის მიხედვით.

- **პროცენტული მოგება** (ზარალი)-ფორმირდება როგორც პროცენტულ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა;
- **არაპროცენტული მოგება**-შემოსავლებს, რომელიც მიღებულია უცხოური ვალუტით ვაჭრობის, სატრასტო ოპერაციების, ფასიან ქაღალდებში შენატანების, სხვა შემოსავლებსა და ადმინისტრაციულ სამმართველო პერსონალის, შენობის, აღჭურვილობის შენახვის, დანარჩენ ხარჯებს შორის სხვაობა;
- საოპერაციო მოგება-პროცენტული მოგების და არაპროცენტული მოგების ჯამი;

- არასაოპერაციო მოგება (ზარალი)-მოიცავს არასტანდარტულ მოგებას (ზარალს), რეზერვების ფორმირების და მოგების გადასახადის ხარჯებს.

მოგების სტრუქტურის ანალიზი წლების მიხედვით შეიძლება განვიხილოთ ცხრილი 2.6 საშუალებით.

მოგების სტრუქტურის ანალიზი წლების მიხედვით

ცხრილი 2.6

მაჩვენებლები	თანხა (შეპირისპირებული სიდიდეები) ათას ლარებში			
	2005 წ.	2004 წ.	2003 წ.	2002 წ.
პროცენტული მოგება	2917	4965	4281	3794
არაპროცენტული მოგება	- 1815	- 3150	- 2902	-3343
საოპერაციო მოგება	1102	1815	1379	451
არასაოპერაციო შემოსავლები (ხარჯები)	- 628	- 1217	- 1091	- 365
წმინდა მოგება	474	598	288	86

მთლიანი მოგების სტრუქტურის ანალიზთან ერთად აუცილებელია ურთიერთკავშირში შევისწავლოთ შემოსავლები-სა და ხარჯების დინამიკა, მოგება და შემოსავალი, საკუთარი კაპიტალისა და მიღებული მოგების სიდიდის ცვლის ტემპები.

ამ საკითხის განხილვა მნიშვნელოვანია მოგების მიმდინარე მდგომარეობის (კვარტალური, თვიური) დინამიკის ანალიზთან ერთად, რამდენადაც ბანკის საქმიანობის წლიური შედეგები ერთმომენტურია და კონსტანტაციას უკეთებს

წარსულ პროცესებს, რომელთა კორექტირება უკვე შეუძლებელია და ამასთან, ისინი საშუალებას არ იძლევიან, განვიხილოთ, თუ როგორ მიმდინარეობდა საანგარიშგებო პერიოდში მოგების მაჩვენებლების ფორმირება. მოგების დინამიკის კვარტალური ანალიზიც ასევე არ არის საკმარისი, რადგანაც მისი ჩატარებისას არ ვლინდება ბანკის მუშაობის შუალედური ფინანსური შედეგები. მაგალითად, ბანკის ხარჯების მუდმივი ზრდა მის შემოსავალთან შედარებით კვარტლის განმავლობაში შეიძლება დაიფაროს კვარტლის ბოლოს და კვარტალური მონაცემების წარმოდგენილი დინამიკა მიუთითებს წლის განმავლობაში სტაბილურ შედეგებზე. ამავე დროს, ყოველთვიური დინამიკის ანალიზი საშუალებას გვაძლევს, უფრო ობიექტურად შევაფასოთ ბანკის შემოსავლებისა და ხარჯების ფორმირების პროცესები.

საბალანსო მოგების ანალიზის მნიშვნელოვან ამოცანათა რიცხვს მიეკუთვნება მისი ფორმირების მართლზომიერების შეფასება და სარგებლობის საფუძვლიანობა.

სქემატურად, საბალანსო მოგების ფორმირებისა და გამოყენების თანმიმდევრობა შეიძლება გამოვსახოთ შემდეგი გაანგარიშების საფუძველზე (იხ. ცხრილი 2.7).

მოგების მაჩვენებლების გამოთვლის საფუძვლიანობის ხარისხის დადგენის საწყის ბაზას წარმოადგენს იმ შემოსავლებისა და ხარჯების ფორმირების წესების დაცვა, რომლებიც ჩართულია ბანკის თვითღირებულებაში.

ბანკის მიერ მიღებული საბალანსო მოგების სიდიდის შეფასებისას აუცილებელია გავაანალიზოთ მისი შემადგენლობის ცვლილებები: მოგების წილის, როგორც დასაბეგრი ბაზის გათვალისწინებით, გაანგარიშებული შემოსავლებისა და მომსახურებისათვის გაწეული ხარჯებს შორის სხვაობა და მოგების წილი, რომელიც ფორმირებულ იქნა ბანკის შე-

მოსავლებისა და ხარჯების უშუალო მიკუთვნებით მისი საქმიანობის შედეგებთან.

წლების მიხედვით ჩატარებული მოგების ზემოთ აღნიშნული შემადგენლობის გამოკვლევა დინამიკაში საშუალებას იძლევა გავაკეთოთ დასკვნა, რომელი ფაქტორების ზემოქმედებით ყალიბდება ბანკის მოგება-შემოსავლების სტაბილური ზრდა და ხარჯების შემცირება. ან გარემოებებით, რომლებზედაც ბანკის ზეგავლენა ძნელია, ხოლო მიღებული შემოსავალი ერთჯერადია და ხშირად ნაკლებ პერსპექტიული.

კომერციული ბანკების მოგების ანალიზის მეორე მიმართულებაა, მისი შესწავლა წმინდა მოგების მაჩვენებლების ფორმირების მეთოდოლოგიის საფუძველზე.

წმინდა მოგების მაჩვენებლების ფორმირების თავისებურება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის ბანკის მიერ მთლიანი შემოსავლებისა და ხარჯების დაყოფა საპროცენტო, საოპერაციო შემოსავლებად და ხარჯებად, ამასთან, წმინდა პროცენტული შემოსავალი (თავისი არსით, პროცენტული მოგება) შედის ბანკის წმინდა მოგების შემადგენლობაში.

პროცენტული მოგების ანალიზი უნდა ჩავატაროთ მასზე იმ ფაქტორების ზეგავლენის გათვალისწინებით, რომელთა ხარჯზეც იყო იგი მიღებული, კერძოდ აქტივების სიდიდით, რომლისგანაც ბანკი მოგებას იღებს და აგრეთვე მომგებიანობის სპეციფიკური მაჩვენებლების შესწავლის საფუძველზე (მარჟა, სპრედი).

რამდენადაც კომერციული ბანკის მთლიანი მოგება (მოუხედავად მისი გაანგარიშების საშუალებისა) მნიშვნელოვან წილად განისაზღვრება ბანკის მიერ განხორციელებული სხვადასხვა სახის საქმიანობის შემოსავლიანობით. ანალიზის შემდეგი ამოცანაა ბანკის საქმიანობის ძირითადი მიმართულების და გაწეული მომსახურების მომგებიანობის შეფასება.

ბანკების ძირითად და ტრადიციული მომსახურების სახეობათა რიცხვს მიეკუთვნება: საკრედიტო, დეპოზიტური, საინვესტიციო, საანგარიშსწორებო, სალაროს ოპერაციები, აგრეთვე-სავალუტო, ფასიანი ქაღალდებით, ძვირფასი ლითონებითა და ოქროთი ვაჭრობა.

ბანკის მოგების ფორმირებისა და გამოყენების ანალიზი

ცხრილი 2.7

მაჩვენებლების დასახელება	თანხა მლნ ლარებში
1. ნაშთი ანგარიშზე „წინა წლების მოგება“	6
2. ნაშთი ანგარიშზე „წინა წლების ზარალი“	-
3. ბანკის შემოსავლები საანგარიშგებო პერიოდში	15
4. ბანკის ზარჯები საანგარიშგებო პერიოდში	10
5. ბრუნვა ანგარიშზე „მოგება საანგარიშგებო პერიოდში“	3
6. ბრუნვა ანგარიშზე „ზარალი საანგარიშგებო პერიოდში“	1
7. საბალანსო მოგება საანგარიშგებო პერიოდში	7
8. ზარალი საანგარიშგებო პერიოდში	-
9. მოგების (ზარალის) ჯამი საანგარიშგებო და წინა პერიოდებში (სტრ.1+სტრ.3-სტრ.4+სტრ.3-სტრ.6+სტრ.7)	13
10. გამოყენებულია საანგარიშგებო პერიოდის მოგება	7
11. გამოყენებულია წინა წლების მოგება	2
12. ნაშთი ანგარიშზე „წინა წლების მოგება (სტრ.9-სტრ.10-სტრ.11)	4
13. ნაშთი ანგარიშზე „წინა წლების ზარალი“	-

საკრედიტო მომსახურების შედეგიანობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც სხვაობა კრედიტების პროცენტულ შემოსავლებსა და დეპოზიტების პროცენტულ ზარჯებს შორის.

ფორმირებული მოგების ხარისხის ძირითად მაჩვენებელს წარმოადგენს სესხის სტრუქტურა და ხარისხი, რომელთა გაცემიდან უნდა მივიღოთ მოგება. ამ ანალიზის ჩატარებისას შესწავლილ უნდა იქნეს საეჭვო, მაღალი რისკის, არასტანდარტული, საშიში, უიმელო სესხები, გაცემის შედეგად მიღებული მოგება, დაუფარავი კრედიტებისაგან მიღებული ზარალის სიდიდე. ჩვენი აზრით, ასეთი ანალიზი უნდა ჩატარდეს ცალ-ცალკე მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხების მიხედვით. შემოსავლები კი უნდა დაჯგუფდეს ზემოთ მითითებული მიმართულებების მიხედვით, ხარჯები კი გაცემული კრედიტების წილის პროპორციულად განაწილდეს.

ბანკებში დეპოზიტური ოპერაციები არის აქტიური და პასიური. პასიური დეპოზიტური ოპერაციები დამოკიდებულია კლიენტების მიერ ფულადი სახსრების ანაბრის სახით განთავსებაზე და, როგორც წესი, არ არის მომგებიანი. აქტიური დეპოზიტური ოპერაციების არსი მდგომარეობს ეროვნული ბანკის და სხვა კომერციული ბანკების ანგარიშებზე მიმდინარე და ხანგრძლივი საგადასახადო რეზერვის შექმნაში. აქტიური დეპოზიტების ნაწილი შეიძლება მომგებიანი იყოს (ბანკის საკორესპოდენტო ანგარიშზე სახსრები, დაბანდებანი ფასიან ქაღალდებში და სხვა). აქტიური დეპოზიტური ოპერაციებისაგან მიღებული მოგების ანალიზი უნდა ჩატარდეს ბანკებში საკორესპოდენტო ანგარიშზე შენახული სახსრებიდან მიღებული მოგების წილის განსაზღვრით საბალანსო მოგების საერთო მოცულობაში. ბანკის მიერ განთავსებული სახსრების პროცენტული განაკვეთის სიდიდის შეფასებით, მის მიერ რეგიონში დაბანდებული სახსრების საშუალო პროცენტულ განაკვეთთან შედარების საშუალებით, ფასიანი ქაღალდების მოგების დინამიკის დადგენით საანგარიშგებო პერიოდების მიხედვით.

საინვესტიციო ოპერაციების ფინანსური შედეგები გულისხმობს: წარმოების საშუალებებში, ფასიან ქაღალდებში ან ერთობლივ სამეურნეო საქმიანობაში გრძელვადიანი დაბანდლებიდან მიღებულ მოგებას. საინვესტიციო ოპერაციების უშუალო ჩატარების ხარჯები, როგორც წესი, არ არის მაღალი და წარმოადგენს საერთო საბანკო დანახარჯების ნაწილს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტული დაბანდებული სახსრების მარკეტინგული გამოკვლევების საკითხებთან. ხოლო რესურსების მოზიდვაზე პირდაპირი დანახარჯები, რომლებიც გამოიყენება საინვესტიციო ოპერაციებში, წარმოადგენს მნიშვნელოვან სიდიდეს, განსაკუთრებით წარმოებაში ან ერთობლივ საქმიანობაში სახსრების დაბანდებისას. საბანკო საქმიანობის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული ინვესტიციები, რომლებიც ხორციელდება თვით ბანკის საკუთარი სახსრების ხარჯზე და არ არის მომგებიანი.

საინვესტიციო ოპერაციების მოგების ანალიზის დროს უნდა განვსაზღვროთ საბალანსო მოგების საერთო მოცულობაში, საინვესტიციო ოპერაციებიდან მიღებული მოგების წილი, საინვესტიციო პორტფელის ოპტიმალობის ხარისხი, შევამოწმოთ და შევაფასოთ საწარმოო აქციაში დაბანდების მოცულობა და მოცემული დაბანდებებიდან მიღებული მოგება, გამოვავლინოთ ინვესტიციების სიდიდე რამდენად შეესაბამება ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაცემებს, მოვახდინოთ ბაზრის შესაძლო ცვლილებების პროგნოზირება.

კომერციული ბანკის სწრაფი განვითარების მიმართულების რიცხვს მიეკუთვნება უცხოური ვალუტის ოპერაციები. შინა და გარე სავალუტო ბაზარზე ოპერაციების წარმოებიდან მიღებული მოგების ანალიზის საკითხების სფერო საქმალად ფართოა. ანალიზის ობიექტებია: საგადასახადო დოკუმენტებით ჩატარებული სავალუტო ოპერაციებიდან მიღებუ-

ლი მოგება, ვალუტაში ფასიანი ქაღალდების ოპერაციებიდან მიღებული მოგება, ბანკ-კორესპონდენტებისათვის გაწეული მომსახურებიდან მოგება, ამასთან, ანალიზის ჩატარებისას უნდა შეფასდეს „მომუშავე“ საკორესპონდენტო ანგარიშების სიდიდე და მათზე დანახარჯები. უნდა განისაზღვროს „არ-მომუშავე“ ანგარიშების წილი (ანუ ბანკის კლიენტების მიერ არმოთხოვნადი) და მათ გამო მიღებული ზარალის მოცულობა, ბანკის რწმუნებულების მიერ იმპორტული ოპერაციების ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობის გამო გადახდილი ჯარიმების სიდიდე და მათი გავლენა სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული საერთო მოგების სიდიდეზე, საკურსო სხვაობები და მათი გავლენა მოგების ან ზარალის სიდიდეზე, რომელიც გამოვლინდება ბალანსის მუხლების გადაფასების შედეგად.

ამასთან, სხვადასხვა სახის ოპერაციების მოგების განსაზღვრის და ანალიზის მეთოდოლოგიას აქვს თავისი სპეციფიკური თავისებურებანი და ორიენტირებულნი არიან ოპერაციის შესწავლის სხვადასხვაგვარ სიღრმეზე (დეტალიზაციის ხარისხი), კერძოდ, ფასიანი ქაღალდების ოპერაციისაგან მიღებული მოგება შეიძლება განისაზღვროს ფასიანი ქაღალდების სახეებით (თამასუქები, ობლიგაციები, დეპოზიტური სერთიფიკატები, საპრივატიზაციო ჩეკები), ფასიანი ქაღალდების ბროკერული ოპერაციების ფორმირებით (კლიენტების ანგარიშით და მათი მოთხოვნით), სატრასტო ოპერაციებით (კლიენტების ანგარიშით და მათი მოთხოვნით მოკლევადიანი დაბანდებები გარე ემიტენტებში, მოკლევადიანი დაბანდებები არასამთავრობო სასესხო ვალდებულებებში).

მოკლევადიან ობლიგაციებში დაბანდებული სახსრებიდან მიღებული მოგება შეიძლება განისაზღვროს რამდენიმე ხერხით: პორტფელური ან ოპერაციული. მისი ანალიზი შეიძ-

ლება ჩავატაროთ იმ მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოცემულია ვ. ვ. ივანოვის ნაშრომში.¹

„პორტფელური“ ხერხის დროს გამოცემული ობლიგაციების რაოდენობა უნდა გავამრავლოთ გადაფარვის ფასზე, რომელიც პირობითად ბირჟაზე მისი უკანასკნელი გარიგების ფასია. მოგების სიდიდე განისაზღვრება ფორმულით:

$$P=(C+B) - A$$

სადაც, P – დილერის მიერ საანალიზო პერიოდში მიღებული მოგება;

C – ბანკის ბალანსზე არსებული პორტფელის შეფასება;

B – ობლიგაციების გაყიდვიდან მიღებული ამონაგები, მთლიანი შეფასების პერიოდის განმავლობაში;

A – საანალიზო პერიოდში ობლიგაციების შესაძენად დახარჯული თანხა.

მოგების განსაზღვრისას აღნიშნული საშუალება არ არის საკმარისად ზუსტი, რამდენადაც ობლიგაციის გადაფარვის დროს ფასს არ შეუძლია, ასახოს ბანკში არსებული ყველა ობლიგაციის რეალური ღირებულება.

ყოველი გარიგებიდან მიღებული მოგების სიდიდე ოპერაციული მეთოდით შეიძლება განვსაზღვროთ შემდეგი ფორმულით:

$$PL=B-A-C$$

სადაც, PL-გაყიდული ობლიგაციებიდან მიღებული მოგება;

¹ Иванов В.В. Надёжность вашего банка - М ФБК-ПРЕСС 1997 с.116

A-ფულადი თანხა, რომელიც დილერმა დახარჯა ობლიგაციების შესყიდვისას;

B-ნავაჭრი ფულადი თანხა, რომელიც მიღებულ იქნა A-თანხიდან ნაყიდი ობლიგაციების გაყიდვით;

C-დანახარჯები, რომლებიც წარმოიქმნება ფასიანი ქაღალდების ყიდვისა და რეალიზაციის დროს.

არატრადიციული საბანკო მომსახურებიდან მიღებული მოგება, როგორცაა მინდობილობები, გარანტიები, პლასტიკური ბარათები, საქმიანობის სხვა სახეები, შეიძლება გავანალიზოთ შესასრულებელი ოპერაციების მოცულობის ცვლილებებისა და მათი შემოსავლიანობის დონით. მეორე მხრივ, იგი შეიძლება შევისწავლოთ, როგორც შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობა, რომელიც მიეკუთვნება მოცემული ოპერაციების ჯგუფს. მაგალითად, საკრედიტო ბარათებიდან მიღებული შემოსავალი (პროცენტები კრედიტზე, წლიური შენატანები სარგებლობის უფლებით, გადასახადები მომსახურებისა და კლიენტების სხვა გადასახადები) და საკრედიტო ბარათების ოპერაციებისათვის დანახარჯებს (პროცენტული გადასახადი, არასაპროცენტო და საოპერაციო ხარჯები, სესხების გადაუხდელობით გამოწვეული ზარალი) იმ პოზიციიდან თუ შევაფასებთ, რამდენად გამართლებულია აღნიშნულ ოპერაციებზე ხარჯები, მხედველობაში უნდა მივიღოთ მომსახურების სფეროს პლასტიკური ბარათების მონაცემების დასამუშავებელი პროცესინგული ცენტრების შექმნის ღირებულება, ბანკნომატების ქსელის, საბანკო-სავაჭრო ელექტრონული ტერმინალების ჩამოყალიბების ხარჯები.

ნეგატიური ფაქტორების რიცხვს, რომლებიც მისაღებ მოგების სიდიდეზე მოქმედებს, დაბალ შემოსავალთან და მაღალ ხარჯებთან ერთად მიეკუთვნება პირდაპირი ფინანსური დანაკარგები.

ბანკებში ფინანსური დანაკარგები წარმოიქმნება რიგი მიზეზებით: სესხის ამღების მიერ აღებული კრედიტის დაგვიანებით დაბრუნება, კრედიტზე პროცენტის გადახდის დაგვიანება, ბანკთაშორისი კრედიტების დაფარვისა და დარიცხული პროცენტის გადახდის დაგვიანება, ფასიანი ქაღალდებით ჩატარებული ოპერაციების წამგებიანობა, სალაროს ოპერაციებში შეცდომები და დანაკლისი, დატაცებები, ძირითადი საშუალებების ნარჩენ ღირებულებაზე დაბალი ფასით რეალიზაცია ან არასრულად გაცვეთილი საშუალებების ჩამოწერა, წინა წლების ოპერაციებში აღმოჩენილი ზარალი, რომელიც საანგარიშგებო პერიოდში გამოვლინდა.

ბანკებში ფინანსური დანაკარგების ანალიზი უნდა ჩატარდეს მათი შესაძლებელი შემცირების მიმართულებით. მაგალითად გადასახადების ვადაგადაცილების შემთხვევაში აუცილებელია, გავარკვიოთ, შესაძლებელია თუ არა გირაოს ლიკვიდაცია და რა რაოდენობით ფარავს ის ზარალის სიდიდეს, გირაოს გაყიდვასთან დაკავშირებით რა დანახარჯებს ექნება ადგილი, რა დანაკარგებთან მიგვიყვანს ბანკის მიერ დამატებით კრედიტის გაცემა წინა გაცემულის დაფარვის მიზნით, როგორი იქნება კრედიტების გადაუხდელობის გამო ზარალის შეფარდებითი სიდიდე, მიღებული შემოსავლების საერთო თანხაში.

დანაკარგების ანალიზის პროცესში, რომელიც დაკავშირებულია კრედიტების დაუბრუნებლობასთან, პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს ყველა არასაიმედო დასაბრუნებელი კრედიტი და ყველა სახის გაცემული სესხი, შეფასდეს დაუბრუნებელი სესხების დაფარვის ხარისხი სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ხარჯზე, მოხდეს ჩამოწერილი დავალიანებების დაბრუნების შესაძლებლობის შეფასება, დერწმუნდეთ ჩამოწერილი დავალიანების შესაბამის ბალანსგა-

რეშე ანგარიშებზე აღრიცხვის წარმოების არსებობასა და სისწორეში.

ბანკის მენეჯმენტის შემაღენელ და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ბიზნეს-გეგმა. თავის მხრივ, ბიზნეს-გეგმა და მთლიანად მენეჯმენტიც წარმოუდგენელია ფინანსური ანალიზის ფართო გამოყენების გარეშე.

ბიზნეს-გეგმის შედგენა უნდა დაეწყოს ბანკში მიმდინარე საქმიანობის მდგომარეობის, მიღწეული მოგების ღონის მოცულობისა და შემაღენლობის შეფასებით.

ბანკის საქმიანობის დაგეგმვის ძირითადი ამოცანაა შესაძლო ფინანსური შედეგების გაანგარიშება. ანალიზის პროცესში მხედველობაში უნდა მივიღოთ ბანკის მიერ დაგეგმილი შემოსავლების სიდიდე, რესურსების და შესაძლებლობების არსებობა მარეგულირებელი ორგანოების მიერ დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით, უნდა მოხდეს საერთო საბანკო მოგების გეგმისა და ქვედანაყოფების გეგმის დაკავშირება. განისაზღვროს დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობის მოცულობაზე ზეგავლენის ხარისხი, რომელიც დაკავშირებულია ბანკის მიერ მისი საკუთრების უფლებების რეალიზაციასთან. შესწავლილ უნდა იქნეს არსებული და ფორმირებადი საკრედიტო პორტფელის სტრუქტურის ზეგავლენა დაგეგმილი მოგების სიდიდეზე, დადგინდეს, რამდენად სრულად გამოიყენება დეპოზიტური სახსრების მოზიდვის ვადის გაზრდის შესაძლებლობანი, გაირკვეს მოგების ბიზნეს-გეგმაში გათვალისწინებული მოგების სიდიდეზე შრომის ორგანიზაციის სისტემის ცვლილების ზეგავლენა, გამოვლინდეს ფილიალების დაგეგმილი მოგების ზეგავლენა საერთო-საბანკო მოგების სიდიდეზე, მოხდეს ტრადიციული წყაროებიდან, ახალი მომსახურებიდან და ოპერაციებიდან მიღებული მოგების გამოიჯნვა.

მოგების ანალიზის ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანას შეადგენს მისი გამოყენების მიმართულების ეფექტიანობის შესწავლა, ამასთან, უნდა შევიწყვლოთ მოგების არა მარტო ის ნაწილი, რომელიც მიღებულია საანგარიშგებო პერიოდში, არამედ ისიც, რომელიც დაგროვდა წინა პერიოდებში.

ბანკის მიერ მოგების გამოყენების ძირითად მიმართულებად ითვლება გადასახადების გადახდა, აქციონერებზე დივიდენდების გაცემა, გადარიცხვები სარეზერვო, სპეციალური დანიშნულების ფონდებში და სხვა მიზნებისათვის.

ანალიზის დროს, პირველ რიგში, უნდა მივაქციოთ ყურადღება გადასახადის დარიცხვის სისრულესა და დროულობას, რამდენადაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საგადასახადო ვალდებულებების შესრულებაში დაშვებულ ყოველგვარ დარღვევას ბანკისათვის მოაქვს მსხვილი ჯარიმები და გავლენას ახდენს მის იმიჯზე.

ანალიზის პროცესში საჭიროა შევაფასოთ გასაცემი დივიდენდების სტაბილურობის დონე, განვსაზღვროთ მისი საშუალო სიდიდიდან გადახრის ოდენობა, დავადგინოთ მათი წილი ბანკის მოგებაში, გამოვიანგარიშოთ ერთ აქციაზე გასაცემი თანხა, მოვანდინოთ მათი შედარება კონკურენტ-ბანკის მაჩვენებლებთან, განვსაზღვროთ გადასახდელი დივიდენდების თანხის თანაფარდობა ბანკის მთლიან აქტივებთან წლების მიხედვით.

ამასთან, რომ ობიექტურად შევაფასოთ რეკლამის, მაკლინებების, წარმომადგენლობების, კადრების მომზადების და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის გაწეული ხარჯები, საჭიროა, ერთი მხრივ ეს ხარჯები შევადაროთ ნორმატივებს, რომელიც კანონმდებლობითაა განსაზღვრული და შევაფასოთ ნორმისა და ნორმატივების გადამეტების ხარისხი, მეორე მხრივ, განვსაზღვროთ მოგებიდან გაწეულ საერთო ხარჯებში ზემოთ აღნიშნული ხარჯების წილი.

მოგებიდან ბანკის მუშაკების კვალიფიკაციის ასამაღლებლად ფულადი სახსრების ხარჯვის ეფექტიანობის შესაფასებლად შეიძლება გამოვიყენოთ ქულების სისტემა, რაც უფრო მაღალია საშუალო ქულა, რომლითაც შეფასებულია მსმენელთა ცოდნა, მით უფრო დადებითად უნდა შეფასდეს ამ მიზნით დახარჯული სახსრების ეფექტურობა.

§ 4. რენტაბელობის ანალიზი

კომერციული ბანკის რესურსების ფორმირება წარმოებს საკუთარი, მოზიდული და ემიტირებული ფულადი სახსრებისაგან, რომელიც საბოლოო ჯამში იფარება მოგებით. ამდენად, ბანკის საქმიანობა ძირითადად მომგებიანობაზე უნდა იყოს აგებული და ეფექტიანობაზე ორიენტირებული.

მართალია, მოგება წარმოადგენს მნიშვნელოვან შეფასებით მაჩვენებელს, მაგრამ ის ყოველთვის არ იძლევა საკმარის, სრულ ინფორმაციას ბანკის საქმიანობის ეფექტიანობის დონისა და განთავსებული ან ინვესტირებული რესურსების შესახებ, რომელთაც მოაქვს ეს მოგება.

რენტაბელობის მაჩვენებლები, რომლებიც წარმოადგენენ შედეგს მოგების (წმინდა შემოსავლის) შეფარდებისა იმ საშუალებებთან, საიდანაც მიიღება მოგება, ძირითადად ბანკის მუშაობის ეფექტიანობას ახასიათებენ—ბანკის მწარმოებლურობა ანუ მისი ფინანსური რესურსების უკუკავა, ავსებს რა აბსოლუტურ რაოდენობრივ სიდიდეს, ხსნის მათ ხარისხობრივ არსს. მეტი წილი შეფარდებითი მაჩვენებლებს ეკონომიკური არსი მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ახასიათებენ მოგებას, რომელიც მიიღება ბანკში დაბანდებული ფულადი სახსრების (საკუთარი და მოზიდული) თითოეულ ლარადან.

ბანკის რენტაბელობის დახასიათებისა და ანალიზისათვის განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში უფრო მეტად იყენებენ ეგრეთ წოდებულ დეკომპოზიციურ მდგომას ანუ ფირმა „დუპონის“ მეთოდს, რომლის არსი მდგომარეობს ძირითადი ფაქტორების განსაზღვრაში, რომლებიც გავლენას ახდენენ მოგების სიდიდეზე, რომელიც მოდის საკუთარი კაპიტალის თითოეულ ერთეულზე. ზემოაღნიშნული ანალიზის პროცესში წარმოებს ეტაპობრივი დაყოფა ბანკის რენტაბელობის საბაზო მაჩვენებლებისა მისი შემადგენლობის მიხედვით, ხორციელდება დეტალური შესწავლა მათი დაყოფის თითოეულ საფეხურზე, ზდება მიღებული მაჩვენებლების სიდიდის შედარება მათ მნიშვნელობასთან, რომელიც დამახასიათებელია მსოფლიო საბანკო პრაქტიკისათვის და ბოლოს განისაზღვრება გადახრები და ვლინდება მიზეზები, რომლებმაც მოახდინეს უშუალო ზეგავლენა კომერციული ბანკის საქმიანობის შედეგზე.

საქართველოს პირობებში, ანალიზის ჩატარების პროცესში რენტაბელობის მაჩვენებლების გაანგარიშებისას თუ გამოვიყენებთ ზემოთ აღნიშნულ მეთოდს, წარმოიშობა ცალკეული სიძნელები, რომლებიც განპირობებულია, პირველ რიგში, იმით, რომ ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ადგილობრივი სისტემა არ ითვალისწინებს ბუღალტრულ ბალანსში ბანკის იმობილიზებული საკუთარი საშუალებების ცალკე მუხლად გამოყოფას და ამიტომაც რენტაბელობის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები, მათ შორის კაპიტალის მომგებიანობის მაჩვენებელი, არ წარმოადგენს საკმარისად ზუსტს, გარდა ამისა, გამწვანებულია აქტიური ოპერაციების ეფექტიანობის მაჩვენებლის დადგენა, რომლის გაანგარიშების დროს უნდა დავეყრდნოთ აქტივების საშუალოწლიური თანხების სიდიდეს და არა მათ მნიშვნელობას განსაზღვრული თარიღისათვის. კომერციულ ბანკებში რენტაბე-

ლობის მაჩვენებლების ანალიზის ჩატარების ორგანიზაციული სირთულეები დღეისათვის დაკავშირებულია ერთიანი მეთოდოლოგიის უქონლობასთან და ამის შედეგად არ არსებობს სხვადასხვა ბანკების მონაცემების შედარების ბაზა.

ბანკის რენტაბელობის განსაზღვრის სხვა ცნობილ მეთოდს წარმოადგენს ეგრეთ წოდებული **გორდონის მოდელი**. აღნიშნული მოდელის თანახმად, რენტაბელობა განისაზღვრება ბანკის მიერ წლის ბოლოსათვის, ან მიმდინარე პერიოდში ემისირებული ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის სიდიდით. სქემატურად გამოისახება შემდეგნაირად:

$$\text{საერთო რენტაბელობა} = D1/P_0 + (P1 - P_0)/P_0$$

სადაც, $D1$ - დივიდენდებია წლის ბოლოს; P_0 -ფასიანი ქაღალდების შესყიდვის ფასი; $P1$ -აქციების გაყიდვის ფასი.

ამგვარად, ბანკის საერთო რენტაბელობა მისი ფასიანი ქაღალდების შემოსავლების სახით, შედგება აქციების რენტაბელობისა და შემოსავლების ზრდისგან, რომელიც მიიღება მათი გაყიდვისას.

რენტაბელობის გაანგარიშების მესამე მეთოდი, რომელიც გამოიყენება საზღვარგარეთის საბანკო პრაქტიკაში არის **შარპის მოდელი**!¹

$$E(R) = R_f + (E(R_m) - R_f) \cdot \beta$$

სადაც, $E(R)$ მოსალოდნელი შემოსავლების სიდიდე (გაანგარიშების სიდიდე);

R_f -ურისკო პროცენტული სიდიდე (მაგალითად სახელმწიფო ფასიან ქაღალდებზე);

R_m - საბაზრო შემოსავლების სიდიდე, ურისკო სიდიდისა და რისკიანი პრემიის ჯამი;

¹ Шарп У.Ф. Александер Г. Вж. Бейли В. Инвестиции Пер. с англ. – М. "ИНФРА", 1997.

(E(Rm)-Rf) - რისკი-პრემია;

E(Rm)- მოსალოდნელი რისკის შემასწორებელი კოეფიციენტი;

β- საბაზრო რისკის შემასწორებელი კოეფიციენტი.

ამ მეთოდის გამოყენებით გაიანგარიშება ბანკის რენტაბელობა, როგორც მისი ფასიანი ქარალდებისაგან მოსალოდნელი შემოსავლების სიდიდე საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის.

ითვლება, რომ აქციის ფასი და ბანკის მიერ გაცემული დივიდენდების სიდიდე (რომელიც საფუძვლად უდევს რენტაბელობის გაანგარიშების გორდონის მეთოდს) ბანკის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების ყველაზე უფრო ობიექტურ საბაზრო მაჩვენებლებს წარმოადგენს, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ დივიდენდების სიდიდე და, გამომდინარე აქედან, ბანკის აქციის ფასი განისაზღვრება როგორც საკრედიტო დაწესებულების მომგებიანობის დონით, ისე მნიშვნელოვანწილად აღნიშნულ მაჩვენებლებზე გადაწყვეტილებების ზემოქმედებით, რომლებსაც ლებულობენ მისი აქციონერები.

მიუხედავად იმისა, რომ საბალანსო და ანგარიშგების მონაცემები გარკვეულ წილად განსხვავდება მისი რეალური (საბაზრო) მნიშვნელობებისაგან, კაპიტალის რენტაბელობის მაჩვენებელი და ამ მონაცემებით გაანგარიშებული სხვა კოეფიციენტები (ფირმა „დიუპონის“ მოდელი), პირდაპირ და უშუალოდ აფასებს ბანკის ეფექტიანობას.

თუ განვიხილავთ შარპის მოდელს, მაშინ ბანკის რენტაბელობის მაჩვენებელი განისაზღვრება ფასიანი ქალაღდებისაგან პროგნოზირებადი შემოსავლების სიდიდით და მისი მნიშვნელობა გაიანგარიშება დაგეგმილი შესაძლო რისკების გათვალისწინებით, რომელთა ფორმალიზაცია ხდება პრო-

ცენტული სიდიდეების სახეების დიფერენციაციით (ურისკო სიდიდე, სარისკო პრემია) აგრეთვე, შემასწორებელი კოეფიციენტით, რომელიც ახასიათებს საბაზრო რისკს. ეს მოდელი მიეკუთვნება ე. წ. ეკონომიკურ მოდელთა რიცხვს, განსხვავებით წინა ბულალტრულისაგან.

მაშასადამე, კომერციული ბანკების საქმიანობის რენტაბელობის განმსაზღვრელი არსებული მეთოდები საშუალებას იძლევა, განსხვავებული პოზიციებიდან გაკანალიზოთ და შევაფასოთ მისი დონე.

ჩვენი აზრით, საქართველოს საბანკო პრაქტიკაში რენტაბელობის მაჩვენებლების ანალიზის ჩატარებისას გამოყენებულ უნდა იქნას დიუპონის მოდელი, რადგანაც ეს მოდელი ითვლება მრავალფაქტორულად და, ამასთან ერთად, აკებულია ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე. ანალიზის მიზანი, განაზოგადოს რენტაბელობის მაჩვენებლები, ამ მოდელით უფრო მეტად დაკმაყოფილებულია, ვიდრე სხვა მოდელეში.

კერძოდ, ეს სისტემა ითვალისწინებს მთელი რიგი ძირითადი მაჩვენებლების გაანგარიშებას და შეფასებას: კაპიტალის შემოსავლიანობას, აქტივების მოშეებიანობას, აქტივების შემოსავლიანობას, აქტივების გამოყენებას, კაპიტალის მულტიპლიკატორს.

კაპიტალის შემოსავლიანობის კოეფიციენტი (კ₁)¹

რომელმაც მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში მიიღო სახელწოდება ROE¹, გამოითვლება ბანკის მიერ მოგების გადასახდის გადახდის შემდეგ დარჩენილი წმინდა მოგების (მ) შეფარდებით მის საკუთარ კაპიტალთან (კ). იმ შემთხვევაში,

¹ Ларионова И.В. Оценка уровня прибыли с точки зрения риска и влияния на ликвидность – Ж "Бухгалтерия и банки" 2000 г. №5, с. 24-41.

როცა ბანკის კაპიტალი მთლიანად ეკუთვნის აქციების მფლობელებს და განისაზღვრება ფორმულით:

$$K_1 = \frac{M}{k}$$

ან (როცა კაპიტალი ტოლია საწესდებო ფონდის) როგორც წმინდა შემოსავლის შეფარდება, რომელიც მოდის ერთ აქციაზე, ერთი აქციის საბალანსო ღირებულებით (ერთი აქციის წმინდა შემოსავალი ტოლია წმინდა მოგების შეფარდებისა ბრუნვაში აქციის რაოდენობასთან). ის გვიჩვენებს ბანკის მუშაობის ეფექტიანობას მისი აქციონერების ინტერესებიდან გამომდინარე, ახასიათებს მათ მიერ დაბანდებული საშუალებების მწარმოებლურობას (ბოლო წლებში კომერციულ ბანკებში კაპიტალის რენტაბელობის საშუალო ნორმა აშშ-ში შეადგენს 13-16% -ს, საფრანგეთში 5%-ს, დიდ ბრიტანეთში 20 %-ს).

ზემოთ მოცემული მაჩვენებლის ნაკლს წარმოადგენს ის, რომ ბალანსის მიხედვით მოგების მნიშვნელობა განხილულ პერიოდში ფორმალურად შეიძლება გაიზარდოს მთლიანი მოგებიდან გადასახადის რეზერვის შექმნის ხარჯზე, რომელიც ამცირებს მოგების დარჩენილი ნაწილიდან გადასახადის თანხას. აქედან გამომდინარე, იზრდება თვით წმინდა მოგების სიდიდე, მაგრამ, ამასთანავე, მისი რეალური ზრდა არ ხდება. გარდა ამისა, საკუთარი კაპიტალის მაღალი შემოსავლიანობა შეიძლება იყოს უკუპროპორციული მისი საკმარისობისა. მოცემულ კოეფიციენტს შეიძლება ჰქონდეს უდიდესი მნიშვნელობა საკუთარი კაპიტალის დაბალ დონესთან შედარებით.

რენტაბელობის სხვა მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს აქტივების მოშვებანობის კოეფიციენტი K_2 , რომელიც ბანკის აქტივების თითოეული ლარიდან მიღებულ მი-

გების მოცულობას ახასიათებს. ის განკუთვნილია, როგორც საბანკო ოპერაციების ცალკეული აქტივების ეფექტიანობის ანალიზისა და მთლიანად ბანკის მართვისათვის, ისე სხვა ბანკებთან შედარებითი ანალიზისათვის. ის შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად:

$$\text{კ} = \frac{\text{შა}}{\text{მა}}$$

სადაც, კ - აქტივების საშუალო სიდიდეა.

ამ კოეფიციენტის ზრდა უნდა შეფასდეს დადებითად, რადგანაც ის გვიჩვენებს ბანკში არსებული აქტივების გამოყენების ეფექტიანობის ზრდას, ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ამ მაჩვენებლის ძალიან დიდი მნიშვნელობა გვაძლევს გაფრთხილებას რისკის დონის შესაძლო ზრდაზე, რომელიც დაკავშირებულია ბანკის მიერ საკუთარი აქტივების განთავსებასთან.

აქტივების შემოსავლიანობის კოეფიციენტი ახასიათებს ბანკში არსებული ყველა აქტივების მომგებიანობის საშუალო წლიურ მნიშვნელობას, მათ შორის იმ აქტივებსაც, რომლებსაც არ მოაქვს შემოსავალი, თუმცა ასრულებს მნიშვნელოვან და ხანდახან ბანკისათვის აუცილებელ ფუნქციებს. აქტივების შემოსავლიანობის ბაზა განისაზღვრება აქტივების მწარმოებლურობის წილით, რომლთაც მოაქვთ შემოსავალი.

$$\text{შმა} = \frac{\text{მა-აშამ}}{\text{მა}}$$

შმა-აქტივების შემოსავლიანობის ბაზა;

მა- მთლიანი აქტივები;

აშამ-აქტივები, რომელთაც არ მოაქვთ შემოსავალი.

თუ აქტივების შემოსავლიანობის კოეფიციენტის ზრდის ტემპი აქტივების შემოსავლიანობის ბაზის მაჩვენებლის ზრდის ტემპზე მაღალია, მაშინ ეს მოწმობს ან პროცენტული განაკვეთის ზრდაზე, რომლის მიხედვითაც ბანკი გას-

ცემს კრედიტებს და ქმნის რისკის ზრდის საფრთხეს, ან არაპროცენტული შემოსავლების წილის გაზრდას(ყველა გაწეული შესაძლო მომსახურეობიდან მიღებული) ბანკის შემოსავლების საერთო თანხაში, რომელიც ითვლება, როგორც დადებითი მოვლენა.

იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავლების ბაზა უფრო მეტად იზრდება, ვიდრე აქტივების შემოსავლიანობა, შეიძლება ვისაუბროთ ან ბანკის კონსერვატორულ კრედიტულ პოლიტიკაზე, ან ძირითადად საოპერაციო ხარჯების მაღალ დონეზე.

აქტივების მომგებიანობის მაჩვენებლის სახესხვაობას წარმოადგენს **ჭარბი აქტივების მომგებიანობის კოეფიციენტი** κ_{21} , რომელიც განისაზღვრება როგორც წმინდა მოგების შეფარდება ბანკის მაქსიმალურ ერთგვაროვან დაბანდებასთან და გვიჩვენებს აქტიური ოპერაციების შემოსავლიანობის სიდიდეს, ბანკში უფრო ხშირად ეს საკრედიტო ოპერაციებია:

$\kappa_{21} = \frac{M}{A_{\text{პო}}}$

ანალოგიურად გამოითვლება სხვა სახის აქტივებზე შემოსავლიანობის მაჩვენებლები (ინვესტიციურ პროექტებზე, ფასიანი ქაღალდების ოპერაციებზე, ვალუტაზე და ა. შ.) ამასთან ერთად, გამოიყენება წმინდა მოგების მაჩვენებლის მაგივრად შემოსავლიანობის მაჩვენებელი, ხოლო მნიშვნელში – თითოეული სახის აქტივების საშუალო სიდიდე. მათი მნიშვნელობა გაიზრდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა თითოეული ჯგუფის აქტივების ზრდა ემთხვევა მათი გამოყენებიდან მიღებული მოგების ზრდის უფრო მაღალ ტემპს.

რენტაბელობის ანალიზის დროს აუცილებელია განისაზღვროს აქტივების საშუალო სიდიდის ცვლილების დამოკიდებულება მოგების ისეთ ელემენტებთან, როგორიცაა: საოპე-

რაციო შემოსავლები და ხარჯები, ბანკის სამეურნეო ხარჯები, პერსონალის შენახვის ხარჯები, გადასახადები, სხვადასხვა შემოსავლები და ხარჯები. მიღებული შედეგების შედარებით სხვა ბანკების ანალოგიურ მაჩვენებლებთან ან წინა პერიოდის მაჩვენებლებთან, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, თუ რამდენად ეფექტურად განხორციელდა ბანკში ესა თუ ის აქტიური ოპერაციები.

ბანკის კაპიტალის და აქტივების მომგებიანობის კოეფიციენტები ერთმანეთთან დაკავშირებულია მესამე მაჩვენებლის საშუალებით-კაპიტალის მულტიპლიკატორი.

მ=კვ.კვ

სადაც, კვ-კაპიტალის მულტიპლიკატორი ტოლია აქტივების საშუალო სიდიდის შეფარდებისა საკუთარი კაპიტალის საშუალო მნიშვნელობასთან (მთლიანი კაპიტალის შეფარდება საკუთართან):

კვ=ა/კ

ბანკის მულტიპლიკატორის სიდიდე შეიძლება განისაზღვროს, როგორც სხვაობა ფულად სახსრებს შორის, რომლებიც იმყოფება ბრუნვაში წლის ბოლოსა და დასაწყისისათვის.

კაპიტალის მულტიპლიკატორი წარმოადგენს ბანკის საკუთარი კაპიტალის სიძლიერეს და გვიჩვენებს, მუშაობის პროცესში ბანკი თუ რესურსების ფორმირების რომელ წყაროს ანიჭებს უპირატესობას: მოზიდული საშუალებების გამოყენებას თუ აქციონერული კაპიტალის დაგროვებას. რაც უფრო მაღალია მოცემული მაჩვენებლის დონე, მით მაღალია ბანკის გაკოტრების რისკის ხარისხი, მაგრამ, ამავე დროს, თავის აქციონერებზე გასაცემი დივიდენდების სიდიდის

ზრდის შესაძლებლობა მეტია. ამასთან, კაპიტალის მულტიპლიკატორის ხარჯზე ბანკს შეუძლია აქტივებიდან მოგების დაბალი ნორმის ამოღებითაც მიაღწიოს საკუთარი საშუალებების რენტაბელობის მაღალ დონეს.

კაპიტალის შემოსავლიანობის მაჩვენებლების დაყოფა შემადგენელ ნაწილებად (აქტივების შემოსავალი და კაპიტალის მულტიპლიკატორი) საშუალებას იძლევა, შევისწავლოთ და შევაფასოთ მოცემულ მაჩვენებელზე მოზიდული ფინანსური სახსრების ღირებულების და მოცულობის ცვლილების, მთლიანი აქტივების ეფექტიანობის დონის, მართვის აპარატის შენახვის ხარჯების, სხვა ხარჯების გავლენა. ამასთან, კარგად მომუშავე ბანკის აქციონერული კაპიტალის შემოსავლიანობის მაჩვენებელი უფრო მეტია მისი აქტივების შემოსავლიანობის მაჩვენებელზე.

ბანკის რენტაბელობის განმაზოგადებელ მაჩვენებელთა რიცხვში არის ე. წ. შემოსავლების მოშებთანობის მაჩვენებელი, ანუ მოგების მარჟა, რომელიც გვიჩვენებს მოგების ხვედრით წილს ბანკის მიერ მიღებული შემოსავლების თანხაში.

კ4=მ/შ

მოცემული მაჩვენებლის შემცირება მოწმობს შემოსავლების წილის ზრდას, რომელიც მიმართულია ხარჯების დასაფარავად და გამომდინარე აქედან-შემოსავლებში მოგების წილის შემცირებას. თუ კ4 კოეფიციენტის მნიშვნელში ბანკის მთლიანი შემოსავლების მაჩვენებლის მაგივრად არის მისი საოპერაციო შემოსავლები, მაშინ კ4.1 მაჩვენებლის შემცირება განპირობებული იქნება არა საერთო, არამედ ბანკის საოპერაციო ხარჯების ზრდით:

კ4.1=მ/სშ

სადაც, 34.1 - ბანკის წმინდა მოგების მარჯის მაჩვენებელია;

შო - საოპერაციო შემოსავლები.

აქტივების გამოყენების კოეფიციენტი 35- ახასიათებს აქტივების უკუგების ხარისხს, ე. ი. ბანკის პორტფელის მართვის ეფექტიანობას და განისაზღვრება:

$$35 = \frac{შა}{ა}$$

აქტივების საშუალო შემოსავლიანობის ზრდა დამოკიდებულია მათი გადანაწილებით უფრო შემოსავლიანი ფინანსური ინსტრუმენტების სასარგებლოდ, ამასთან, არ უნდა დაუშვათ რისკის ზრდა.

ზემოთ მოყვანილი მაჩვენებლების საფუძველზე კაპიტალის შემოსავლიანობის კოეფიციენტი - კ1, როგორც ბანკის რენტაბელობის განმაზოგადოებელი მაჩვენებელი, შეიძლება წარმოვადგინოთ ნამრავლის სახით:

$$კ1 = კ3 \cdot კ4 \cdot კ5$$

ხოლო აქტივების მოგება - კ2, როგორც:

$$კ2 = კ4 \cdot კ5$$

მოცემული კოეფიციენტები უნდა გამოვიყენოთ მოგების ფაქტიური ანალიზის ჩატარებისათვის, რომლის პროცესშიც ვლინდება ბანკის მუშაობის არა მარტო სუსტი მხარეები, არამედ მისი შინა რეზერვები.

მაგალითის სახით განვიხილოთ სიტუაცია, რომლის დროსაც ორ ბანკს აქტივების რენტაბელობის მაჩვენებლების ერთიანი დონე აქვს, მაგრამ მოცემული კოეფიციენტის შემადგენლობა სხვადასხვა სტრუქტურისაა (იხ. ცხრილი 2.8).

	მაჩვენებლების დასახელება	ბანკები	
		პირველი	მეორე
1	საოპერაციო შემოსავლები	1 000.00	2 000.00
2	წმინდა მოგება	100.00	100.00
3	აქტივები	10 000.00	10 000.00
4	მოგების მარჟა (სტ. 2: სტ. 1)	0. 10	0.05
5	აქტივების გამოყენება (სტ. 1: სტ.3)	0. 10	0. 20
	მოგება აქტივებზე (სტ. 4: სტ. 5)	0. 01	0. 01

ცხრილ 2.8-ში მოცემული აქტივების რენტაბელობის მაჩვენებლები მოწმობენ მათ დაბალ მნიშვნელობებზე. ამასთან, ბანკის რენტაბელობის კოეფიციენტზე ერთნაირი ფაქტორების გავლენა ვლინდება სხვადასხვა ხარისხში. პირველი ბანკისთვის აქტივების გამოყენების კოეფიციენტი ორჯერ დაბალია, ვიდრე მეორისთვის, ხოლო მეორისთვის-იმდენჯერვე დაბალია მოგების მარჟა. გამომდინარე აქედან, პირველი ბანკის აქტივების რენტაბელობის დონის ზრდა დაკავშირებულია იმ ღონისძიებების რეალიზაციაზე, რომლებიც იწვევს აქტივების გამოყენების მაჩვენებლების ზრდას (ძირითადი ამოცანების გადაწყვეტისას შეიძლება ჩატარდეს შემდეგი ღონისძიებები: აქტივების შემოსავლიანობის, მაღალშემოსავლიანი აქტივების წილის, ბანკის შემოსავლების სიდიდის საერთო ზრდა, გაცემული აქტივების დაბალი ხვედრითი

წილი). იმ დროს, როცა მეორე ბანკისათვის უფრო აქტუალურად გვევლინება შემოსავლების მომგებიანობის ზრდის მეთოდის შესწავლა (მაგალითად მართველობითი ხარჯების სიდიდის შემცირება, მოზიდული სახსრების და სხვადასხვა ხარჯების შემცირება).

მაშასადამე, აქტივების რენტაბელობის ანალიზი, რომელიც ზორციელდება მოგების მარჯის და აქტივების გამოყენების მაჩვენებლების შესწავლის გზით, იმ ფაქტორების დეტალიზების საშუალებას იძლევა, რომელთაც იქონიეს გავლენა რენტაბელობის მაჩვენებელზე და განსაზღვრეს მისი ზრდის ძირითადი მიმართულებები.

ანალიზის პროცესში წინა პერიოდის შეფარდებითი სიდიდეების ინდექსის, კოეფიციენტების სხვა ბანკების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარება წარმოადგენს კომერციული ბანკის საქმიანობის შედეგიანობის ზრდის, რეზერვების ძიების ეფექტურ საშუალებას.

რენტაბელობის ანალიზი წარმოადგენს ბანკის ფუნქციონირებადი ქვედანაყოფების მუშაობის ეფექტიანობის განსაზღვრის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. თუ გავითვალისწინებთ, რომ რენტაბელობა საერთო სახით წარმოადგენს თავის მხრივ გაწეული დანახარჯებიდან მიღებული ეფექტის შეფასებას, მაშინ ბანკის ქვედანაყოფების საქმიანობის რენტაბელობაში უნდა ვიგულისხმოთ, პირველ რიგში, მოგების შეფარდება თითოეული სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ გაწეულ ხარჯთან.

$$z_i = \frac{b_i}{a_i}$$

სადაც, z_i — i -ის ბანკის ქვედანაყოფის რენტაბელობა;

a_i — i -ის ქვედანაყოფის მოგება;

b_i — i -ის ქვედანაყოფის ხარჯები.

იმ შემთხვევაში, როდესაც ქვედანაყოფებს მოაქვს შემოსავლები (აქ იგულისხმება საკრედიტო, სავალუტო, საინვესტიციო განყოფილებები), მათი მუშაობის ეფექტიანობის მაჩვენებელი იზრდება, როდესაც მათ მიერ გაწეული ხარჯები მცირდება.

მეორე მხრივ, ბანკის ქვედანაყოფების საქმიანობის რენტაბელობა, როგორც მათ განკარგულებაში არსებული აქტივების ეფექტური გამოყენება, შესაძლებელია განისაზღვროს ქვედანაყოფების მოგების შეფარდებით აქტივების საშუალო მნიშვნელობასთან, რომელიც აუცილებელია მისი მიღებისათვის.

$$R_1 = M_1 / A_1$$

აღანხილული პერიოდისათვის მოცემული ქვედანაყოფის მიერ მოცემული აქტივების გამოყენების საშუალო სიდიდეა.

ქვედანაყოფების რენტაბელობის ანალიზისას ზემოთ აღნიშნული ორი მაჩვენებლის გამოყენება საშუალებას იძლევა, რაც შეიძლება ობიექტურად შევაფასოთ ბანკის კონკრეტული ქვედანაყოფის საქმიანობა სხვადასხვა პერიოდისათვის. (იხ. ცხრილი 2.9).

მაჩვენებლები	I კვ.	II კვ	III კვ	IV კვ
შემოსავლები	100.0	110.0	115.0	145.0
ხარჯები	90.0	95.0	92.0	120.0
მოგება	10.0	15.0	23.0	25.0
საშუალო აქტივები	1 000.0	1200.0	1400.0	1450.0
მოგება / ხარჯები= ხ%	11.0	16.0	25.0	21.0
მოგება / აქტივები = ა %	1.0	1.3	1.6	1.7

მოცემული მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მთლიანობაში განხილული ერთი წლის განმავლობაში ქვედანაყოფები მუშაობდნენ საკმარისად ეფექტურად. მაჩვენებლები: მიღებული შემოსავლები, მოგება, განთავსებული სახსრების მოცულობა, ასევე აქტივების რენტაბელობის კოეფიციენტი განუწყვეტლივ იზრდებოდა.

თუმცა რენტაბელობის მაჩვენებლის დინამიკაში შესწავლა იმაზე მეტყველებს, რომ მართალია გასაანალიზებელი წლის ბოლო კვარტალში „ა“ აქტივების რენტაბელობის მაჩვენებლის მნიშვნელობა იყო ყველაზე უფრო მეტი და ტოლი 1.7 %-ის. ერთი წლის განმავლობაში ყველაზე საუკეთესო მოგების მაჩვენებელი 25 000 ლარი. ქვედანაყოფის რენტაბელობის მეორე მაჩვენებელი—მათ მიერ განხორციელებული ხარჯების „ხ“ ეფექტიანობის მაჩვენებელი — შემცირდა ოთხი პუნქტით. ეს მოხდა იმის შედეგად, რომ ქვედანაყოფების ხარჯები სწრაფად გაიზარდა მისი შემოსავლების ტემპის ზრდასთან შედარებით (მოგების მაჩვენებლის მნიშ-

ვნელობა გაიზარდა მხოლოდ ორი, შემოსავლების სიდიდე კი 30 პუნქტით, იმის შედეგად, რომ ქვედანაყოფების მიერ მიღებული შემოსავლები აღმოჩნდნენ დანახარჯების დასაფარავად გამოყენებულნი). ამგვარად, ერთდროულად რენტაბელობის რამდენიმე მაჩვენებლის ანალიზისას შესაძლებელია, უფრო ობიექტურად შევაფასოთ ქვედანაყოფების მუშაობის შედეგები.

საბანკო პროდუქტის თვითღირებულების განსაზღვრა წარმოადგენს რენტაბელობის ანალიზის ყველაზე რთულ ამოცანას. საბანკო პროდუქტის მომგებიანობის გამოთვლისათვის, ყველა დანახარჯები (ზედნადები ხარჯების გამოკლებით) ნაწილდება მის პროდუქტებს შორის.

თუ საბანკო პროდუქტებს განვიხილავთ არა როგორც სააღრიცხვო-შმართველობით ერთეულებს, არამედ ბანკის საქმიანობის შედეგებს, მაშინ აუცილებელია მისი რენტაბელობის ანალიზის განხორციელება ბანკის მიერ წარმოებული ოპერაციების ეფექტიანობის შესწავლის საფუძველზე. საბანკო ოპერაციების რენტაბელობის ანალიზი, ჩვენს ნაშრომში, წარმოდგენილია სქემა (2.2) სახით.

აქტიური ოპერაციები-ბანკის შემოსავლების ძირითადი წყაროა, ამიტომაც მისი რენტაბელობა, პირველ რიგში, განისაზღვრება აქტიური ოპერაციების ეფექტიანობით. ყველა აქტივების განმაზოგადებელ მაჩვენებელს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოადგენს აქტივების მომგებიანობის მაჩვენებელი. ცალკეული სახის აქტიური ოპერაციების რენტაბელობის ანალიზის ჩატარებისას (საკრედიტო, სავალუტო, ინვესტიციური, ფასიანი ქაღალდების და სხვა) შემოსავლიანობა აუცილებელია განისაზღვროს თითოეული სახის მიხედვით. ეს შესაძლებელია გამოთვლილ იქნეს ყველა სახის ოპერაციიდან მიღებული მთლიანი შემოსავლის შეფარდებით მოცემულ ოპერაციებში დაბანდებული სახსრების თანხასთან

და გამოვლენილ იქნას მომგებიანი, ან პირიქით, მცირე მომგებიანი ან საერთოდ ზარალიანი ოპერაციები:

$$\text{რენტ}_a = \frac{\text{შ}_i}{a_i}$$

სადაც რენტ_a - შემოსავლიანობის მაჩვენებელია i სახის ბანკის აქტიური ოპერაციებიდან;

შ_i - მიღებული შემოსავლების თანხებია ჩატარებული i სახის ოპერაციებიდან;

a_i - აქტივების საშუალო სიდიდე, რომელიც გამოყენებულ იქნა i

სახის ოპერაციებისას.

პასიური ოპერაციების ეფექტიანობის გამოვლენა გ_a , რომელიც ფორმირდება ბანკის რესურსებისაგან, შეიძლება განგარიშებული იქნას, როგორც მოზიდული რესურსების საერთო თანხის შეფარდება ბანკის მიერ განხორციელებული დაბანდებების საერთო სიდიდესთან:

$$\text{გ}_a = \frac{\text{(მოზიდული რესურსები)}}{\text{დაბანდება}}$$

განხილულ პერიოდში ბანკის პასიური ოპერაციების ეფექტიანობის საშუალო მნიშვნელობა გ_a , შეიძლება განისაზღვროს, როგორც ბანკის მიერ მოზიდული რესურსების საშუალო ნომინალური ფასი. იგი გამოისახება შემდეგი სახით: პროცენტის გადახდაზე გაწეული მთლიანი ხარჯების შეფარდებით პასივების ბრუნვის საშუალო მოცულობასთან.

$$\text{გ}_a = \frac{\text{(პროცენტული ხარჯები)}}{\text{საშუალო პასივები}}$$

მოცემული მაჩვენებლები ახასიათებს ბანკის პასიური ოპერაციების ეფექტიანობის სხვადასხვა ასპექტს. პირველი

კოეფიციენტი გვიჩვენებს, ბანკის მიერ თუ რამდენად ეფექტურად გამოყენებულ იქნა მოზიდული რესურსები (ყველა პასივი განთავსებულ იქნა თუ არა), ხოლო მეორე-თვით მოზიდვის ეფექტიანობას ასახავს (როგორია საშუალო ფასი, რომელიც გადახდილ იქნა რესურსებზე).

იმ შემთხვევაში, როცა $კა_1$ (%-ში) > 1 , შეიძლება ვისაუბროთ ბანკის განკარგულებაში არსებული ნასესხი სახსრების გამოყენებლობაზე, თუ $კა_1=1$, მაშინ რესურსების განთავსების სიდიდე მაქსიმალურია (ე. ი. ყველა მოზიდული სახსრები განთავსებულია), თუ $კა_1 < 1$, მაშინ ეს მოწმობს იმაზე, რომ ბანკის მიერ დაბანდებული სახსრები უფრო მეტია, ვიდრე მოზიდული (უფრო ზუსტად ამ სხვაობას ფარავენ ბანკის საკუთარი სახსრებით). ამ შემთხვევაში აუცილებელია შევაფასოთ მათი გამოყენების სიდიდე და დაკადგინოთ, მისი რეალიზაციის შედეგად, ზომ არ ემუქრება რაიმე ბანკის დაცულ და რეგულირებად კაპიტალის ფუნქციას.

მოზიდული პასივების ეფექტიანობის ანალიზისათვის აუცილებელია რესურსების დაყოფა სახეების მიხედვით (ბშკ, დეპოზიტები, ვექსილები):

$ემრ_{აჟ} = (\text{ბშკ-ის ხარჯები}) / (\text{საშუალო ნაშთი ბშკ-ის})$

$ემრ_{დეპ} = (\text{ხარჯები დეპოზიტების მიხედვით}) / (\text{საშუალო ნაშთი დეპოზიტებზე})$

$ემრ_{ვექს} = (\text{ხარჯები ვექსილების მიხედვით}) / (\text{საშუალო ნაშთი ვექსილებზე})$

გამოვიყენებთ რა, ნასესხი საშუალებების მთლიანი ფასის საშუალო მაჩვენებელს, ასევე ცალკეული სახის რესურსების საშუალო მაჩვენებლების მნიშვნელობას, შესაძლებელია განხილული პერიოდისათვის გავაანალიზოთ ფასების ცვლილებები, გამოვაკლინოთ მათ შორის ყველაზე უფრო ძვირი.

კომერციული ბანკებისათვის ძირითად და ყველაზე უფრო სტაბილურს, რომელიც შეადგენს წმინდა მოგებას, წარმოადგენს წმინდა პროცენტული მარჟა, რომელიც შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად:

$$\text{წპმ} = (\text{პშ} - \text{პხ}) \cdot 100 / \text{მასს} = \text{პმ} \cdot 100 / \text{მასს}$$

სადაც, **წპმ** - წმინდა პროცენტული მარჟა;

პშ - პროცენტული შემოსავალი;

პხ - პროცენტული ხარჯი;

მასს - მთლიანი აქტივების საშუალო სიდიდე;

პმ - პროცენტული მოგება;

ზემოთ აღნიშნული შეფარდება ასახავს ბანკის მიერ განხორციელებული პროცენტული ოპერაციების რენტაბელობას ან მის მიერ გამოყენებული აქტივების ეფექტიანობას, იმ ოპერაციების წარმოების დროს, რომლებიც დაკავშირებულია პროცენტების გადახდასთან, ან მიღებასთან.

თავი III. კომერციულ ბანკებში ფინანსური მდგომარეობის ანალიზი


§ 1. ფინანსური მდგომარეობის ძირითადი მაჩვენებლების სისტემები

ბანკის ფინანსური მდგომარეობის ობიექტური შეფასება უაღრესად რთული ამოცანაა, რომლის გადაწყვეტაში განსაკუთრებული ადგილი მისი საქმიანობის კომპლექსური მახასიათებლის მაჩვენებლებს ეკუთვნის. ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებლების რიცხვს მიეკუთვნება: კაპიტალის საკმარისობის, აქტივების ხარისხის, რენტაბელობის, ლიკვიდრობის, რისკის დონის მაჩვენებელი (იხ. სქემა 3.1) ყველა ჩამოთვლილ მაჩვენებლებს შორის არსებობს მჭიდრო კავშირი.

ბანკის კაპიტალი შეიცავს სახსრებს, რომლებიც შემოიტანეს მფლობელებმა (სააქციო კაპიტალის) რეზერვებში, ფონდებში გაუნაწილებელ მოგებაში.

ბანკის დაარსების ეტაპზე კაპიტალის დანიშნულებაა მატერიალური ბაზის შექმნა, რომელიც სჭირდება საკრედიტო დაწესებულებას თავისი საქმიანობის დაწყებისათვის. შემდეგ კი — მისი გაფართოებისა და მოდერნიზაციისათვის. შემდეგში ეს ფუნქცია მეორეხარისხოვნად იქცევა და პირველ რიგზე გამოდის მისი დამცველობითი ფუნქცია (მეანაბრეთა ინტერესების დაცვა, თუ ბანკი ლიკვიდირებული იქნა, შესაძლო დანაკარგების ნეიტრალიზაცია) და მარეგულირებელი ფუნქცია (ბანკის წარმატებული საქმიანობისათვის საბანკო სისტემის საერთო დონის მხარდაჭერა).

სქემა. 3.1. ბანკის ფინანსური მდგომარეობის ძირითადი მაჩვენებლების სისტემა.



უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მეანაბრეთათვის მაგალითად აშშ კაპიტალის დამცველობით ფუნქციას არა აქვს იმდენად დიდი მნიშვნელობა, რამდენადაც ამერიკული ბანკის შემთხვევაში მათი დეპოზიტები (100 ათას დოლარამდე) დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაციების მიერ 100%-იან ანაზღაურებას ექვემდებარებიან.

კაპიტალის სტრუქტურის რეგულირების საშუალებით სახელმწიფო ორგანოები აწესებენ და აკონტროლებენ საბანკო საქმიანობის ნორმებს, აუცილებლობის შემთხვევაში, რო-

დესაც მათი საქმიანობა არასაფუძვლიანია და საშიშად ესახებათ, ახდენენ მათ კორექტირებას.

ბანკის კაპიტალი საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად განიხილება, როგორც ორდონიანი.

პირველადი კაპიტალი (საბაზო) შედგება:

- გადახდილი სააქციო კაპიტალისაგან (მთლიანად გადახდილი ჩვეულებრივი აქციები);
- სასწრაფო და არასასწრაფო პრივილეგირებული აქციებისაგან;
- ღია (გამოქვეყნებული) რეზერვებისაგან, რომლებიც დადგენილია საკანონმდებლო წესით და აგრეთვე საემისიო შემოსავლებისაგან;

- წინა წლებში გაუნაწილებელი მოგების ნაშთისაგან;

აქედან გამოირიცხება: კაპიტალის შემადგენლობაში ჩათვლილი არამატერიალური აქტივები, რომლებსაც არ გააჩნია რეალური შეფასება, მიმდინარე წლის გამოუქვეყნებელი ზარალი.

მეორადი კაპიტალი (დამატებითი კაპიტალი) შეიცავს:

- დაფარულსა და საერთო რეზერვებს (სავალუტო კურსის მერყეობის შემთხვევაში აქტივების, ფასიანი ქაღალდების, გაუთვალისწინებელი ზარალის დროს). დაფარულში ითვლება მხოლოდ ისეთი რეზერვები, რომლებიც არ ქვეყნდება, მაგრამ შეტანილია მოგების და ზარალის ანგარიშში და განხილული იყო ბანკის სამეთვალყურეო ორგანოების მიერ;
- უვადო პრივილეგირებული აქციები (გამოსყიდვას დაქვემდებარებული და დაუქვემდებარებელი);
- სუბორდინირებულ ობლიგაციებს, რომლებიც კონვერტირებულნი არიან ჩვეულებრივ აქციებად;

- არასასწრაფო და სასწრაფო სუბორდინირებული ვალდებულებები.

საბანკო სისტემის რეფორმის გატარების დროს, განსაკუთრებით ბოლო წლებში, ორიენტაციას იღებენ ბაზელის შეთანხმებაში მოცემულ კაპიტალის ფორმირების საერთაშორისო სტანდარტებზე. მისი გაანგარიშება უნდა განხორციელდეს ორი ხერხით (იხ ცხრილი 3.1)

სამართლიანია მლ. ჯ. სინკის მტკიცება, რომელსაც მიაჩნია, რომ „არცერთი ჭკვიანი კრედიტორი არ მიიჩნევს პოტენციური შევალის ცუდი ვალების დასაფარ სარეზერვო ფონდს, როგორც ფირმის კაპიტალის ნაწილს და მეორეხარისხოვან ვალს (უფრო დაბალი სტატუსის ობლიგაციები, რომლებიც ბანკის გაკოტრების შემთხვევაში მეორე რიგში ანაზღაურდება) არ ჩათვლის სააქციო კაპიტალის ეკვივალენტურად“.¹ ასევე ეხება თვით ბაკების კაპიტალსაც. მათი რეზერვები მხოლოდ გარკვეულწილად შეიძლება ჩაითვალოს კაპიტალის შემადგენელ ელემენტად. მათი მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც რჩება გადავადებული სესხების ანაზღაურების შემდეგ და მიმართულია სააქციო კაპიტალის გასაზრდელად, შეიძლება ჩაითვალოს მის რეალურ შემადგენლად.

საერთოდ, ბანკის საკუთარ სახსრებზე რეზერვის გავლენა რთული და მრავალგვარია. მათი ფორმირების მომენტში რეზერვები ზოგჯერ მნიშვნელოვნად ამცირებს ბანკის კაპიტალის სიდიდეს.

¹ М. Синк, Финансовый менеджмент. Учебное пособие- М. Изд. АО «Консалтбайнот», 1996 г. с. 775.

კაპიტალის გაანგარიშების სქემა		კაპიტალის გაანგარიშების სქემა	
პირველი კაპიტალი		მეორე კაპიტალი	
1	რეგისტრირებული ჩვეულებრივი აქციები	1	საჩვენებელი კაპიტალი
2	რეგისტრირებული პრივილეგირებული აქციები	2	უპროცენტო შეზღუდული
3	რეგისტრირებული ერთობლივი საწესდები ფონდი	3	უპროცენტო მიღებული ქონების ღირებულება
4	უპროცენტო შეზღუდული	4	სარეზერვო ორგანიზაციების ფონდების საწილი
5	კაპიტალის გაანგარიშებისას გათვალისწინებული ფონდები	5	მპლანარე წლის მოგების საწილი
6	სულ: (სტრ.1+2+3+4+5)	6	მპლანარე წლის მამულისებრი ფონდების საწილი
7	გამორჩეულია:	7	ფასიანი ქაღალდების გაყიდვებისას ფორმირებული რეზერვების საწილი
8	აქციონერებისგან გამოხდილი სერვისი აქციების	8	საჩვენებელი კაპიტალის და სერვისის სახსრების სხვაობა
9	საქმიანობის დანაშაულების სხვა ფონდები	9	დამტკიცების სერვისის სახსრები
10	წლის განმავლობაში მოგების პინპინობილი მპლანარე და განწილების შემდეგ მიღებული წმინდა ზარალი	10	სულ: სტრ. 1-9 ჯამი
11	სესხების შესახებ დანაკარგების გაანგარიშების და შუამდგომლობის შემდეგ მოგების განწილების საწილი	11	არამტკიცებელი აქციები
12	არამტკიცებელი აქციების	12	სერვისი გამოხდილი აქციების
13	სულ: (სტრ.7+8+9+10+11)	13	წინა წლების დაკარგული ზარალი
14	პირველი ერთობლივი კაპიტალი (სტრ.6-12)	14	მპლანარე წლის ზარალი
		15	მეორე კაპიტალი სულ: სტრ. 10- (11+12+13+14)
	მეორე კაპიტალი		დამტკიცებული კაპიტალი
15	განწილების შემდეგ წლის წმინდა მოგება	16	ჩატარებული გადასახების შემდეგ ქონების ღირებულების ზრდა
16	მეორე კაპიტალის გადასახების	17	სესხების შესახებ დანაკარგების რეზერვის საწილი
17	რისკის შეფასება გათვალისწინებული სესხების დანაკარგების რეზერვი	18	მპლანარე წლის მამულისებრი ფონდები (ან მათი საწილი)
18	სულ: სტრ. (15+16+17)	19	მპლანარე წლის და წინა წლების მოგება (ან მათი საწილი)
19	ის საწილი, რომელიც შეიძლება მიკროფინანსურ აქციების კაპიტალში იქნას (14, 18)	20	სერვისირებული კაპიტალი
20	საჩვენებელი კაპიტალი	21	საჩვენებელი კაპიტალის საწილი მამულისებრი ქონების
21	სულ: (სტრ. 19+20)	22	გადასახების კაპიტალისთვის შემდეგი
22	საჩვენებელი კაპიტალი (სტრ.13+18-21)	23	პრივილეგირებული აქციები
		24	საჩვენებელი კაპიტალის შარის სხვაობა
		25	წინა წლის მოგება
		26	დამტკიცების კაპიტალი სულ: სტრ. 16-24
		27	მპლანარე და მპლანარე წლის სესხების რისკის შეფასება
		28	ფასიანი ქაღალდების გაყიდვებისას ფორმირებული რეზერვების საწილი
		29	ფასიანი ქაღალდების გაყიდვებისას ფორმირებული რეზერვების საწილი
		30	რეგისტრირებული ორგანიზაციების აქციების
		31	მპლანარე წლის მოგების საწილი სტრ. 15+25-26+30
		32	დამტკიცების შემდეგ მიღებული რეზერვების განწილების და სხვა
		33	სერვისი წყაროზე მუდმივ დანაკარგებზე მტკიცებელი აქციების შესახებ
		34	სერვისის სახსრები (კაპიტალი (31-32-33 სტრ.))

შეფარდებითი მაჩვენებლების სისტემის გამოყენება კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის შესწავლისა და შეფასების შესაძლებლობას აფართოებს, კერძოდ, მისი საკუთარი კაპიტალის მაჩვენებლებს.

კაპიტალის საკმარისობის (ადეკვატურობის) ცნება, თავის მხრივ, აკუმულირებას უკეთებს მის ისეთ თვისებებს, როგორც არის საიმედოობა, ბანკის მდგრადობა, არაკეთილსასურველი ფაქტორებისადმი გამძლეობა, შესაძლებლობა, დააღწიოს თავი ზარალიდან მიყენებულ ზიანს, ამასთან, ბანკისათვის საკმარისი კაპიტალის ოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რას უდარებენ მას- შენატანების საერთო თანხას, მთელ აქტივებს, მაღალი რისკის აქტივებს, სესხებს და ინვესტიციებს, დებოზიტებს თუ სხვა მაჩვენებლებს.

ყველაზე მეტად მიღებული აზრი, რომ კაპიტალის საკმარისობა პირდაპირ არის დამოკიდებული რისკის ჯამსა და პროფილზე, რომელზედაც მიდის ბანკი თავის საქმიანობაში, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის ნაპოვნი კაპიტალის სიდიდეზე სხვადასხვა სახის გავლენის დადგენის ხერხი.

მიუხედავად იმისა, რომ ბაზელში მიღებული შეთანხმებები განიცდის ბანკის კაპიტალის საკმარისობის შეფასების კომპლექსური მიდგომის ნაკლებობას, ითვალისწინებს რისკის მხოლოდ ერთ სახეს—საკრედიტოს, რაც წარმოადგენს წინგადადგმულ ნაბიჯს მსოფლიო ბანკის კაპიტალის მოთხოვნილებებთან მიახლოებისაკენ.

მოცემული მოთხოვნები წაეყენება, ერთი მხრივ, კაპიტალის აბსოლუტურ სიდიდეს, რომელიც არ უნდა იყოს არანაკლებ 5 მილიონი ეკიუ და, მეორე მხრივ, მისი შეფასებითი მაჩვენებლების მინიმალური ზღვრის დადგენის გზით.

. 100 % > 8%

აქტივების ჯამობრივი მოცულობა, შეწონილი რისკის გათვალისწინებით

პირველადი კაპიტალი

100% > 4 %

აქტივების ჯამობრივი მოცულობა, შეწონილი რისკის გათვალისწინებით

პირველად და მეორად კაპიტალებს შორის შეფარდება უნდა იყოს 1:1.

კაპიტალის შეფასება რისკის გათვალისწინებით ახალი არ არის, ამ ხერხის განსხვავება წინასაგან მდგომარეობს ბანკის მიერ სარისკო სახის საბალანსო და ბალანსგარეშე საქმიანობისათვის აუცილებელი რეზერვების ფორმირების მოთხოვნების წამოწევაში. ამასთან, აქტივების შეფასება მათი რისკის ხარისხის გათვალისწინებით ხორციელდება სტანდარტული ნორმატივების საფუძველზე.

საქართველოს ბანკების კაპიტალის ბაზის საერთო დონე მსოფლიო მნიშვნელობებთან შედარებით საკმაოდ დაბალია. ამასთან, როგორც სამართლიანად თვლის ზოგიერთი ექსპერტი, საქართველოში ბანკებს საეჭვო უტყუარობა ახასიათებთ.

კაპიტალის საკმარისობის ნორმატივი შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად:

$$HL = K / (AP + KPB + KPC - P_{II} - P_K - P_d) \cdot 100\%$$

სადაც, AP — აქტივების ჯამი ბანკის შეწონილი რისკის გათვალისწინებით;

KPB — საკრედიტო რისკის სიდიდის ინსტრუმენტები, რომლებიც ასახულია ბალანსგარეშე ბუღალტრულ ანგარიშებში;

KPC –სწრაფი გარიგებების საკრედიტო რისკის სიდიდე;

P_u –ფასიანი ქაღალდების გაუფასურების მიხედვით შექმნილი რეზერვის საერთო სიდიდე;

P_k –სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი, რომელიც შექმნილია სარისკო კატეგორიის სესხებისათვის;

P_a –შექმნილი რეზერვის სიდიდე სხვა დანაკარგებისათვის სწრაფი აქტივების და დებიტორებთან ანგარიშსწორებისათვის;

HL –ის დაშვებული ნორმატივის მინიმალური მნიშვნელობა უნდა დადგინდეს ბანკის კაპიტალის 11%-იან სიდიდესთან დამოკიდებულებით.

კაპიტალის საკმარისი სიდიდის განსაზღვრის საშუალებებს, რომლებსაც აწესებენ მარეგულირებელი ორგანოები საბუღალტრო შეფასება წარმოადგენს. მათი უმთავრესი მიზანია ბანკის საეალო ვალდებულებების სიდიდისა და მისი აქტივების შესაბამისობის ოპტიმიზაცია. სააღრიცხვო პროცედურების ნაკლოვანებებს მიეკუთვნება კაპიტალის რეალური მოცულობის სისტემატური შეუფასებლობა.

მეორე მიდგომას წარმოადგენს შეფასების საბაზრო საშუალება, რომლის დროსაც კაპიტალის სიდიდე იზომება როგორც ერთი აქციის ფასი, გამრავლებული მიმოქცევაში მყოფი აქციების რაოდენობაზე და მისი საკმარისობის მინიმალური ღონე დამოკიდებულია ბაზრის პირობებზე და არა იმ შეზღუდვებზე, რომლებსაც აწესებენ საზედამხედველო ორგანოები. თუმცა კაპიტალის შეფასების მეორე საშუალება უფრო ზუსტია, ბანკების აქციების ფასის განსაზღვრისას წარმოქმნილი პრობლემები, რომლებსაც ბანკები არ წარადგენენ კოტირებისათვის, ის რომ ბაზარი ბევრ ადგილობრივ ბანკებზე არ ახდენს დისციპლინარულ ზემოქმედებას.

კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის მახასიათებელ მაჩვენებლების შემდეგ ჯგუფს, რომელიც უშუალო კავშირშია მისი კაპიტალის სიდიდესთან, მიეკუთვნება ბანკის აქტივების ხარისხის მაჩვენებლები.

ბანკის საქმიანობა სხვა სახის ბიზნესისაგან შედარებით მეტ რისკს განიცდის, ბანკის აქტივების ხარისხის შეფასების მეტად გავრცელებულ საშუალებას წარმოადგენს მათი კლასიფიკაცია მათთვის ჩვეული საკრედიტო რისკის პოზიციიდან გამომდინარე. ანუ შევალეების მიერ აღებული სესხების დაუბრუნებლობის რისკი.

ბაზელის შეთანხმების შესაბამისად, აქტივებს აფასებენ მოცემული რისკის გათვალისწინებით კაპიტალის საკმარისი სიდიდის განსაზღვრის მიზნისათვის.

მათი ხარისხის შეფასება ხორციელდება განმარტებული მაჩვენებლების საფუძველზე.

$$RAA=0.A1+0,1.A2+0,2.A3+0,5.A4+1,0.A5$$

სადაც,

RAA – ბანკის ჯამობრივი აქტივებია მათი შეწონილი რისკის ხარისხის გათვალისწინებით;

A1,A2,A3,A4,A5 –ხუთი ჯგუფის აქტივებია;

0; 0,1; 0,2; 0,5; 1,0 –საბაზრო და საკრედიტო რისკის ხარისხის შესაბამისი კოეფიციენტებია.

აქტივების კლასიფიკაციის სისტემის გარდა, დასავლეთში იყენებენ სხვასაც, მაგალითად აშშ-ს ფედერალური სარეზერვო ბანკის შემოთავაზებული სისტემა აქტივებს ყოფს „კარგებად“, „განსაკუთრებულად“ და „ნეგატიურად რანჟირებულნი“ (შიშის გამომწვევნი, საეჭვონი, წამგებიანნი).

საქართველოს კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის თანახმად, რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები რისკის ხარისხისა და შესაძ-

ლო გაუფასურების გათვალისწინებით დაყოფილია ოთხ კატეგორიად:

- ა) I კატეგორიის აქტივები, 0% რისკი—რისკის კოეფიციენტი 0;
- ბ) II კატეგორიის აქტივები, 20% რისკი— რისკის კოეფიციენტი 0.2;
- გ) III კატეგორიის აქტივები, 50% რისკი—რისკის კოეფიციენტი 0.5;
- დ) IV კატეგორიის აქტივები, 100% რისკი—რისკის კოეფიციენტი 1.0.

ამგვარად, რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების გაანგარიშების აღნიშნული მეთოდით დაამყარებულია საერთაშორისო მოთხოვნების პრინციპებზე. თუმცა ამ მეთოდის ზოგიერთი პოზიცია მთლიანად ვერ ითვალისწინებს ქვეყანაში რეალურად არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას.

ვინაიდან კომერციული ბანკების აქტივების ხარისხი განისაზღვრება, პირველ რიგში, ისეთი მნიშვნელოვანი შემადგენლობით, როგორცაა სესხები, საბანკო აქტივების კლასიფიკაცია უნდა შეივსოს სესხების კლასიფიკაციით — უზრუნველყოფის ხარისხი (უზრუნველყოფილი სესხი, ნაკლებად უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი) და საკრედიტო რისკის დონით. საკრედიტო რისკის დონის მიხედვით ყველა სესხი მიზანშეწონილია დაიყოს ოთხ ჯგუფად:

I ჯგუფი — სტანდარტული სესხები (პრაქტიკულად ურისკო);

II ჯგუფი — არასტანდარტული სესხები (დაუბრუნებლობის ზომიერი დონის რისკი);

III ჯგუფი — საეჭვო სესხები (დაუბრუნებლობის მაღალი დონის რისკი);

IV ჯგუფი – უიმელო სესხები (დაბრუნების ალბათობა არ არის).

თუმცა აქტივების კლასიფიცირება მათი დამახასიათებელი რისკების გათვალისწინებით ოფიციალურ ანგარიშგებაში განიხილება როგორც მათი ხარისხის შეფასების ძირითადი საშუალება, მოცემული მიდგომა არ შეიძლება იქნეს ერთადერთი, ვინაიდან დაბალი დონის რისკის მქონე აქტივები, რომლებსაც არ მოაქვს შემოსავალი, ან თუ მოაქვს – არასტაბილური, არ შეიძლება ჩაითვალოს ხარისხიანად. ამასთან დაკავშირებით, აქტივების ხარისხიანობის სხვა მაჩვენებელთა რიცხვს საჭიროა მივაკუთვნოთ: მათი შემოსავლიანობა (რენტაბელობა) და ლიკვიდურობა. აქტივების ხარისხი აგრეთვე მდგომარეობს პირდაპირ დამოკიდებულებაში მათი სტრუქტურის მიზანშეწონილობასთან, ოპერაციების დივერსიფიცირებულობასთან, აქტივების ამა თუ იმ სიდიდის პრობლემური ან არამდგრადობის ნიშნების გამოვლენასთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომერციული ბანკის აქტივების ძირითად ხარისხობრივ მაჩვენებლებს შეიძლება მივაკუთვნოთ:

- რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების ჯამობრივი სიდიდე/ბანკის საერთო კაპიტალი;
- ზარალი სესხებიდან/სესხების დავალიანების საშუალო სიდიდე;
- ზარალი სესხებიდან/ საერთო სასესხო დავალიანება;
- ვადაგადაცილებული დავალიანება/გაცემული სესხები;
- რისკისაგან დაცულობის კოეფიციენტი (მოგება ნეტო+რეზერვები ნეტო+ სარეზერვო ფონდი)/ სასესხო დავალიანების ნაშთი;
- პრობლემური კრედიტები/კრედიტების საერთო ჯამი;
- ჩამოწერილი რეზერვები/კრედიტი+ჯარა;

- ზარალის დასაფარავი რეზერვი/დაუფარავი კრედიტები;
- ნორმატიული მაჩვენებლები; ერთ კრედიტორზე რისკი, აქციონერებისა და ინსაიდერების დაკრედიტება;
- განსხვავებული ღონის რისკის აქტივების სტრუქტურული შემადგენლობის წილი აქტივების საერთო ჯამში;
- საკრედიტო პორტფელის ხარისხის კოეფიციენტი (სესხებისათვის გაანგარიშებული რეზერვები/ძირითადი ვალის ჯამობრივი სასესხო დავალიანება);
- მსხვილი გარიგებების ხვედრითი წილი (კაპიტალის 25%-ზე მეტი) აქტივების საერთო ჯამში;
- მატერიალური აქტივების ხვედრითი წილი (მიწები, შენობები, აღჭურვილობები) აქტივების საერთო ჯამში;
- მაღალრისკიანი დაბანდებების წილი/ფასიან ქალაქლებში, კაპიტალში მონაწილეობა, ფაქტორინგი, ლიზინგი) აქტივების საერთო ჯამში;
- აქციონერებისათვის გაცემული კრედიტების სიდიდე (ინსაიდერებისათვის) დადგენილი ლიმიტის ზევით;
- საბანკო გარანტიებზე გადაუხდელი თანხები;
- მატერიალური წახალისების ფონდის ანგარიშიდან გაცემული სესხები;
- აქტივების რენტაბელობა მთლიანად (მოგება – ნეტო/აქტივები);
- შემოსავლის მომტანი აქტივები/სულ აქტივები – ნეტო (რამდენადაც ყველა შემოსავლიანი აქტივი დაკავშირებულია რისკთან);
- მარჟა, რომელიც კორექტირებულია რისკზე (RAM)=წმინდა პროცენტული შემოსავალი – სესხების დანაკარგები/აქტივები;
- აქტივების ზარალის დასაფარავი რეზერვები/ შემოსავლის არმომტანი აქტივები.

ლიკვიდურობის მაჩვენებლები — მიეკუთვნება ბანკის ფინანსური მდგომარეობის შეფასების მაჩვენებლების ჯგუფს, რომლებსაც ზოგიერთი საზღვარგარეთელი ანალიტიკოსი აყენებს პირველ ადგილზე საკრედიტო დაწესებულების საქმიანობისათვის მისი მნიშვნელობის ხარისხის მიხედვით.

ლიკვიდურობა ფასდება ბანკის მიერ აქტივების ან სხვა გადასახდელ საშუალებებში ტრანსფორმირების უნარიანობის თვალსაზრისით, ფულადი სახსრების ნაკლებობის დროს მისგან მოთხოვნილი ვალდებულებების გადასახდელად, აგრეთვე კლიენტების კრედიტების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ამისათვის სახსრები გროვდება წინასწარ, აქტივების გაყიდვისა და პასივების ყიდვის გზით.

ბანკის ლიკვიდურობის განსაზღვრა, მხოლოდ როგორც ფულადი სახსრების თადარიგი, მათ მოთხოვნილებასთან შესაპირისპირებლად, წარმოადგენს საკმაოდ ვიწრო მიდგომას. როდესაც ლიკვიდურობა განიხილება როგორც „ნაკადი“ მაშინ ითვალისწინებენ ნაკლებად ლიკვიდური აქტივების გადაქცევას მეტად ლიკვიდურად, აგრეთვე დამატებით სახსრებს სესხის სახით და ბანკის საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებს.

საზღვარგარეთის ბანკების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მათი ლიკვიდურობის მართვისას პრიორიტეტი მიეცა პასიურ ოპერაციებს, რამდენადაც ლიკვიდური სახსრების დაგროვება აქტივებში აქვეითებს საბანკო დაწესებულებების დინამიკური განვითარების ტემპს, რომელიც მოითხოვს ფულადი სახსრების განუწყვეტლივ ღინებას. ამიტომ მსხვილი ბანკებისათვის ლიკვიდურობის მართვა პასივების მართვის სინონიმია. ჩვენი აზრით, ლიკვიდობა შეიძლება განვიხილოთ როგორც მრავალდონიანი სისტემა და შემდგენიერად ჩამოვყალიბოთ:

□ სახელმწიფო საბანკო სისტემის ლიკვიდობა;

- ◻ ბანკის ბალანსის ლიკვიდობა;
- ◻ ბანკის ლიკვიდობა;
- ◻ აქტივების ლიკვიდობა;
- ◻ კლიენტების ლიკვიდობა.

ლიკვიდურობის ოპტიმალური დონის შენარჩუნება რთული ამოცანაა, რომლის შესრულებაც, ამა თუ იმ ხარისხით, პრაქტიკულად ყოველთვის შეიძლება მიღწეულ იქნეს რამდენადაც არსებობს უკუკავშირი ბანკის ლიკვიდურობის დონესა და მის მეორე მახასიათებელ-შემოსავლიანობის დონეს შორის (რამდენადაც მაღალია პირველი, იმდენად დაბალია მეორე და პირიქით). ე. ი. ნაღდ და მათთან გათანაბრებულ სახსრებს, რომელიც საჭიროა ლიკვიდურობის დონის აუცილებელი შენარჩუნებისათვის, ან არ მოაქვთ შემოსავალი, ან თუ მოაქვთ – უმნიშვნელო.

მაქსიმალური შემოსავლიანობის დონის მისაღებად ლიკვიდურობის საჭირო დონის შენარჩუნების დროს გამოიყენება ცნება ნეტო-ლიკვიდური პოზიცია (L_t), რომელშიც აისახება ბანკის სახსრების მოზიდვისა და განთავსების ყველა ოპერაცია.

$$L_t = L_p / (P_d + D_{nd} + P_s + P_a + P_r) - L_s / (S_r + S_p + R_{nd} + R_p + R_d)$$

სადაც,

L_t – ნეტო ლიკვიდური პოზიცია;

L_p – ლიკვიდური სახსრების შეთავაზება;

P_d – დეპოზიტების შემოსვლა;

D_{nd} – დეპოზიტური საბანკო მომსახურების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი;

P_s – წინათ გაცემული სესხის დაფარვა;

P_a – ბანკის აქტივების გაყიდვა;

P_r – ფულის ბაზარზე სახსრების მოზიდვა;

L_s – ლიკვიდურ სახსრებზე მოთხოვნა;

Sr – კლიენტის ანგარიშიდან ფულადი სახსრების მოხსნა;

Sp – განაცხადი კრედიტის მისაღებად;

Rnd – არადეპოზიტური სახსრების მოზიდვაზე დანახარჯები;

Rp – ბანკის სხვა ოპერაციებზე ხარჯები;

Rd – აქციონერებისათვის დივიდენდების გადახდა.

ბანკის საქმიანობაში და, მაშასადამე, მისი ფინანსური მდგომარეობის შეფასებაში გარკვეულ როლს თამაშობს ამ საქმიანობისათვის დამახასიათებელი რისკები. რისკის ქვეშ იგულისხმება გაურკვეველობანი მომავალი ფულის ნაკადის შესახებ, დანაკარგების აღბათობა ან შემოსავლების მიუღებლობა დაგეგმილთან შედარებით.

არსებობს უამრავი საშუალება საბანკო რისკების შეფასებისა და კლასიფიკაციის კრიტერიუმები. ხშირად საკლასიფიკაციო ნიშნად იყენებენ შემდეგს: ტიპი, სახე, მოცულობა, კომერციული ბანკის გავლენის სფერო, საბანკო რისკის წარმოშობის ფაქტორები, ბანკის კლიენტების შემადგენლობა, რისკის ხარისხი, მისი დროში განაწილება, რისკის აღრიცხვის ხასიათი, საბანკო რისკების მართვის შესაძლებლობები და საშუალებები, საბანკო ოპერაციების სპეციფიკა.

საბანკო რისკის თეორიული მრავალსახეობების დროს საკრედიტო დაწესებულებები ყოველდღიურ პრაქტიკაში ხვდებიან მხოლოდ მათ შეზღუდულ ნაერთს. ამიტომაც ყოველმა კონკრეტულმა ბანკმა უნდა თავისთვის დაადგინოს მაჩვენებლების ისეთი სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს მის ხელმძღვანელობას, უფრო ეფექტურად მართოს ძირითადი სარისკო პოზიციები.


§ 2. ფინანსური მაჩვენებლების ანალიზის მეთოდოლოგია

ფინანსური მდგომარეობა წარმოადგენს ბანკის ფინანსური და სამეურნეო საქმიანობის, მისი აქტივების და პასივების მართვის ეფექტურობის განმარტოგადოებელ მახასიათებელს. ამასთან, ბანკის აქტივების, პასივების მართვის ხარისხი და კოორდინირებულობა, მათი მართვის შერჩეული სქემის შესაბამისად, შეიძლება განვარტოგადოთ ბანკის ფინანსური მდგომარეობის ძირითადი მაჩვენებლების სისტემაში (სქემა 3.2).

ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი საჭიროა დაიწყოს მისი პასივების მართვის ეფექტურობის შესწავლით, რამდენადაც სახსრების განთავსების აქტიური ოპერაციები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ რესურსების მოზიდვის ოპერაციების ჩატარების შემდეგ. კომერციული ბანკის ვალდებულება და მისი საკუთარი სახსრების გარკვეული ნაწილი ბანკის სარესურსო ბაზას წარმოადგენს. პირველყოვლისა, აუცილებელია გაანალიზდეს ბანკის საკუთარი სახსრების ცვლილების სიდიდე დინამიკაში.

ბანკის საკუთარი სახსრების სტრუქტურის გაანალიზება და ცალკეული ფაქტორის გავლენის შეფასება მის ერთობლივ სიდიდეზე შესაძლებელია ცხრილი 3.2-ის დახმარებით.

სქემა. 3.2. კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სქემა.



დამატებითი კაპიტალის სტრუქტურის ანალიზის დროს უნდა შეფასდეს სტანდარტული ვადიანი სესხების რეზერვების ხვედრითი წილი. მათი სიდიდე გათვალისწინებული კაპიტალის მოცულობიდან რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების მნიშვნელობის 1.25%-ს არ უნდა აღემატებოდეს. გარდა ამისა, უნდა განისაზღვროს სუბორდინირებული კრედიტების კაპიტალის შემაღველობაში შეტანის საფუძვლიანო-

ბა, სუბორდინირებული კრედიტების გაცემის ვადასთან და-
მოკიდებულებით. ქონების ღირებულების გაზრდის სიდიდე
მისი გადაფასებისას უნდა ჩაიღოს დამატებითი კაპიტალის
ანგარიშში იმ თანხით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს
გადაფასების სიდიდეს.

ბანკის საკუთარი სახსრების სტრუქტურის ანალიზი
ცხრილი 3.2

	მუხლას დასახელება, რომელიც ბანკის საკუთარ სახსრებშია შეტანული	1.01	1.04	1.07
1	საწესდებო კაპიტალი (აქციონერების სახსრები)	6 000	6 000	6 000
2	საკუთარი აქციები, აქციონერებისაგან გამოსყიდული	-	-	-
3	საემისიო შემოსავალი	-	-	-
4	ბანკის განკარგულებაში დარჩენილი ფონდები და მოგება	61 727	55 949	57 496
5	წმინდა მოგება (ზარალი) საანგარიშებო პერიოდის	3 590	270	4 552
6	მიმდინარე წლის მოგებაზე დარიცხული დივიდენდები	-	-	-
7	განაწილებული მოგება (დივიდენდის გამორიცხვით)	-	-	-
8	გაუნაწილებელი მოგება (სტრ.5-6-7)	3 590	270	4 552
9	საკუთარ სახსრებზე ზევაელენის მქონე ზარჯები	-17 924	-10 852	-9 674
10	ხულ საკუთარი სახსრები (სტრ.1+3+4+8-2-9)	53 393	51 367	49270

ბანკის საქმიანობის საერთო მასშტაბების ცვლილებების
შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ მისი საწესდებო კაპიტალის
ზრდის ტემპის მაჩვენებლის საფუძველზე.

$$\text{ზრდის ტემპი} = \frac{\text{უაქტურად გადახდილი საწესდებო კაპიტალის ჯამი}}{\text{პირველად რეგისტრირებული საწესდებო კაპიტალის სიდიდე}} \times 100 \%$$

ანალიზის შემდეგ ეტაპზე უნდა შეფასდეს საწესდებო ფონდის ფულადი ნაწილის სიდიდე, რომელიც მოდის ყველა აქტივის ლარზე, საკრედიტო დაბანდებებზე, საკუთარ სახსრებზე, მოზიდულ ნასესხებ სახსრებზე, ბანკის ვალდებულებებზე, აგრეთვე საწესდებო ფონდის სიდიდე, რომელიც მოდის ერთ აქციონერზე.

რამდენადაც, ბანკის საკუთარი სახსრები იყოფა: ნეტო-საკუთარი და იმობილიზებულ სახსრებად, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს დაკრედიტების რესურსად. მათი ანალიზისას საჭიროა ბანკის საკუთარი სახსრების ხარისხის განსაზღვრა. ამ მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ იმობილიზაციის კოეფიციენტი.

$$Ku=Cu/Cc,$$

სადაც, Cu-იმობილიზებული სახსრების ჯამია;

Cc-საკუთარი სახსრების -ბრუტო სიდიდე (საკუთარი სახსრების და იმობილიზაციის ჯამი).

მოცემული კოეფიციენტის მნიშვნელობის შემცირება დადებითად ფასდება, რამდენადაც ეს მოწმობს საკუთარ სახსრებში გამოუყენებელი სახსრების წილის შემცირებას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ბანკის შემოსავლის ზრდას.

ვინაიდან ბანკის საკუთარი რესურსების სტრუქტურა პირდაპირ დამოკიდებულია ბანკის მიერ მიღებული მოგების გამოყენების საშუალებებთან, საჭიროა გაანალიზდეს, რა პროპორციებით ნაწილდება იგი ბანკის ფონდებს შორის, მისი რა ნაწილი შეადგენს მიმდინარე წლის და წინა წლების გაუნაწილებელ მოგებას, თვალყური ვადევნოთ მოცემული მაჩვენებლების მის დინამიკაში ცვლილებას, შევისწავლოთ ბანკის საკუთარი სახსრების სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე

მისი მოგების გაუნაწილებელი ნაწილის ზეგავლენა (იხ. ცხრილი 3.3).

ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ გაუნაწილებელი მოგების მოცულობა და კომერციული ბანკების საკუთარ სახსრებში მისი წილის დინამიკა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როლის—განსახილველი პერიოდის თუ მისი დამთავრების შემდეგ, — ხდებოდა ბანკის მოგების ძრითადი ნაწილის განაწილება.

მოგების დაგროვება შინაგანი წყაროების ხარჯზე ბანკის კაპიტალის შევსების მეტად ადვილი საშუალებაა. მის უპირატეობას წამოადგენს არა მარტო სესხების გათავსების დანახარჯების არარსებობა, არამედ არსებული აქციონერების მხრიდან ბანკზე კონტროლის დაკარგვის არსებობაც.

იმისათვის, რომ შევაფასოთ, რამდენად უწყობენ ხელს ბანკის კაპიტალის ზრდას შინაგანი წყაროები, აუცილებელია ჩატარდეს მაჩვენებლის ფაქტიური შემადგენლობის ანალიზი, ე. წ. შინაგანი კაპიტალწარმოშობის დონის:

$$g = nHk. K_{Hak} = Mn. HA. MK. K_{Hak}$$

სადაც, nHk — კაპიტალზე მოგება;

Mn — მოგების მარჟა (წმინდა მოგების შეფარდება მთლიან შემოსავალთან);

HA — აქტივების გამოყენება;

MK — კაპიტალის მულტიპლიკატორი (ერთობლივი აქტივების შეფარდება კაპიტალთან);

K_{Hak} — დაგროვების კოეფიციენტი (განაწილებული მოგებიდან დაკავებული წილი $K_{Hak} = 1 - K_{sub}$, სადაც K_{sub} — დივიდენდების კოეფიციენტს).

ბანკის საკუთარი სახსრების სიდიდეზე მოგების გავლენის ანალიზი.

ცხრილი 3.3

ათას ლარებში

ბანკის ფონდში გადარიცხვები	საანგარიშო პერიოდის მოგებიდან გადარიცხვები	წინა წლების მოგებიდან გადარიცხვები	სხვა შემოსულები	დახარჯვები	საანგარიშო პერიოდისთვის ნაშთი
სარეზერვო ფონდი		500	40		3 000
სპეცდანიშნულების ფონდი		1 494	13 579	16 752	1 857
დაგროვების ფონდი			1 033	1 033	53 901
სხვა ფონდები	-	-	-	400	-
სულ გადარიცხულია ფონდებში	-	1 994	15 012	18 185	58 758
ბანკის საკუთარი სახსრების ჯამში	91 388				
ბანკის სახსრებში ფონდების ხვედრითი წილი (%-ში)	64.3				

მოცემული მაჩვენებლების ყოველი შემადგენლობის ზრდას ბანკის საკუთარი კაპიტალის ფინანსური მართვის ეფექტურობის ზრდისაკენ მივყავართ. ეს მოხდება წმინდა მოგების გაზრდის ან მოგების განაწილების შემცირების ხარჯზე.

გარე კაპიტალის საჭიროებას განიცდიან როგორც წარმატებული ბანკები, — მომგებიანი პროექტების სარეალიზაციოდ, — ასევე ფინანსური სიძნელეების მქონე ბანკები, — თავისი მდგომარეობის გასამყარებლად.

ბანკის რესურსების მეორე ნაწილს, რომელიც ყველაზე დიდია და მას არ ეკუთვნის, მაგრამ გარკვეული პირობებით იყენებს ფინანსურ წყაროდ, წარმოადგენენ მოზიდული და ნასესხები სახსრები.

ბანკის მოზიდული სახსრების ძირითად და მთავარ ნაწილს წარმოადგენს მისი კლიენტების დეპოზიტები—სახსრები, რომლებიც მათ მიერ შეტანილია ბანკში, ინახებიან ანგარიშებზე და გამოიყენებიან ანგარიშის რეჟიმისა და საბანკო კანონმდებლობის შესაბამისად. სხვა მოზიდულ სახსრებს წარმოადგენენ: მოზიდული სპეცფონდები; დროებით თავისუფალი სახსრები, რომლებიც იმყოფებიან საბანკო ანგარიშებზე ოპერაციების მიხედვით, ბანკის საკრედიტო დავალიანება. მოზიდული სახსრები აღემატებიან ბანკის რესურსების სტრუქტურას და წარმოადგენენ ნებისმიერი კომერციული ბანკის ფუნქციონირების საფუძველს.

ნასესხებ სახსრებს მიეკუთვნება: ბანკთაშორისი ვადიანი სესხები, ბანკთაშორისი ფინანსური დახმარება, ბანკის სავალო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციის შედეგად მიღებული სახსრები.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ბანკის რესურსების ფორმირების ძირითადი წყაროების შესახებ ანალიზურმა მონაცემებმა, სახსრების გამოყენების მიმართულების ცნობებისაგან განსხვავებით, განსაკუთრებით ბანკის საკრედიტო პორტფელის შესახებ, ვერ ჰპოვა ასახვა ფინანსური ანგარიშების არსებულ ფორმებში. ასეთი სახის ინფორმაციის არსებობა საშუალებას მოგვცემდა, ჩაგვეტარებინა სარესურსო ბაზის სტრუქტურის ანალიზი.

ბანკის რესურსების ბაზის ანალიზის მსვლელობისას, უნდა გავიანგარიშოთ ყოველი სახის მოზიდული და ნასესხები სახსრების მოცულობა კვარტლის მიხედვით და წლის ბოლოსათვის, განვსაზღვროთ მათი ზვედრითი წილი, შევაფასოთ რესურსის ყოველი სახეობის მნიშვნელობა ბანკის საკრედიტო პოტენციალში, მოზიდული და ნასესხები სახსრების მოცულობის ცვლილებების დინამიკა. ამასთანავე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოზიდული სახსრები ბანკი-

სათვის წარმოადგენენ ნორმალურ მიმდინარე საქმიანობას. მაგრამ ბანკის მიერ ნასესხები სახსრები წარმოადგენს უფრო ძვირ რესურსს და, მაშასადამე, ნაკლებად უპირატესს.

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ საკრედიტო დაბანდების მოცულობა, რომელიც განხორციელდა მოზიდული რესურსების ხარჯზე, შეიძლება გამოყენებული იქნეს ბანკის მიერ მოზიდული სახსრების გამოყენების ეფექტურობის მაჩვენებელი (Ξ_u), რომელიც გაიანგარიშება როგორც მოზიდული სახსრების (n_c) შეფარდება საკრედიტო დაბანდებების ჯამთან (K_B).

$$\Xi_u = n_c / K_B$$

თუ Ξ_u მაჩვენებლის მნიშვნელობა აღემატება 100%-ს, ეს მოწმობს მოზიდული სახსრების გამოყენებას არა მარტო საკრედიტო რესურსებად ბანკის სხვა აქტიური ოპერაციების წყაროდ, არამედ შეიძლება მისი გამოყენება საკუთარი დანახარჯების დასაფარადაც.

ბანკის რესურსების და პასივების მთავარი შემადგენელია — დეპოზიტები. დეპოზიტების ანალიზი ხორციელდება მუდმივად ვადისა და კატეგორიების, ანაბრების შეტანისა და გატანის პირობების, გადასახდელი პროცენტის მოცულობის, ბანკის აქტივების ოპერაციების გამო შეღავათების მიღების შესაძლებლობების, სხვა მიმართულებების მიხედვით.

ვინაიდან, დეპოზიტების გამოყენება დამოკიდებულია რესურსების მოზიდვის ხასიათზე ე. ი. ბანკის საქმიანობის ეფექტურობაზე, ბანკის სარესურსო ბაზის ანალიზის დროს საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი:

- მსხვილი დეპოზიტების მაღალი წილი აქვეითებს საკრედიტო დაწესებულების სარესურსო ბაზის სტაბილურობას;

- კლიენტებისაგან მოზიდული რესურსების წილის ზრდა მთლიანად საბანკო ოპერაციების შემოსავლიანობის ზრდას, ემსახურება თუ ასე არ ხდება, ე. ი. ბანკის ხარჯები ძალიან მაღალია;
- ბანკთაშორისი კრედიტები ბანკებისათვის მეტად ძვირ რესურსებს წარმოადგენენ, დეპოზიტები მათზე იაფია, მაგრამ კლიენტების ანგარიშსწორების ანგარიშზე დარჩენილი სახსრების ნაშთებზე მნიშვნელოვნად ძვირია.

კომერციული ბანკების სარესურსო ბაზის ჩამოყალიბების ხელშეშლელ ფაქტორად ითვლება ბანკების მისწრაფება მომსახურების კერძო ანაბრების მონოპოლიზაციისაკენ. გარდა ამისა, ეკონომიკის ჩრდილოვანი სექტორი, დეპრესიულ ზემოქმედებას ახდენს საბანკო ბიზნესზე მთლიანად, რამდენადაც სახსრები, რომლებიც ბრუნავენ ჩრდილოვან სექტორში, ბანკებში არ შედის.

დეპოზიტური ინსტრუმენტების საშუალო ღირებულება შეიძლება განისაზღვროს, როგორც დანახარჯების შეფარდება შესაბამისი დეპოზიტების ნაშთების საშუალო სიდიდესთან (იხ. ცხრილი 3. 4).

ანალიზის მსვლელობაში საჭიროა შევისწავლოთ ფასების ცვლილების დინამიკა ყველა სახის რესურსების მიხედვით, უფრო ძვირის და უფრო იაფის, რესურსების მიხედვით საპროცენტო განაკვეთის საშუალო სიდიდე, შევაფასოთ მათი სტაბილურობა, საპროცენტო ხარჯების საერთო სიდიდე, მისი დინამიკა, გამოვავლინოთ ბანკის მიერ რესურსების მოზიდვის გეგმის შეუსრულებლობის მიზეზები.

ბანკის რესურსების ბაზის ფორმირებისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს გარეგან ფაქტორს, რომელსაც წარმოადგენს: მისი საქმიანობის სპეციალიზაცია ან უნივერსალიზაცია.

ბანკის რესურსების საშუალო ღირებულების განსაზღვრა
ცხრილი 3.4

დეპოზიტების ინსტრუმენტების დასახელება	ანგარიშებზე გადახდილი პროცენტები ლარი	დეპოზიტების ზარგების ხვედრითი წილი ბანკის პროცენტულ ზარგებში %	ანგარიშებზე სახსრების საშუალო ნაშთი ლარი	ყოველი სახის რესურსის საშუალო ღირებულება %
ფიზიკური პირების ანბრები და დეპოზიტები	9 440 682	0,38	49 687 804	19
წარმოებებისა და ორგანიზაციების ანბრები და დეპოზიტები	9 855 032	0,4	44 795 600	22
მოზიდულ ბანკთაშორისი კრედიტები და დეპოზიტები	5 422 276	0,22	17 491 215	31
სულ	24 717 990	100	111 970 000	24

რაც შეეხება სარესურსო ბაზის სტაბილურობას, ბანკის ლიკვიდურობის საჭირო ღონის შესანარჩუნებლად მისი სარესურსო პოტენციალის ყველა სახსრები შეიძლება დაიყოს აბსოლუტურად სტაბილურად, სტაბილურად და არასტაბილურად.

დეპოზიტების მუდმივობის ზარისხი გაიანგარიშება, როგორც შეფარდება ძირითად (სტაბილურ) და ცვალებადი დეპოზიტებისა და მათი მნიშვნელობის ინფლაციის ტემპებზე კორექტირებით.

მათხოვნამდე დეპოზიტების ანგარიშებზე ფულადი სახსრების ნაშთის მოცულობა, გამოყენებული როგორც სტაბილური რესურსი, შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად.

$$D=O/K.100\%$$

სადაც, D –სახსრების წილი, რომელიც ინახება გარკვეული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დეპოზიტების მოთხოვნამდე ანგარიშებზე, და რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სტაბილური საკრედიტო რესურსი;

O –დეპოზიტურ ანგარიშებზე ფულადი სახსრების საშუალო ნაშთი საანგარიშო პერიოდში;

K –საკრედიტო ბრუნვა მოთხოვნამდე დეპოზიტურ ანგარიშებზე საანგარიშო პერიოდში.

დეპოზიტური ბაზის სტაბილურობის შენარჩუნების ანალიზის ჩატარების დროს იყენებენ მათემატიკურ მოდელებს, აგრეთვე შეისწავლიან დეპოზიტების სტაბილურობის ზოგიერთი მაჩვენებლის დინამიკას.

კომერციული ბანკების ვალდებულებების მნიშვნელოვან შემადგენლად ითვლება საკრედიტო დავალიანება, რომელიც ახასიათებს მის ფინანსურ მდგომარეობას და დროულად უნდა შესრულდეს. ამასთან, საკრედიტო დავალიანება გამოიყენება ბანკების მიერ აქტიური ოპერაციების ჩასატარებელი სახსრების მოზიდვის წყაროდ, მისი ანალიზი შეიძლება ჩატარდეს ცხრილი 3.5-ის დახმარებით.

იმისათვის, რომ შეფასდეს საკრედიტო დავალიანების ბრუნვალობა, უნდა გამოვიყენოთ მოკლევადიანი დეპოზიტებისა და სესხების საკრედიტო ბრუნვალობის მაჩვენებლები.

ბანკის კრედიტორული დავალიანების ანალიზი

ცხრილი 3.5

კრედიტორული დავალიანების სტრუქტურა	დავალიანებების ნაშთები		მათ შორის ვადის მიხედვით (წლის ბოლოსათვის)			
	წლის დასაწყისისათვის	წლის ბოლოს	ერთ თვემდე	1-დან 3-თვემდე	3-დან 6-თვემდე	1 წელზე მეტი
სასწრაფო დავალიანება						
ბანკის მუშაკების შრომის ანაზღაურებისათვის საანგარიშო თანხები.	384	115	115			
არასაბიუჯეტო ფონდების დარიცხვი სათვის.	157	193	193			
ბიუჯეტის გადასახადები.	-	-	-	-	-	-
მოწოდებლების, მოოჯარის მიღველის.	3952	2697	1352	1345		
არარეზიდენტ-ფირმების სამეურნეო ოპერაციებისათვის.		12	12			
ბანკი ხარჯთაღრიცხვის ფინანსირებაზე მყოფი ორგანიზაციები.	2118	225			825	
ბანკის დივიდენდების მონაწილეების.	3					
სხვა კრედიტორების.	117	254	96	159	-	-
სულ	6731	4096	1768	1503	825	-
დაკონტინებული დავალიანება.						
ბანკის მუშაკების შრომის ანაზღაურებისათვის.	98	134	134			
სხვა კრედიტორების.	79	105	27	55	23	-
ჯამი	177	239	161	55	23	-
სულ	6908	4335	1929	1558	848	-

საკრედიტო დავალიანების ბრუნვალობა:

$$K_{06} = D_0 / OK3_{cp}$$

სადაც, D_0 – დებიტორული ბრუნვაა საანალიზო პერიოდში;
 $OK3_{cp}$ – კრედიტორული დავალიანებების საშუალო ნაშთი, რომელიც გაიანგარიშება ფორმულის მიხედვით:

$OK3_{\text{ep}} = (OK3_{\text{H}} + OK3_{\text{K}}) \cdot 2$ სადაც, $OK3_{\text{H}}$ და $OK3_{\text{K}}$ კრედიტორული დავალიანებების ნაშთები წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის.

მოკლევადიანი დეპოზიტებისა და სესხების ბანკში შენახვის საშუალო ვადა (ბრუნვადობა დღეებში) გაიანგარიშება ფორმულის მიხედვით:

$$T = OK3_{\text{ep}} \cdot D / DO = D / K_{06}$$

სადაც, D – გაანგარიშებისას აღებული დღეების რიცხვი.

სასესხო სახსრებს შორის მთავარი როლი აკისრია ბანკთაშორის კრედიტებს, ბანკების ბანკთაშორისო კრედიტებთან დამოკიდებულების ხარისხის ანალიზი ტარდება ძირითადი მაჩვენებლების საფუძველზე, რომლებსაც რეფინანსირების კოეფიციენტს უწოდებენ, ისინი გაიანგარიშება როგორც სხვა ბანკებისაგან მიღებული კრედიტების შეფარდება: 1. საკრედიტო ანაბრების მოცულობასთან; 2. გაცემულ ბანკთაშორის სესხებთან; 3. ბანკის ვალდებულებების საერთო მოცულობასთან; 4. საწესდებო ფონდთან; 5. ბალანსის საერთო ვალუტასთან.


კომერციული ბანკები პასივების სტრუქტურის ანალიზის დროს საჭიროა განვსაზღვროთ მის მიერ სარესურსოდ გამოსაყენებელი სახსრების მაქსიმალური მოცულობა, აგრეთვე არსებული სახსრების გამოყენების ეფექტურობა. იგი შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ბანკის საწარმოო აქტივების სიდიდის შეფარდებით მის სარესურსო ბაზასთან.

აქტიური ოპერაციების ანალიზი. – საბანკო საქმიანობის ძირითადი მიმართულებების სახეების ანალიზია, ბანკის მიერ განთავსებული სახსრების ეკონომიკური ეფექტურობის შესწავლა და შეფასება. ბანკის აქტივების ხარისხიანი მართვა-

რთული და მრავალსპექტრიანი პროცესია. მისი მიმართულე-
ბის ანალიზი მოცემულია სქემა 3.4-ზე.

კომერციული ბანკის აქტივების მართვის ხარისხის
ანალიზის ძირითადი მიმართულებები

სქემა. 3.4



ბანკის აქტივების მართვის ხარისხის ანალიზი საჭიროა დაიწყოს საბანკო აქტივების სტრუქტურის შეფასებით. პირველ რიგში – მისი რაციონალურობისა და დივერსიფიკირებულობის პოზიციიდან, ამისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ცხრილი 3.6.

ბანკების აქტივების მთავარ შემადგენლობას კრედიტები წარმოადგენენ. მათი მართვის ეფექტური სისტემა გვაფიქრებინებს, ბანკში ჩამოყალიბებულ სასესხო-საინვესტიციო პოლიტიკის არსებობაზე, რომელიც განსაზღვრავს – ვის, რა მიზნით, რა მოცულობით და რა ვადით მიეცეს ბანკის სახსრები.

ბანკის აქტივების სტრუქტურის ანალიზი

ცხრილი 3.6

ბანკის აქტივების სახეები	თანხა ათასი ლარი	ხვედრითი წილი %
ფულადი სახსრები და ანგარიშები საქართველოს ეროვნულ ბანკში	9 431	5.75
სახელმწიფო სასესხო ვალდებულებები	22 982	14.03
სახსრები ბანკებში	1 523	0.93
გაყიდვის მიზნით ფასიან ქაღალდებში დაბანდანი	1 062	0.65
სასესხო დავალიანება და ლიზინგი	46 391	28.31
დარიცხული პროცენტები, მათ შორის ვადაგადაცილებული	17 936	10.95
ძირითადი სახსრები, სამეურნეო დანახარჯები და არამატერიალური აქტივები	63 173	38.55
ფასიან ქაღალდებში გრძელვადიანი დაბანდანი	30	0.02
დაგროვილი შემოსავლები და საავანსო ხარჯები	178	0.11
სხვა აქტივები	1 449	0.70
სულ აქტივები	163 855	100.0

ამიტომ ანალიზის ჩატარებისას უნდა შევავსოთ, რამდენად იცავენ ბანკის მენეჯერები ხელმძღვანელობის მიერ დადგენილ საკრედიტო ოპერაციების მართვის ძირითად პრინციპებს.

საბანკო ოპერაციების ანალიზისათვის ინფორმაციის ძირითადი წყაროა ბანკის ფინანსური ანგარიშგება.

საკრედიტო ოპერაციების ანალიზის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს მათი უზრუნველყოფის სახის შეფასებას, ისეთების, როგორიცაა: გირაო, გარანტიები და თავდებობა, დაზღვევა და სხვა.

სავალდებულო რეზერვების ჩამოყალიბება წარმოადგენს კომერციული ბანკების კრედიტუნარიანობის რეგულირების ინსტრუმენტს. საბანკო აქტივების სტრუქტურაში რეზერვებს უკავიათ საკმაოდ შესამჩნევი ადგილი და წარმოადგენენ კომერციული ბანკის მიერ ეროვნულ ბანკში ჩასარიცხი თანხის ნაწილს.

ვინაიდან, რეზერვების სავალდებულო სიდიდე უკუკავშირში იმყოფება ბანკის აქტივების მართვის ხარისხთან, რეზერვების ანალიზი უნდა იყოს მიმართული, პირველ რიგში, ბანკის სასესხო დავალიანების სახეების შესწავლისაკენ, გამოვლინდეს უფრო მეტი მსხვილი დავალიანება, განისაზღვროს გაანგარიშებული რეზერვის წილი დავალიანების ყველა სახის მიხედვით ბანკის საერთო დავალიანების თანხასთან, მოხდეს შედარება გაანგარიშებული და ფაქტიურად ჩამოყალიბებული რეზერვებისა, შეფასდეს ბანკის წმინდა სასესხო დავალიანება, ამ მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ ცხრილი 3.7.

ცხრილში მოყვანილი მონაცემები მოწმობს იმას, რომ ბანკის დავალიანების უმეტესი ნაწილი მისი კლიენტების დავალიანებაა (84.3%), ამის მიხედვით ფორმულირებული რეზერვიც ასევე დიდია (49.7%-საერთო დავალიანებების თანხიდან, მაშინ როდესაც მთელი სასესხო დავალიანება შეადგენს 57.8%-ს ბანკის ერთობლივი დავალიანებიდან). თუმცა ფაქტიურად ფორმირებული რეზერვის სიდიდე შეადგენს მხოლოდ 40.5%-ს გაანგარიშებულიდან, ეს, მითუმეტეს, არ უნდა ჩაითვალოს ბანკის სასესხო აქტივების მართვის ნაკლოვანებად.

კომპერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს განმაზოგადოებელ მაჩვენებლად, რომელიც ახასიათებს ბანკის უნარიანობას საჭირო ვალებში და სრული თანხით გასცეს პასუხი თავის ყველა ვალდებულებებს, არის საკრედიტო დაწესებულების გადამხდელუნარიანობის მაჩვენებელი.

სასესხო დავალიანების და მათ გამო შექმნილი რეზერვის ანალიზი

ცხრილი 3.7

სასესხო დავალიანების სახეები	დავალიანების თანხა	ხვედრითი წილი %	განგარიშებული რეზერვის სილილე	ხვედრითი წილი დავალიანების ჯამთან %	ფაქტურულ ფორმირებული რეზერვის სილილე	ხვედრითი წილი განგარიშებული რეზერვის	სესხის წმინდა დავალიანება ჯგ.2-ჯგ.4
საკრედიტო ორგანიზაციის დავალიანება	0	0.0	0	0.0	0	0.0	0
კლიენტების დავალიანება	92 650	84.3	54 558	49.7	240.60	37.9	38.092
ბანკის საკრედიტო პორტფელში ორგანიზაციების თანხა	1 944	1.8	19	0.0	8	0.0	1 925
სხვა კლიენტების თანხა	15 276	13.9	8 902	8.1	1634	2.6	6 374
სამანკო გარანტიებზე გარდასული თანხები, რომლებიც გაცემა სხვა საკრედიტო ორგანიზაციებზე	0	0.0	0	0.0	0	0.0	0
გადამხდელი თანხები, კლიენტებისათვის გაცემული გარანტიებიდან	0	0.0	0	0.0	0	0.0	0
სასესხო დავალიანება სულ	109 870	100.0	63 479	57.8	25 702	40.0	46 391

ბანკის გადამხდელუნარიანობის მიმდინარე შეფასების ჩასატარებლად შეიძლება გამოვიყენოთ მაჩვენებელი, რომელიც განისაზღვრება როგორც ბანკის აქტივების შეფარდება მის ერთობლივ ვალდებულებებთან. ბანკის გადამხდელუნარიანო-

ბის გრძელვადიანი პროგნოზირებისას ჯერ უნდა განვსაზღვროთ მისი გასული წლის დონე, როგორც ვალდებულებების პერიოდის ფაქტიურად გადახდილი თანხის შეფარდება წარდგენილი ვალდებულებების თანხასთან, ხოლო შემდეგ დაიგეგმოს გადამხდელუნარიანობა მისი არსებული დონის საფუძველზე.

ბანკის ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებლების ანალიზის დასასრულს საჭიროა შევისწავლოთ მისი საქმიანობის შესაბამისი რისკის მაჩვენებლის ჯგუფი. თუმცა რისკის გაზომვა ძნელია, მით უმეტეს, შეფასება, მიუხედავად ამისა, ანალიზი უნდა დაიწყოთ რისკის გასაანგარიშებელი მეთოდის არჩევით, რომელზედაც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია დანაკარგების პროგნოზირების შეფასების სისწორე.

ამჟამად, ანალიტიკოსების განკარგულებაში რისკის შეფასების მეთოდებია: სტატისტიკური, ექსპერტული შეფასება და ანალიტიკური (კერძო და კომპლექსური).

პროცენტული რისკის გასაზომად დასავლეთის საბანკო პრაქტიკაში უფრო ხშირად გამოიყენება ორი სტანდარტული მეთოდი. ეს არის GAP-ანალიზი და ბანკის ეკონომიკური ღირებულების საბაზრო პროცენტული განაკვეთის ცვლილებებისადმი მგრძობიარობის შეფასების მეთოდი.

GAP-ანალიზის მეთოდის არსი მდგომარეობს აქტივებისა და პასივების მუხლების დაჯგუფებაში ვადების მიხედვით, მათი განთავსების და ფასის პირობების უახლოეს განხილვამდე. ასეთი გამოკვლევა საშუალებას იძლევა, გავაკეთოთ დასკვნა ბანკის საპროცენტო სპრედის ცვლილებების მიმართულებების შესახებ დროის ნებისმიერ პერიოდში, საბაზრო საპროცენტო დონის კლების ან მატების დროს. თუმცა მოცემული მეთოდი არ იძლევა საშუალებას, მოვაზღინოთ ბანკის შესაძლო დანაკარგების ზუსტი რაოდენობრივი შეფასება, მისი დახმარებით შეიძლება მივიღოთ საკმაოდ

საფუძვლიანი გადაწყვეტილებები საპროცენტო პოზიციის ჰეჯირების შესახებ და თავიდან ავიცილოთ უარყოფითი საპროცენტო მარჯის წარმოშობა.

ბანკის ეკონომიკური ღირებულების მგრძობაარობის შეფასების მეთოდი – ნაკლებად მნიშვნელოვანია, მაგრამ, მეორე მხრივ, ბანკის საპროცენტო რისკისადმი მიდრეკილების განმაზოგადებელ მაჩვენებელს გვაძლევს.

მითითებული მეთოდის არსი და ინსტრუმენტარის მიმართულება მდგომარეობს ბანკის ეკონომიკური ღირებულების სიდიდის გაანგარიშებაში, რაც თავისთავად წარმოადგენს ბანკის ოპერაციების აქტივებისა და პასივების ყველა მოძრავი ფულადი ნაკადის სიდიდის სხვაობას, განსაზღვრულს ბანკის მიერ დადებული ხელშეკრულებების პირობებიდან გამომდინარე.

მაშასადამე, კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი მისი სამი უმნიშვნელოვანესი სტრუქტურის შემქმნელი განყოფილებით – ბანკის აქტივების მართვის ხარისხის ანალიზი, მისი პასივების ხარისხის ანალიზი და ბანკის ფინანსური მდგომარეობის ძირითადი მაჩვენებლების ანალიზი – საშუალებას მოგვცემს, შევაფასოთ ბანკის საქმიანობა სისტემური და კომპლექსური პოზიციებიდან.

ლიტერატურა

1. კანონი „ეროვნული ბანკის შესახებ“, 23 ივნისი 1995.
2. კანონი „კომერციული ბანკის შესახებ“, 23 თებერვალი, 1996.
3. კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“, თბ., 1999.
4. საქართველოს საბანკო დაწესებულებებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა და მისი გამოყენების ინსტრუქცია, თბ., 2000.
5. ბასს-ბანკებისა და ანალოგიური საფინანსო დაწესებულებების ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები, თბ., 1994.
6. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2001 წლის 10 აპრილის №95 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესი“.
7. ჭ. ადღიშვილი, ი. გვასალია, სამეწარმეო საქმიანობის ეკონომიკური აღრიცხვა, ტ. I, გამომც. „ლამპარი“, თბ., 1996.
8. გ. ბიგვავა, გ. ბარბაქაძე, საფინანსო ბუღალტერია აშშ-ში და მისი ქართული ვარიანტი თსუ-ს გამომც. თბ., 1995.
9. ფრ. ბურდული, ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის აქტუალური საკითხები. თბ., 2002.
10. ი. ბერიშვილი, მ. მაისურაძე. ბუღალტრული აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტებით. თბ., 2005.
11. გ. გამსახურდია. საქართველოს საფინანსო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები. თბ., 1995.
12. ვ. ზურაბიშვილი, საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი, თბ. 1999 წ.

13. ა. ინგოროყვა, საბანკო მენეჯმენტის ზოგადი საკითხები, გამომც. „ისარი“, თბ., 1997.
14. რ. კაკულია. ფინანსების ზოგადი თეორია. თბ., 1997-2001.
15. ზ. ლიპარტია. სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკა. თბ., თსუ, 2001.
16. ზ. ლიპარტია. ეკონომიკური ანალიზი. გამ. თბ. აფხ. მეც. აკ., 2003.
17. რ. კაკულია, ლ. ხაბურზანია, საბანკო სისტემა და ფასიანი ქაღალდები საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ნაწ. I-II, თბ., 1993.
18. ი. კოვზანაძე, კომერციული ბანკების ლიკვიდობის რეგულირება, ჟურ. „სოციალური ეკონომიკა“, №1. თბ., 2000.
19. ე. კომპტონი, კომერციული საბანკო სისტემის ახალი ჰორიზონტები, გამომც. „ლურჯა ცხენები“, თბ., 1993.
20. ფ. მენტეშაშვილი, სიახლენი მოგებისა და ფინანსური მდგომარეობის ანალიზში, თსუ –ს გამომც. თბ., 1994.
21. ი. მესხია, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება პოსტსოციალისტურ საქართველოში, ჟურ. „ეკონომიკა“, №1-3. 1995.
22. ი. მესხია, ი. მურჯიკნელი, ეკონომიკური რეფორმა საქართველოში, ანალიზი, მიმართულებები, პრობლემები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1996.
23. ი. მესხია, დ. მაღლაკელიძე, ნ. ვაშაკიძე, ბულალტრული აღიწევა საერთაშორისო სტანდარტებით, თბ., 2001.
24. ლ. ლუღუშაური, საბანკო საქმე, თბ. 1996 წ.
25. თ. შენგელია, ინოვაციური პროცესები, პოლიტიკა, რეგულირება, ეფექტიანობა, თბ. 1997 წ.

26. ე. ცირაბუა, სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი /თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა/, თბ., 1999.
27. ე. ცირაბუა, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ზოგიერთი საკითხი, ჟურ. „ბუღალტრული აღრიცხვა“, №2, 1999.
28. ე. ცირაბუა, ბუღალტრული ბალანსის სრულყოფის საკითხისათვის, კრ./გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში/, ფსკი, ტ. 3, თბ., 1999.
29. გ. ცაავა, ფინანსები. ფულის მიმოქცევა. ფინანსური ინჟინერია. კრედიტი, თბ., 1999.
30. გ. ცაავა. საბანკო საქმე. თბ., 2005.
31. ე. ჯგერენაია, დილინგი და უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები საერთაშორისო ბაზარზე, თბ., 1996.
32. ი. მესხია, დ. ჯალაღონია. ბუღალტრული აღრიცხვა. ბასს პრაქტიკაში, თბ., 2003.
33. ა. ხორავა, ნ. კვატაშიძე, ნ. სრესელი, ზ. გოგრიჭიანი. ბუღალტრული აღრიცხვა, თეორია, ფინანსური აღრიცხვა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით. თბ., 2005.
34. გ. ხელაია. ფული, ბანკები და ბირჟები. გამოც. „სამთავისი“, თბ., 1996.
35. ე. ჯგერენაია, საერთაშორისო-საბანკო ოპერაციების უნიფიცირებული წესები, თბ., 1995.
36. რ. ძაძაძია, ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების სამეწარმეო-სამართლებრივი საფუძვლები, გამომც. „თერგი“, თბ., 1997.
37. ე. ხარაბაძე, ბუღალტრული აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტებით, თბ., 1998.

38. ი. ჭელაძე. ფინანსური ანალიზი. თბ., 2004.
39. ნ. ყირიშვილი, ფინანსები. თბ., 2005.
40. Алемичева Е. Д. Анализ средней цены капитала, используемого для финансирования долгосрочных инвестиций. Деньги и кредит.- 1997.- №8.
41. Артеменко В. Г., Беллендир М. В. Финансовый анализ: Учебное пособие. – М.: Издательство «ДИС», НГАЭиУ, 1997.
42. Астахов А. В. Системный подход к управлению рисками крупных коммерческих банков. Деньги и кредит. – 1998. - №1.
43. Ачкасов А. И. Активные операции коммерческих банков. / Под ред. А. П. Носко – М.: Консалт-банк, 1994.
44. Ачкасов А. И. Балансы коммерческих банков и методы их анализа. Вопросы ликвидности и их отражение в банковских балансах.–М.: АО «Консалтбанк», 1993.
45. Бабо А. Прибыль. Пер. с фр./ Общ. ред. и коммент. В.И. Кузнецова. – М.: А/О Издательская группа «Прогресс», «Универс», 1993.
46. Баканов М. И., Смирнова Л. Р. Комплексный экономический анализ в управлении коммерческим банком / Материалы международной научно-практической конференции «Коммерческое дело в России: история, современное состояние, будущее» - М.: Издательство Московского государственного университета коммерции, 1999.
47. Баканов М. И., Шеремет А.Д. Теория экономического анализа: Учебник. – 4-е изд., доп. и перераб. – М.: Финансы и статистика, 1998.

48. Балабанов И. Т. Анализ и планирование финансов хозяйствующего субъекта. – М.: Финансы и статистика, 1998.
49. Банки и банковские операции: Учебник для вузов/Е. Ф. Жуков, Л.М. Максимова, О.М. Маркова и др. Под ред. проф. Е.Ф. Жукова. – М.: Банки и биржи, ЮНИТИ, 1997.
50. Банки на развивающихся рынках: В 2-х томах. Т. 1. Укрепление руководства и повышение чувствительности к переменам/ Диана МакНотон, Дональд Дж. Карлсон, Клайтон Таунсеид Дитц и др.: Пер. с англ. – М.: Финансы и статистика, 1994.
51. Банки на развивающихся рынках: В 2-х томах. Т. 2. Интерпретирование финансовой отчетности / Крис Дж. Барлтроп, Диана МакНотон: Пер. с англ. – М.: Финансы и статистика, 1994.
52. Банковская система России. Настольная книга банкира. Книга 1. – М.: ТОО Инжиниринго-консалтинговая компания «ДеКа», 1995.
53. Банковское дело. Справочное пособие. / Под ред. Ю. А. Бабичевой – М.: Экономика, 1993.
54. Батракова Л.Г. Экономический анализ деятельности коммерческого банка: Учебник для вузов. М.: Издательская корпорация «Лотос», 1998.
55. Батракова Л.Г. Экономический анализ деятельности коммерческого банка: Учебник для вузов. М.: Издательская корпорация «Лотос», 2000
56. Бернстайн Л.А. Анализ финансовой отчетности теории, практика и интерпретация: Пер. с англ. / Науч. ред. И.И. Елисеева. Гл. ред. серии Я.В.Соколов. – Финансы и статистика, 1996.

57. Бирман Г., Шмидт С. Экономический анализ инвестиционных проектов (Пер. с англ. под ред. Л.П.Белых. – М.: Банки и биржи, ЮНИТИ, 1997.
58. Бригхем Ю., Таленски Л. Финансовый менеджмент: Полный курс: В 2-х т.: Пер. с англ./ Под ред. В.В.Ковалева. – СПб: Экономическая школа, 1997.
59. Буклемишев О. Методы разрешения проблемы невыплат по кредиту/ Финансист. – 1996. - № 25.
60. Валеева Р. В. Аналитическая служба банка – новый подход к информации / Банковское дело. – 1996. №10.
61. Ван Хорн Дж. К. Основы управления финансами: Пер. с англ. / Гл. ред. серии Я. В. Соколов. – М.: Финансы и статистика, 1996.
62. Василишен Э. Н. Регулирование деятельности коммерческого банка. – М.: АО «Финстатинформ». 1995.
63. Вишняков И. В. Анализ динамики надежности коммерческих банков/ Банковское дело. – 1995. - № 8.
64. Воробьева-Сарматова Т. А., Иванов Ю. Н., Спицина Т. С. Зарубежные банковские показатели / Банковское дело. – 1996. - № 1.
65. Гвелесиани Т. В. Бухгалтерский учет в кредитных организациях. М., 2004.
66. Горина С. А. Учет в банке. Проверка правильности отражения банковских операций - М.: Издательство «Приор», 1998.
67. Грядовая О. В. Об определении внутренней стоимости банковских операций / Деньги и кредит. – 1997. -№ 11.
68. Данилевский Ю. А. Международные требования к банковской бухгалтерской информации / Бухгалтерия и банки. – 1996. - № 4.

69. Динкевич А. И. Современная модель экономической организации управления: мировой опыт / Деньги и кредит. – 1998. - № 3.
70. Долан Э. Дж., Кэмпбэлл К. Д., Кэмпбэлл Р. Дж. Деньги, банковское дело и денежно-кредитная политика. – СПб.: Санкт-Петербург Оркестр, 1994.
71. Друри К. Введение в управленческий и производственный учет. Пер. с англ. / Под ред. С. А. Табалиной. – М.: Аудит, ЮНИТИ, 1994.
72. Егорова Н. Е. Смулов А. М. Математические методы финансового анализа банковской деятельности / Аудит и финансовый анализ. 1998. №2.
73. Едророва В. Н., Мизиковский Е. А. Учет и анализ финансовых активов. – М.: «Финансы и статистика», 1995.
74. Ермаков С. Л. Организация работы коммерческого банка по кредитованию заемщиков / Банковское дело. – 1996. - № 4.
75. Ефимова О. В. Финансовый анализ. 2-е изд., перераб. и доп. – М.: Изд-во «Бухгалтерский учет», 1998.
76. Жданов А. Ю. Банковские риски и управление персоналом / Деньги и кредит. – 1998. - № 7.
77. Жуков А. И. Инвестиции и ликвидность банка / Деньги и кредит. – 1998. - № 7.
78. Захаров В. С. Мифы и реальность (уроки кризиса) / Деньги и кредит. – 1998. - № 11.
79. Иванов В. В. Особенности применения CAMEL – методов для оценки финансового состояния российских банков / Банк. – 1998. - № 15.
80. Иванов В. В. Надежность вашего банка – М.: ФБК – ПРЕСС, 1997.

81. Иванова Л. И. Проблемы современной банковской информации и статистики / Деньги и кредит. – 1998. - №9.
82. Исаев Д. Б. Резерв на возможные потери по ссудам как инструмент управления кредитными рисками / Деньги и кредит. – 1996. - №10.
83. Карлин Т. Р. Анализ финансовых отчетов (на основе СААР): Учебник – М.: ИНФРА-М, 1998.
84. Карпова Т. П. Основы управленческого учета: Учебное пособие – М.: ИНФРА-М, 1997.
85. Качалин В. В. Финансовый учет и отчетность в соответствии со стандартами СААР 2-ое изд., испр., перераб. – М.: Дело, 1998.
86. Киселев В. В. Коммерческие банки в России: настоящее и будущее (Банковская политика. Регулирование и управление). – М.: Финстатинформ, 1998.
87. Киселев В. В. Управление коммерческим банком в переходный период. М.: Логос. 1997.
88. Ковалев В. В. Управление финансами: Учебное пособие. – М.: ФБК-ПРЕСС, 1998.
89. Ковалев В. В. Финансовый анализ: Управление капиталом. Выбор инвестиций. Анализ отчетности. – М.: Финансы и статистика, 1996.
90. Козлова Е. П. Галанина Е. Н. Бухгалтерский учет в коммерческих банках. – М.: Финансы и статистика, 1996.
91. Козлова Е. П. Галанина Е. Н. Бухгалтерский учет в коммерческих банках. – М.: Финансы и статистика, 1998.
92. Круглов В. В. Основы международных валютно-финансовых и кредитных отношений. М.: ИНФРА, 1998.

93. Количественные методы финансового анализа /Под ред. С Дж. Брауна и М. П. Крицмена: Пер. с англ. – М.: ИНФРА – М, 1996.
94. Коммерческие банки / Рид Э., Коттер Р., Гилл Э. и др.: пер. с англ. Под ред. В. М. Усоскина. – 2-ое изд. – М.: СП «Космополис», 1991.
95. Кондраков Н. П. Бухгалтерский учет: Учебное пособие, - М.: ИНФРА-М. 1996.
96. Кондраков Н. П., Новодворский С. И., Пучкова С. И. Консолидированная бухгалтерская отчетность. –М.: ФБК-ПРЕСС, 1998.
97. Королев О.Г. процентной прибыли коммерческого банка. Деньги и кредит.-1997.-№6.
98. Кочович Е. Финансовая математика. Теория и практика финанасо-банковских расчетов.-М.: Финансы и статистика, 1994.
99. Ларионова И. В. Оценка уровня прибыли с точки зрения риска и влияния на ликвидность/ Бухгалтерия и банки- 2000, №5.
100. Ларионова И. В. Методы Анализа процентного риска/ Бухгалтерия и банки- 2000, №6.
101. Липсиц И. В., Коссов В.В. Инвестиционный проект: подготовки и анализа: Учебно-справочное пособие.- М.: Издательство БЕК, 1996.
102. Лунтовский Г.И. Проблема оздоровления коммерческих банков: российская практика и зарубежный опыт/ Деньги и кредит.- 1998.- №6.
103. Мамонова И.Д., Ширинская З.Г и др. Банковский аудит. в 2. ч. –М: Бухгалтерский учет, 1994.
104. Масленчиков Ю.С. финансовый менеджмент в коммерческом банке: фундаментальный анализ.- М.: Перспектива, 1996.

105. Масленचेков Ю.С. Декомпозиционный анализ банковской нормы прибыли на капитал/Бизнес и банки.- 1995. №32.
106. Матук Ж. Финансовые системы Франции и других стран. Банки. Т. 1. –М.: Финстатинформ, 1994.
107. Миркин Я. М. Банковские операции: Учеб. пособие. Часть III. Инвестиционные операции банков. Эмиссионно-учредительская деятельность банков.-М: ИНФА-М, 1996.
108. Нидеккер Г.Л., Стратонников И.В., Суслов С.В. Анализ и оценка эффективности валютно-обменных операций банка.-М.: Русская Деловая Литература, 1996.
109. Никитин С.М., Никитин А.С. Прибыль и перелив капитала: теоретические и практические проблемы Деньги и кредит.- 1996.-№3.
110. Овсийчук М.Ф., Сидельникова Л.Б. – Методы инвестирования капитала.-М.: БУКВИЦА, 1996.
111. Озиус Маргарет Е., Путнпм Блуфорд Х. Банковское дело и финансовое управление рисками.- Институт экономического развития, Мировой банк. Вашингтон, 1992.
112. Основы банковского менеджмента: учебное пособие. Под общ. ред. О.И.Лаврушина –М.: ИНФРА-М, 1996.
113. Павлова Л.Н. Финансовый менеджмент, управление денежным оборотом. М.: Финансы и статистика, 1994.
114. Палий В.Ф., Палий В.В. Финансовый учет. Ч.1 и 2. – М.: ФБК-ПРЕСС, 1998.
115. Панова Г.С. Анализ Финансового состояния коммерческого банка.-М.: Финансы и статистика, 1996.
116. Папава Г.В. Методология экономического анализа и маркетингового управления конечными результатами производства, Тбилиси «Мецниереба», 1992.

117. Роуз Питер С. Банковский менеджмент. Пер. с англ. со 2-го изд. –М.: «Дело Лтд», 1995.
118. Русак Н.А., Русак В.А. Основы Финансового анализа. Мн.: Меркавание, 1995.
119. Рэдхед К., Хьюз С. Управление финансовыми рисками: Пер. с англ. –М.: ИНФРА-М, 1996.
120. Сердюкова И.Д. Методы анализа Финансовых рисков. бухгалтерия и банки – 1996. -№3.
121. Синки Дж., мл. Управление финансами в коммерческих банках.: Пер. с англ. изд. Под ред. Р.Я. Левиты, Б.С.Пинскера.- М.: Catallaxy, 1994.
122. Смирнова Л.Р. Об учетной политике кредитной организации на 1999 год (организационно-технические, методологические, налоговые аспекты) / бухгалтерский учет в кредитных организациях.- 1998.- №4.
123. Соколинская Н.Э. Структура и качество активов банка / бухгалтерия и банки –1996.,№4.
124. Соложенцев Е. Д., Карасев В.А. О методе количественной оценки кредитного риска физических лиц / Деньги и кредит. –1998.-№2.
125. Сорвин С. В. Управление банковскими рисками-региональный аспект/ Деньги и кредит.-1997.-№6.
126. Спицын И.О. Спицын Я.О. Маркетинг в банке.М.: Тарнекс.1993.
127. Стоянова Е.С., Быкова Е.В., Бланк И. А. Управление оборотным капиталом / Под ред. Е.С. Стояновой.- (Серия «Финансовый менеджмент для практиков»)- М.: Изд-во «Перспектива», 1998.
128. Сухов М.И. Управление банковскими рисками рыночной специализации / Деньги и кредит.- 1997.-№6.
129. Управленческий учет / Под ред. В.Палия и Р. Вандер Вила.- М.: ИНФРА-М, 1997.

130. Управленческий учет. Ч. 1 и 2. Под ред. А.Д. Шеремета.-М.: ФБК-ПРЕСС, 1998.
131. Усоскин В.М. Современный коммерческий банк. Управление и операции. М.: Все для вас. 1993.
132. Уткин Э. А. Банковский менеджмент.-М.: ИНФРА-М.: Метаинформ, 1994.
133. Финансовый менеджмент: Учебное пособие.- М.: Издательство АО «Консалтбанкир», 1996.
134. Фридман Д., Ордуэй Н. Анализ и оценка приносящей доход недвижимости Пер с англ. –М.: Изд-во «Дело Лтд», 1995.
135. Хеддервик К. Финансовый и экономический Анализ деятельности предприятий/ Международная организация труда: Под ред. Ю.И. Воропаева, -М.: Финанси и статистика,1996.
136. Хелферт Э. Техника Финансового анализа / Пер. с англ. под ред. Л.П. Белых.- М.: Аудит, ЮНИТИ, 1996.
137. Холт Р. Основы финансового менеджмента / Пер. с англ. –М.: Дело – Лтд, 1993.
138. Черкасов В. Е. Финансовый анализ в коммерческом банке.-М: ИНФРА-М, 1995.
139. Черкасов В. Е., Плотицына Л.А. Банковские операции: маркетинг, анализ, расчеты. –М.: Метаинформ, 1995.
140. Четыркин Е.М. Методы финансовых и коммерческих расчетов.- 2-ое изд., испр. и доп. –М.: Изд-во «Дело-Лтд, 1995.
141. Шарп У.Ф., Александер Г. Дж., Бейли Дж. Инвестиция : Пер. с англ.- М.: ИНФРА-М, 1997.
142. Шеремет А.Д., Сайфулин Р.С. Методика финансового анализа.-М.: ИНФРА-М, 1995.

143. Шеремет А.Д., Сайфулин Р.С. Финансы предприятий.-м.: ИНФРА-М, 1998.
144. Шеремет А.Д., Суйц В.П. Аудит: Учебн. пособие-М.: ИНФРА-М, 1995.
145. Ширинская З.Г., Нестерова Т.Н., Соколинская Н.Э. Бухгалтерский учет и операционная техника в банках -М. Изд. «Перспектива», Издательский дом «ИНФРА-М», 1998.